პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საჯარო ბიბლიოთეკა

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, [illegible] სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 64, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15. 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— ჩინეთის საკონსულოებმა განაახლეს მოქმედება საბჭოთა კავშირში.
— იტალიელ ემიგრანტ-მუშების სისხლისმღვრელი შეტაკება ფაშისტებთან პარიზში.
— გერმანიის რეიხსტაგმა საბოლოოდ მიიღო ბრიუნინგის მთავრობის საგადასახადო კანონები.
— იაპონია-საბჭოთა კავშირის ზრდა.
— შეტაკებები კალკუტაში (ინდოეთი).—ქალაქში წესრიგს იცავენ ჯავშნიანი ავტომობილებით.

ხუთშაბათი, 17 აპრილი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 87 (2735)

„კომუნისტი“-ს რედაქცია გადავიდა
ახალ ბინაზე
რუსთაველის პროსპექტი № 16
ტელეფონები: რედაქტორის—14—76, მდივნის—10—58
მასიური მუშაობის განყოფილება—22—44.

სოცშეჯიბრების შედეგების შემოწმება

უკვე ერთ წელზე მეტმა განვლო, რაც ჩვენს სამეურნეო საქმიანობაში ფართოთ გაიშალა ძლიერი მასიური მოძრაობა სოციალისტური შეჯიბრების სახით. დღეს მხოლოდ ბრმები ვერ ამჩნევენ იმას, თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა მუშათა შრომითი ენტუზიაზმის ამ საუკეთესო პრაქტიკულ გამოხატულებამ სოციალისტური რეკონსტრუქციის ფართო გზაზე მდგომ საბჭოთა აღმშენებლობას. შეჯიბრება, როგორც მოსალოდნელი იყო, გადაიქცა სოციალისტური შრომის ახალ ძლიერ მეთოდათ; მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება სოციალისტური შეჯიბრის მნიშვნელობა. გარდა ამ ფრიად დიდ მატერიალურ ეფექტისა, რომელიც მოგვცა მან, სოციალისტური შეჯიბრება გადაიქცა მუშათა მასების პოლიტიკურ და კულტურულ აღმზრდელობის უძლიერეს იარაღათ.

მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სოციალისტური შეჯიბრების დარგში ჩვენ დეფექტები არა გვაქვს. როგორც ყოველივე დიდ საქმეში, ისე აქაც თავიდანვე ადგილი ჰქონდა და ეხლაც აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს. მათ აღმოსაფხვრელად შეუნელებელი ბრძოლა სწარმოებს. მიუხედავად ამისა, დეფექტები დღესაც არის და ისინი ხშირად იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ბევრ შემთხვევაში სერიოზულ დაბრკოლებებს წარმოადგენენ ამ მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. დღეს, როცა სოციალისტურ შეჯიბრების პრაქტიკაში უკვე გვაქვს ერთი წლის გამოცდილება, საჭიროა მოხდეს ამ მოძრაობის საფუძვლიანი შემოწმება და მისი განვითარების ახალი გზების დასახვა. სწორედ ამ მიზნით მიმდინარე წლის აპრილის პირველ რიცხვებიდან მთელ საბჭოთა კავშირში სწარმოებს სოციალისტური შეჯიბრების ერთი წლის შედეგების შემოწმება.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? როგორ მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრების შემოწმება საქართველოს მრეწველობისა და საზოგადო სახალხო მეურნეობის სხვა დარგის ერთეულებში? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა ჩვენში ჯერ კიდევ არ გაშლილა. აპრილის განვლილ 2 კვირა ბევრ საწარმოს უმთავრესად წინასწარ სამზადისს მოანდომა. ზოგიერთი საწარმო ჯერ კიდევ სამზადისსაც არ შესდგომია. ამავე დროს სოციალისტური შეჯიბრების ნაკლოვანებანი ყოველდღე მთელი თავისი სიმწვავით აშკარავდება. ცნობილია, რომ საქართველოს მრეწველობამ საერთოთ სამეურნეო წლის პირველ ნახევრის გეგმა ვერ შეასრულა. მრეწველობის ცალკე დარგებში და საწარმოო ერთეულებშიც.

ბევრგან ასეთივე მდგომარეობაა. პროდუქციის გამომუშავების გადიდება, თვითღირებულების შემცირება, ნამუშევარის ხარისხის გაუმჯობესება ჯერ კიდევ თავსამტვრევ მტკივნეულ ამოცანებს წარმოადგენს ჩვენი მრეწველობისათვის. სოციალისტური შეჯიბრების მთავარი აზრი და დანიშნულებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი შეუწყოს ჩვენს მრეწველობის ამ ფრიად საჭირბოროტო და დიდმნიშვნელოვან ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

რაში გამოიხატება სოციალისტური შეჯიბრების მტკივნეული მხარეები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმაო იქნება დავასახელოთ რამოდენიმე ფაქტები: ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელ სტალინის სახელობის ქარხანაში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მუშათა 95 პროცენტი. ასეთივე ცნობები არსებობს ამ ქარხნის ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის შესახებაც. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა სურათია. სტალინის ქარხნის ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ლამაზ რეზოლიუციებსა და დაპირებებს არ გასცილდება. ამ ქარხნის მუშები უცხოველეს მონაწილეობას ღებულობენ სოცშეჯიბრებაში, ადმინისტრატიული და ტეხნიკური პერსონალის დიდი უმრავლესობა სრულ უმოქმედობას იჩენს. უდაოა, რომ თუ სტალინის ქარხანა ჩამორჩა გეგმის შესრულებაში, ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების არა ერთსულოვნად გაშლა საწარმოში. სოციალისტურ შეჯიბრებაში ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის სუსტი მონაწილეობისა და ეგრედ წოდებულ ცრუ-სოცშეჯიბრების დამახასიათებელი ფაქტები სხვაც ბევრი მოიპოვება.

თავის დროზე თითქმის ყველა საწარმოში დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება, დიდი ზეიმით დაიდო სათანადო ხელშეკრულებები, მაგრამ ამ განწყობილებამ ყველგან ვერ პოვა თავისი პრაქტიკული გამოხატულება ფაბრიკა-ქარხნების შემდგომ ყოველდღიური მუშაობაში. ამიტომ შეჯიბრების შედეგების შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა გადაისინჯოს ხელშეკრულებები იმ მხრივ, თუ რამდენად განხორციელებულნი არიან ისინი. დაუნდობლად უნდა იქნან გამომჟღავნებულნი ის საწარმოები, ცეხები და ბრიგადები, რომელნიც თავიანთ თავს დამკვრელებს უწოდებენ და საქმით ვერ ასრულებენ ამ საპატიო სახელს.

ამასთან ერთად ხელშეკრულების შედეგების შემოწმებამ უნდა ცხადჰყოს, რამდენად მტკიცე ხელმძღვანელობას უწევდნენ ამ საქმეს ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, რამდენად აქტიურად არიან ჩაბმული სოც-შეჯიბრებაში კომუნისტები და კომკავშირელები, უნდა გამოირკვიოს, დაკავშირებულია თუ არა საწარმოო თათბირების მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების საკითხებთან, ხდება თუ არა იმ ცეხების და ცალკე მუშების წახალისება, რომლებმაც თავი ისახელეს შეჯიბრებაში და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმას, თუ რამდენად მოწესრიგებულია თვითეული საწარმოში სოცშეჯიბრების შედეგების აღრიცხვა. ცნობილია, რომ ამ მხრივ ბევრგან მეტად ცუდი მდგომარეობაც გვაქვს. სოცშეჯიბრება ხშირად ჰკარგავს მთელ ეფექტს და იშლება იმის გამო, რომ არ სწარმოებს იმის სისტემატიურად აღნუსხვა, თუ რა შედეგებს გვაძლევს შეჯიბრება ყოველ განსაზღვრულ დროს განმავლობაში თვითეული ცეხის, ბრიგადის თუ დაზგის მიხედვით.

სოცშეჯიბრის შედეგების შემოწმების დროს ყველა ეს საკითხები უნდა გადაიქცეს მთავარ გამოსავალ წერტილად. დრო აღარ ითმენს. საჭიროა თვითეულ საწარმოში აქედანვე გაცხოველდეს პრაქტიკული მუშაობა მასების აქტიურად დარაზმვისათვის სოცშეჯიბრების შემოწმების კამპანიაში. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რამდენად არის დამოკიდებული სოციალისტური შეჯიბრების გაღრმავება-გაფართოებაზე ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი წარმატებითი განვითარება.

პირველი მაისისათვის

რევოლიუციონური პროლეტარიატი, კომპარტიის ხელმძღვანელობით, ყველა ქვეყნებში ენერგიულად ემზადება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ბრძოლის დღის — პირველი მაისისათვის. მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მასების მობილიზაცია გვიჩვენებს, რომ კომპარტიები ცდილობენ წლევანდელი საპირველმაისო დღის მოწყობის დროს გამოიყენონ უკანასკნელი ორი დიდი საერთაშორისო მუშათა დემონსტრაციების — პირველი აგვისტოს და ექვსი მარტის დემონსტრაციების დროს მიღებული გამოცდილება. ამავე დროს ფაშისტური და ნახევრად ფაშისტური სახელმწიფოების ტერორის მთელი ძალები ირაზმებიან პირველი მაისის წინააღმდეგ. პოლიციის კანცელარიებში და სოციალ-დემოკრატიული პარტიის და პროფკავშირების ბიუროებში გაფაციცებით ემზადებიან იმისათვის, რომ ანტიბოლშევიკური „ჯვაროსნული ომი“, „საკუთარი“ მუშათა კლასის წინააღმდეგაც მიმართონ. ბრძოლის ამ დღისათვის — პირველი მაისისათვის მზადების დღეებში აბობოქრებული რევოლიუციონური ტალღა ეჯახება საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბურჟუაზიულ-ფაშისტური ცილისწამების და ახალი ომის იმ პროვოკაციის ტალღას, რომელსაც იწვევენ იმპერიალისტური მტაცებლები.

მუშათა კლასის მიმართ, მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ზრდასთან ერთად, სულ უფრო და უფრო მეტის შეუბრალებლობით და გაუგონარი ექსპლოატატორული ხრიკებით იყენებენ ძალდატანების ეკონომიურ საშუალებებს და, პირველ რიგში, მტაცებლურ კაპიტალისტურ რაციონალიზაციას. კაპიტალისტური რაციონალიზაციის პრაქტიკა ყოველ დღე ახალ მოხერხებულ მეთოდებს მიმართავს მუშის სისხლის გამოსაწოვად და იმავე დროს შიმშილს უზიარებს მილიონობით უმუშევართა მასებს, რაც შეეხება დამქირავებელთა და პოლიციელთა არა ეკონომიური ზეგავლენის მეთოდებს, ეს უკანასკნელნი სულ უფრო მეტად ღებულობენ ფაშიზმის და სოციალფაშიზმის მწყობრი სისტემის ხასიათს.

სოციალ-დემოკრატიის ეგრეთწოდებული „მემარცხენე მანევრი“ აღარ მოქმედებს საწარმოთა კარებთან, სადაც საწარმოებში სოციალ-ფაშისტური პროფბიუროკრატია დამქირავებლებთან ერთად უყოყმანოდ ახორციელებს ხისტ კაპიტალისტურ რაციონალიზაციას ხელფასის შემცირების სასარგებლოდ. ამასთან ერთად იმ მუშების წინააღმდეგ, რომლებიც კლასობრივი ბრძოლისათვის ქუჩას იპყრობენ, მუდამ მზად არის ფაშისტების, სოციალ-ფაშისტების და პოლიციელების ბრბოების ჯავშნიანი მუშტი.

თუმცა მანჩესტერის და შანხაის საფეიქრო მრეწველობის მუშებს, ინდოეთის და პოლონეთის რკინის გზელებს, ჩრდილოეთ საფრანგეთის და პენსილვანიის მაღაროს მუშებს და კუზნეცკის ნავთის მუშას ჯერ კიდევ არა აქვთ საკმაო წარმოდგენა თავიანთი საერთო ბედის შესახებ, მაგრამ ისინი მაინც ერთად იბრძვიან ხელფასის უსინდისო შემცირების წინააღმდეგ, გადადიან შეტევაზე და ახალ საშუალებებს მიმართავენ თავიანთ ეკონომიურ ბრძოლაში. რომელიც ზოგან უკვე პოლიტიკურ ხასიათს იღებს. უმუშევართა მოძრაობა თანდათან იპყრობს ფართო ფენებს და იღებს არნახული პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული მასების გამწვავების ხასიათს, რაც სურთ ჩააჩუმონ და დააწყნარონ ფაშისტებისა და სოციალ-ფაშისტების სოციალური დემაგოგიით, სოციალური კანონმდებლობის გაუქმებით, პოლიციელთა კეტებით, საპატიმროებით და ტყვიებით. სხვადასხვა ქვეყნებში ეს სხვადასხვანაირად ხდება, მაგრამ პრინციპები და მეთოდები არსებითად ერთი და იგივეა. მით უფრო ძლიერი ხდება ის რევოლიუციონური ენერგიის მოზღვავება, რომელიც დღითი-დღე გროვდება მომუშავე და უმუშევარ პროლეტარულ მასებში.

კაპიტალისტური მრეწველობის ის დარგები, რომლებიც უშუალოდ ომის საქმეზე მუშაობენ, მსოფლიო კრიზისის პირობებში ერთგვარ „ოაზისს“ წარმოადგენენ. კრიზისის გამწვავება არა თუ არ აფერხებს მათ, არამედ აძლიერებს კიდეც მათი მუშაობის ტემპს.

ყოველ დღე იგზავნება საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის იარაღის მკეთებელ და ქიმიურ ქარხნებში დამზადებული თოფებით, ზარბაზნებით, აეროპლანებით და ყუმბარებით დატვირთული გრძელი მატარებლები და უზარმაზარი გემები პოლონეთსა და რუმინეთში, რომლებიც ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ლაშქრობის მოწინავე ქოფაკებს წარმოადგენენ. ორივე ამ ქვეყანაში მთავრობის კრიზისი იწვევს [illegible] კაბინეტების შედგენას. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონის საზღვაო კონფერენციაზე ხუთი სახელმწიფოს მოლაპარაკება წარმატებით არ მიმდინარეობდა, ყველა ეს სახელმწიფოები სულ ადვილად შეთანხმდნენ, როდესაც დაისვა საკითხი რუმინეთის ფლოტის გაძლიერებისა და რუმინეთში ანტისაბჭოთა ომისათვის საზღვაო ბაზის აგების შესახებ. ანტისაბჭოთა კამპანიამ, როგორც საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ომის „მორალური“ მზადების ძირითადმა მეთოდმა, თითქმის უკვე მიაღწია თავის უმაღლეს წერტილს.

რაც უფრო ენერგიულ მონაწილეობას იღებენ სოციალ-ფაშისტები ამ კამპანიაში, მით უფრო გულდაგულ და ურცხვად უარყოფენ ისინი ომის გაძლიერებულ მზადების ფაქტს საერთაშორისო იმპერიალიზმის მხრით.

ემზადება რა 1-ლი მაისისათვის, ყველა ქვეყნების რევოლიუციონური პროლეტარიატი, თავიანთ დროშებზე აწერენ საბჭოთა კავშირის დაცვის რევოლიუციონურ და ახალი იმპერიალისტური ომის გამღვივებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგს. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა კავშირისადმი თანაგრძნობა ამ მოძრაობაში ჩააბამს ყველა უმნიშვნელოვანესი ქვეყნების მუშათა კლასის ფართო მასებს. პროლეტარიატის მოწინავე ხელმძღვანელ ნაწილს — კომუნისტურ პარტიებს — ნათლად აქვთ შეგნებული, რომ რევოლიუციის მთელი პერიოდის მთლიანი ლოზუნგი წინანდელზე უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს უმუშევრობასთან ბრძოლის და დამშეული მუშათა კლასის საცხოვრებელი დონის ამაღლების ლოზუნგს.

წელს მთელი საპირველმაისო კამპანია ღრმა ინტერნაციონალური შინაარსით არის გამსჭვალული.

საპირველმაისო ლოზუნგთა შორის მთელ რიგ იმპერიალისტურ ქვეყნებში სულ უფრო ნათლად გაისმის გერმანიის მშრომელთა რამდენიმე თაობის დამამონავებელი იუნგის გეგმის წინააღმდეგ ბრძოლის და იმ კოლონიალური ქვეყნების ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის მხარის დაჭერის მოწოდება, რომელთა ექსპლოატაცია ახლანდელ პერიოდში გაუგონარ სიმძაფრეს აღწევს. ვინაიდან რევოლიუციონური პროლეტარიატისათვის საჭიროა თავის რევოლიუციონურ მოკავშირედ იყოლიოს უღარიბესი გლეხობა, ამიტომ იგი აყენებს მსხვილ მემამულეთა მიწების კონფისკაციის და მთელ რიგ სხვა ლოზუნგებს, რომლებიც ნათლად გამოხატავენ გლეხობის ყოველდღიურ მოთხოვნილებებს, და მისი დარაზმვის საჭიროებას რევოლიუციონური ბრძოლისათვის. პირველ მაისთან დაკავშირებით გაშლილი აგიტაცია იმას მოწმობს, რომ კომუნისტურმა პარტიებმა შეიგნეს მთელი ის მნიშვნელობა, რომელიც მასიური რევოლიუციონური ბრძოლის გაშლისათვის აქვს დაბეჩავებული და კრიზისით შევიწროებული წვრილი გლეხობის ფენებს.

სოციალ-დემოკრატია მთლიანად, ამსტერდამის ინტერნაციონალთან ერთად, აგრეთვე ყველა მისი ცალკე ნაციონალური პარტიები მთელი ძალ-ღონით ცდილობენ ხელი შეუშალონ პირველ მაისს პროლეტარების მასიური პოლიტიკური გაფიცვის ჩატარებას. მისი უდიდებულესობის ინგლისის მეფის „მუშათა“ პარტიამ უკვე რამდენიმე კვირის წინად განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია მუშათა კლასის ყოველგვარი საპირველმაისო დღესასწაულის. სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიები „თანხმანი“ არიან, რომ მაისის ბრძოლის დღე პოლიტიკური მასიური გაფიცვების ნაცვლად მოაწყონ „დღესასწაული“, ესე იგი ამ დღეს გაძლიერებულად კვებონ მშიერი მუშები სოციალ-დემაგოგიური ფრაზებით. იმ მუშებისათვის კი, რომლებიც არ განაცხადებენ უარს დემონსტრაციით და გაფიცვით აღნიშნონ თავიანთი რევოლიუციონური დღე, რომლებიც არ დასთანხმდებიან მეშჩანური სოციალ-დემოკრატიული მანერით აღნიშნონ „გაზაფხულის გაღვიძება“, ნაცვლად იმისა, რომ გამოვიდნენ ომისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ქუჩისათვის ბრძოლის დემონსტრაციებზე,—ყველა ასეთი მუშებისათვის სოციალ-ფაშისტები და მათი ბურჟუა ბატონები ხიშტებსა და ტყვიებს ამზადებენ.

პირველ მაისს, როგორც საბჭოთა კავშირის დაცვის დღეს, უკვე აქვს თავისი რევოლიუციონური ტრადიციები, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იმპერიალისტური ომის და საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო ინტერვენციის დროს ლეიბორისტული პარტიის ბელადებმა ვერ შესძლეს ხელი შეეშალათ იმისათვის, რომ დიდი ბრიტანეთის მუშებს შეექმნათ მთლიანი პროლეტარული ფრონტი ლოზუნგით—„ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან“... ბატონი ვანდერველდეები იძულებული იყვნენ გაჩუმებულიყვნენ, როდესაც ანტვერპენის ნავთსადგურის მუშებმა არ დაუშვეს იარაღის გაგზავნა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად. აგრეთვე შეიდემანელებმაც ვერ შესძლეს ხელი შეეშალათ გერმანიის რკინისგზელებისათვის, როდესაც მათ ერფურტში და სხვა ქალაქებში შეაჩერეს იარაღით დატვირთული ვაგონები, რომლებიც პოლონეთში მიდიოდნენ.

ამ საერთაშორისო რევოლიუციონური სოლიდარობის ბრწყინვალე ნიმუშებს ადგილი ჰქონდათ მაშინ, როდესაც დასავლეთში ჯერ კიდევ სუსტი იყვნენ კომუნისტური პარტიები და მათ მუშათა შორის აგიტაციის გაწევა შეეძლოთ მხოლოდ თეთრგვარდიელთა კონტრრევოლიუციით გარემოცული დამშეული საბჭოთა პროლეტარული ქვეყნის დახმარების ლოზუნგით. მიუხედავად საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო სიცრუისა და ცილისწამების ველური ვაკხანალიისა, რომლითაც სავსე იყო ყველა ქვეყნების გაზეთები, შეიქმნა მუშათა კლასის მთლიანი ფრონტი ახლად აღორძინებული სოციალიზმის დასაცავად. ამჟამად მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი იმყოფება იმ შთაბეჭდილების ქვეშ, რომელსაც მასზე ახდენს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის უძლიერესი ტემპი. ახლა მას ჰყავს კომუნისტური პარტიები, რომლებიც მასებში დღითი-დღე იპყრობენ ნდობას და გავლენას, რომლებიც, რევოლიუციონური ტალღების ზრდასთან ერთად, სულ უფრო ეჩვევიან მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის ძირიდან შექმნის ტაქტიკას. ეს ტაქტიკა წარმოადგენს საპირველმაისო ბრძოლის დღის წარმატებითი მომზადების მეთოდს. ამ მთლიან ფრონტზე პირველ მაისის დღეს დაირაზმებიან მუშათა და გლეხთა ფართო მასები ომის, უმუშევრობის, ფაშიზმის და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და საბჭოთა კავშირის დასაცავად, მშრომელი მასების საცხოვრებელი დონის ამაღლებისათვის, ბურჟუაზიული და სოციალ-ფაშისტური ტერორის მოსპობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საბრძოლველად.

„პრავდა“, 16 აპრილი.

მსოფლიო პროლეტარიატი ემზადება 1-ლი მაისისათვის

„დეილი ჰერალდი“-ს მამხილებელი მასალები კუტეპოვის „გატაცების“ შესახებ

ევროპის პროლეტარიატი ემზადება პირველი მაისის ჩასატარებლად

საფრანგეთი.

მასების რევოლიუციონური აქტივობის ზრდის ნიშან ქვეშ

პარიზი, 15 აპრილი. 1 მაისისათვის მზადება, რომელსაც კომპარტია და უნიტარული პროფკავშირები მეთაურობენ, მუშათა მასების რევოლიუციონური აქტივობის გაძლიერების ნიშან ქვეშ მიმდინარეობს.

სოციალისტების მიტინგს პა დე-კალეს დეპარტამენტის ქვანახშირის რაიონში 300 კაცზე მეტი არ დასწრებია. კომპარტიის მიერ გამართულ კონტრდემონსტრაციაში კი მონაწილეობა მიიღო 3.000-ზე მეტმა სამთამადნო მუშამ. მუშებმა ძახილით: „გაუმარჯოს საბჭოებს, ძირს სოციალ-ფაშისტები“ დაიჭირეს შრომის ბირჟის შენობა, რომელშიაც გაიმართა დიდი მიტინგი კომპარტიისა და უნიტარული პროფკავშირების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

პარიზის [illegible] დარგის მუშათა სადელეგატო კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია მუშათა ეკონომიური მოთხოვნებისათვის გადამწყვეტი ბრძოლისა და 1 მაისისათვის ფართო მზადების შესახებ.

კომპარტიის წინადადებით, კონფერენციამ მიიღო შეფობა მესანგრეთა პოლკზე. (ადს).

გერმანია

ცერგიბელი რეპრესიებს ამზადებს კომუნისტური დემონსტრაციების წინააღმდეგ

ბერლინი, 16 აპრილი. კომპარტიამ დაიწყო კამპანია პირველი მაისის დემონსტრაციის გასამართავად ბერლინის უდიდეს მოედანზე. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ისიც იწვევს დემონსტრაციას ერთი საათით გვიან.

ცერგიბელმა უკვე აკრძალა ორკესტრის მონაწილეობა კომუნისტურ დემონსტრაციაში. სოციალ-დემოკრატიულ დემონსტრაციაზე ორკესტრები ნებადართულია.

„როტე ფანე“ აცხადებს, რომ ბერლინის მუშები არ მიიღებენ მონაწილეობას პირველი მაისის მკვლელთა დემონსტრაციაში და გამოვლენ ქუჩაში კომპარტიის ხელმძღვანელობით და მისი ლოზუნგებით. (ადს).

ბრძოლა წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვის წინააღმდეგ

ბერლინი, 15 აპრილი. ჰამბურგში შესდგა წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტის კრება. კრებას თავს დაესხა პოლიცია. დაპატიმრებულია 287 კაცი, მათ რიცხვში 22 ქალი. დაპატიმრებულებს გამოესარჩლენ მუშები და მოაწყვეს თანაგრძნობის დემონსტრაცია. (ადს).

სნოუდენის „სოციალისტური“ ბიუჯეტი

160.000.000 მანეთის ეკონომია სოციალური დაზღვევის შემცირების ხარჯზე და 2.500.000 მან. ეკონომია შეიარაღების „შემცირებაზე.“—ბიუჯეტის 60 პროცენტი სამხედრო საჭიროებისათვის.

ლონდონი, 15 აპრილი. ფინანსთა მინისტრმა სნოუდენმა თემთა პალატაში წარმოსთქვა სიტყვა 1930-31 წლის ბიუჯეტის პროექტის დასაცავად. შემოსავლის საერთო თანხა გამოანგარიშებულია 789.445.000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით ხოლო გასავლის — 781.909.000 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით.

სნოუდენი შეეხო იმ ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა შეამცირონ შარშანდელი დეფიციტის თანხა. ამ ღონისძიებებში შედის სოციალური უზრუნველყოფის შემცირება 16 მილიონი გირვ. სტერლინგით და შემოსავლის გადასახადისა და ლუდის გადასახადის გადიდება. გარდა ამისა, სამემკვიდრეო გადასახადის გადიდებით მიღებული იქნება 24 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

სნოუდენმა განაცხადა, რომ დამატებით დაბეგრილი იქნება ის კლასი, რომლისათვისაც დაბეგვრა არ ნიშნავს „ხელის აღებას რაციონალურ ფუფუნებისა და სიამოვნებაზე“-ო.

სნოუდენის პირველი „სოციალისტური ბიუჯეტი“ საპნის ბუშტი გამოდგა. სნოუდენმა თავისი ორატორული მჭევრმეტყველება წვრილმან საკითხებს მოახმარა. იგი ცდილობდა [illegible] უმაღლეს მოსამსახურეთა მცირე ჯგუფის განთავისუფლება გადასახადებისაგან და გვერდი აუხვია ბიუჯეტის ძირითადი საკითხებისათვის, რომელნიც განსაზღვრავენ საგადასახადო ტვირთის მთავარი მასის განაწილებას.

სნოუდენი იძულებული იყო ეღიარებია, რომ სამხედრო ბიუჯეტი შემცირდა სულ 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგით, მიუხედავად საზღვაო კონფერენციის სამი თვის მუშაობისა. ამასთან ერთად სნოუდენმა დუმილით აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ 500 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი, ე. ი. მთელი ნაციონალური გასავლის 60 პროცენტზე მეტი, იხარჯება იმ ვალდებულებებზე, რომელნიც გამომდინარეობენ წარსული ომიდან და დაკავშირებულნი არიან მომავალი ომების მზადებასთან. სასურსათო პროდუქტებისა და პირველი მოთხოვნილების სხვა საგნების დაბეგვრიდან მიღებულია უდიდესი შემოსავალი. ახალ ბიუჯეტში თითქმის სრულებით არ შეცვლილა. მუშათა მასებს სნოუდენი შეეხო ერთად-ერთი ფრაზით — მან დაუსაბუთებლად განაცხადა, რომ „მიუხედავად დიდი უმუშევრობისა, მასების საერთო მსყიდველობითი უნარი არ შემცირებულა“-ო. ისეთი ფაქტების ფონზე, როგორიცაა ბამბეულის მრეწველობის ნახევარი მილიონი მუშის შრომის ხელფასის ამ ცოტა ხნის წინად შემცირება და ახლანდელი ცდები — შემცირებულ იქნას შალეულის მრეწველობის მუშათა შრომის ხელფასი, სნოუდენის განცხადება უტიფარ სიცრუეს წარმოადგენს.

ლონდონის კონფერენციაზე

გაზეთების შიში

ლონდონი, 15 აპრილი. ლონდონის კონფერენციაზე მოლაპარაკება ძალიან აჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. კონფერენციის მთავარი ხელმძღვანელები ცდილობენ რაც შეიძლება ჩქარა გამოიმუშაონ შეთანხმება. პრესის ცალკე ორგანოები ამის გამო შიშს გამოსთქვამენ და აღნიშნავენ, რომ ნაჩქარევად შედგენილმა შეთანხმების პროექტმა შეიძლება სერიოზული გაუგებრობა გამოიწვიოს სახელმწიფოებს შორის. (ადს).

„სააღდგომოთ“ ისვენებენ „განიარაღებისაგან“

ლონდონი, 15 აპრილი. ლონდონის საზღვაო კონფერენციის უცხოეთის დელეგაციების წევრები სააღდგომო არდადეგების დროს ლონდონიდან მიდიან.

კონფერენციის პლენარული სხდომაზე ექსპერტებმა შეთანხმების ძირითად პუნქტებში აუარებელი შენიშვნა შეიტანეს, რამაც ნათელი გახადა, რომ შეუძლებელია დოკუმენტების მალე დამზადება ხელისმოსაწერად. (ადს).

საბჭოთა ხელისუფლება ფუძიანში

შანხაი, 15 აპრილი. გაზეთი „საუტ-ჩაინა მორნინგ პოსტ“-ი, რომელიც ჰონკონგში გამოდის, აღნიშნავს, რომ „ფუძიანის პროვინციის აქამდე მოუწესრიგებელი მდგომარეობა საშუალებას აძლევს კომუნისტებს, გააძლიერონ მოქმედება და განამტკიცონ თავიანთი პოზიციები“.

გაზეთის სიტყვით, კომუნისტებმა შექმნეს საბჭოთა მთავრობა, რომლის ძალაუფლებაც ვრცელდება ფუძიანის პროვინციის დასავლეთ ნაწილის ბევრი ქალაქის რაიონებზე. საბჭოთა მთავრობამ მოახდინა თავისი ჯარის რეორგანიზაცია და ჩამოაყალიბა სამი რაზმი. როგორც გაზეთი იუწყება, იმ რაიონებში, რომლებიც წითელ რაზმებს უჭირავთ, სახელმწიფო და კერძო სკოლები გადაქცეულ იქნა ლენინიზმის სკოლებად, სადაც კომუნისტური მოძღვრების საფუძვლებს ასწავლიან. (ადს).

საფრანგეთის სასამართლოს მორიგი თავხედობა

სენის დეპარტამენტის კომერციული სასამართლო ყალბი თამასუქების დამამზადებელთა ინტერესების დამცველის როლში

პარიზი, 15 აპრილი. ვექილებმა რომლებიც იცავდნენ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის ინტერესებს პარიზში, მიიღეს სენის დეპარტამენტის კომერციული სასამართლოს ოთხი დადგენილების ტექსტის დედანი იმ სეკვესტრების ძალაში დატოვების შესახებ, რომლებიც დაადეს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის და ნავთის სინდიკატის ქონებას. დადგენილებათა ტექსტში აღნიშნული არ არის „საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობისა და მასთან სავაჭრო ურთიერთობის მერყეობა“, რის შესახებაც იუწყებოდნენ ჰავასის სააგენტო და პარიზის ზოგიერთი გაზეთები.

ტექსტში არ არის მოყვანილი არც სხვა პოლიტიკური ხასიათის რაიმე მოსაზრება. დადგენილება იმ სეკვესტრის შესახებ, რომელიც ქონებას დაადო ყალბი თამასუქების პატრონთა პრეტენზიების ძალით, როგორც სავაჭრო წარმომადგენლობის საჩივრის უარყოფის მოტივი, იხსენიებს, რომ ამ თამასუქების სიყალბე „დამტკიცებული არ არის“ და „თამასუქების“ პატრონთ მიკუთვნებული აქვთ ყველა ის უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ თამასუქების მფლობელობიდან“.

კუტეპოვის „გატაცებას“ ფარდა ეხდება

თეთრგვარდიელთა და ინგლისის კონსერვატორების კავშირი

„მორნინგ პოსტ“ ხელს უწყობდა თეთრგვარდიელებს ანტი-საბჭოთა მებრძოლი ორგანიზაციების შექმნაში

ლონდონი, 15 აპრილი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“-ი აქვეყნებს მასალას შემდეგი სათაურით: „თეთრი არმიის საიდუმლო შეთქმულება ლონდონში“. ეს მასალა შუქს ჰფენს კუტეპოვის ისტორიისა და მთელი ანტისაბჭოთა კამპანიის რაობას. იგი ფარდას ხდის რუს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების კავშირს ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციონურ წრეებთან, აგრეთვე კონსერვატიულ „მორნინგ პოსტ“-თან, რომელიც დამწყები და მეთაურია ანტისაბჭოთა კამპანიისა ინგლისში. გაზეთი აღნიშნავს, რომ სკოტლანდ-იარდის სპეციალური აგენტები ენერგიულად აწარმოებენ შეთქმულების მთავარ მონაწილეთა მუშაობის შესწავლას. ირკვევა, რომ კუტეპოვის ვითომდა გატაცება გამოყენებულ იქნა საბაბათ თეთრგვარდიელთა ორგანიზაციის შემკრები მუშაობისათვის. 27 მარტს გაზეთ „მორნინგ პოსტ“-ში დაიბეჭდა განცხადება: „გენერალი კუტეპოვი, ამ პირებს, რომლებიც თანაუგრძნობენ ამ მამაცი ჯარისკაცის მოღვაწეობას და დაინტერესებულნი არიან მისი ბედით, წინადადება ეძლევათ დაუკავშირდნენ სრნ-ს 3735, „მორნინგ პოსტ“-ის მისამართით“.

„დეილი ჰერალდ“-ი აცხადებს, რომ იმ პირებმა, რომლებიც ამ განცხადებას გამოეხმაურნენ, პასუხად მიიღეს რწმუნების წერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მიმღებმა თავი უნდა ჩასთვალოს წმინდა ფიცით შეკრულად და იმოქმედოს როგორც „მებრძოლმა ფარულმა“ მოძრაობის მიზნების განსახორციელებლად. მიმღებმა თავის წრეში უნდა შეკრიბოს ისეთი პირები, რომლებიც პიროვნული თვისებებისა და საქმისადმი ერთგულების მიხედვით, შეიძლება გაყოფილ იქნან ორ კატეგორიად; ეს კატეგორიებია: 1. ორგანიზაციულად დარაზმული ძალის პირადი შემადგენლობა—ჯარისკაცები, მეზღვაურები, მფრინავები, და სხვანი, რომელნიც მზად უნდა იყვნენ რუსეთის უმაღლესი მონარქისტული სარდლობის პირველი მოწოდებისთანავე შეუდგნენ საქმისათვის სამსახურს; 2. ის პირები, რომლებსაც სურთ ჯერ-ჯერობით მოახმარონ საქმეს თავიანთი მწერლობის უნარი, ორატორული ხელოვნება და პროექტების დამუშავებისათვის საჭირო ტეხნიკური ცოდნა. ცირკულიარი მოუწოდებს მიმღებს—ყოველი ღონე იხმაროს მოძრაობის თანაგრძნობი პირების შესაკრებად, აგრეთვე ისეთი პირების გამოსანახავად, რომლებიც თანახმანი იქნებიან მისცენ ორგანიზაციის ბიუროს სათანადო სადგომი ლონდონში.

ცირკულიარის ბოლოში აღნიშნულია ორგანიზაციის განსაკუთრებული მიზნები: 1. განთავისუფლეთ კუტეპოვი მისი გადარჩენით ან მის სამაგიეროდ მძევლების ხელში ჩაგდებით. 2. აღადგინეთ რუსეთში ცარიზმი. თანამგრძნობთ წინადადება ეძლევათ განაცხადონ, სურთ თუ არა კონფერენციაზე დასწრება. წერილობითი ცნობები უნდა გაიგზავნოს სპეციალური სამისამართო დაწესებულების „მონომარკ“-ის საშუალებით.

„დეილი ჰერალდ“-ი განაგრძობს მხილებას თეთრგვარდიელთა ძალების დარაზმვის შესახებ ინგლისში და აცხადებს, რომ, როგორც ახლა რუსეთის ყოფილი თეთრი არმიების ოფიცრები იუწყებიან, ეს გეგმა შედგენილ იქნა მას შემდეგ, როცა პარიზში უარჰყვეს არსებული საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომელთა გატაცების გეგმა.

„დეილი ჰერალდ“-ის მხილების გამო, „დეილი უორკერ“-ი აცხადებს, რომ „ლეიბორისტული მთავრობა სტუმართმოყვარეობას უწევს რუს თეთრგვარდიელებს, ხელს უწყობს სამღვდელოებისა და პაპის ანტისაბჭოთა პროპაგანდას, გულმხურვალედ იცავს საბჭოთა იმ მოქალაქეებს, რომლებმაც საბჭოთა კანონები დაარღვიეს, პრეტენზიებს უდგენს საბჭოთა მთავრობას და მოითხოვს მისგან მეფის დროინდელი ვალების გადახდას და კომპენსაციების მიცემას იმ თეთრგვარდიელებისათვის, რომლებსაც მეფის დროინდელი ფასიანი ქაღალდები აქვთ“. (ადს).

ჩინეთი და საბჭოთა კავშირი

ნანკინის მთავრობის ნოტა

შანხაი, 15 აპრილი. საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით გომინის სააგენტო იუწყება, რომ გენერალურ კონსულს ხარბინში მელნიკოვს გადაეცა ნანკინის მთავრობის ნოტა მომავალი ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის შესახებ. ნოტის შინაარსი არ გამოქვეყნდება.

გომინის სააგენტო ფიქრობს, რომ ნოტა შეიცავს ოფიციალურ განცხადებას მო დეგუის დანიშვნის შესახებ სრულუფლებიან დელეგატად კონფერენციაზე და აღნიშნავს, რომ მო დე-გუი 1 მაისს გაემგზავრება ხარბინში. (ადს).

ჩინეთის გენერალური კონსული ვლადივოსტოკში

შანხაი, 15 აპრილი. საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ ჩინეთის გენერალი კონსული სუნ ვეი-პინი ჩავიდა ვლადივოსტოკში და შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. (ადს).

ჩინეთის კონსულები საბჭოთა კავშირში

შანხაი, 15 აპრილი. როგორც გომინი იუწყება, ვლადივოსტოკში, ხაბაროვსკში და ჩიტაში დაინიშნენ ჩინეთის ახალი კონსულები. (ადს).

ნანკინი ოცნებობს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამოსყიდვაზე

შანხაი, 15 აპრილი. ადგილობრივი ჩინური გაზეთების გადმოცემით, ნანკინის წრეები ოცნებობენ უცხოეთში სესხის აღებას და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამოსყიდვაზე. მაგრამ მათ აშინებთ ის, რომ საბჭოთა მთავრობა ამ საკითხში მტკიცედ დაიცავს პეკინის და მუკდენის შეთანხმებებს, რომელთა მიხედვითაც რკინის გზის გამოსყიდვა შეიძლება მხოლოდ ჩინეთის ნაციონალური სახსრებით. ამ შეთანხმებებით აკრძალულია უცხოეთის კაპიტალის გამოყენება გზის გამოსასყიდად. მუკდენელები კი, პირიქით, ფიქრობენ, რომ მხარეები მოსკოვის კონფერენციაზე ადვილად შესძლებენ შეთანხმების მიღწევას. (ადს).

იტალიელ მუშების შეტაკება ფაშისტებთან

პარიზი, 15 აპრილი. მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება იტალიელ ფაშისტებსა და იტალიელ პოლიტიკურ ემიგრანტ მუშებს შორის. შეტაკების დროს მოკლულ იქნა ორი ფაშისტი და მძიმედ დაიჭრა ერთი მუშა. (ადს).

ბრედფორდის ფეიქრების ბრძოლა

რეფორმისტებმა შექმნეს თავიანთი „მოქმედების კომიტეტი“

ბრედფორდი, 15 აპრილი. გაფიცვის ხელმძღვანელობის ხელში ჩასაგდებად, რეფორმისტებმა ბრედფორდში მოიწვიეს თავიანთი „მოქმედების კომიტეტი“. კომიტეტის სხდომაზე პროფბიუროკრატებმა უკანონოდ გამოაცხადეს მასიური საგაფიცვო პიკეტები, ამასთან ისინი მოუწოდებდნენ მუშებს—„სასტიკად დაემორჩილონ კანონებს“. (ადს).

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ იაპონიაში

ტოკიო, 15 აპრილი. სხვადასხვა ქალაქში მოხდა იმ პირთა გასამართლება, რომელთაც კომუნისტური მუშაობა ბრალდებოდათ. ამორიში 9 კაცს მიუსაჯეს პატიმრობა 2-დან 7 წლამდე, აკიტში 8 კაცს მიუსაჯეს—2-დან 6 წლამდე, იოკოჰამაში 18 კაცს—2-დან 8 წლამდე.

იოკოჰამაში სასამართლოს პროკურორმა განაჩენი ლმობიერად მიიჩნია და გაასაჩივრა. (ადს).

ვ. მაიაკოვსკის თვითმკვლელობის გამო

მოსკოვის ელექტრო-ქარხნის მუშების მიმართვა

მოსკოვი, 16 აპრილი. მოსკოვის ელექტრო ქარხნის მუშების მოწოდებაში ნათქვამია:

„ქარხნის მუშები ამხ. მაიაკოვსკის იცნობენ, როგორც მებრძოლს ახალი ცხოვრებისათვის. იანვარში ელექტრო ქარხანამ გადასწყვიტა რაციონალიზატორულ ლაშქრობას შესდგომოდა დანაკარგებთან ბრძოლის ათდღიურით. ქარხანამ მიმართა ბევრ მსხვილ ჟურნალის მხატვრული საშუალებებით ხელი შეეწყოთ ათდღიურისათვის, მაგრამ ჟურნალები სდუმდნენ. საკმაო იყო ერთი ნიშანი ამხ. მაიაკოვსკისათვის, რომ მას ეცნობებინა: „სიამოვნებით დავეხმარები ქარხანას. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემ დასვენებას ან ძილს, ლოგინშიაც რომ ვიყო — წამომაყენეთ“. საბჭოთა კავშირში პირველად მოწყობილმა დანაკარგებთან ბრძოლის კამპანიამ ჩაიარა მაიაკოვსკის მიერ მოცემული შემდეგი ლოზუნგით: „მოლაყბე სამუშაო საათების გამფლანგველია. მუშაობის დროს ენას კლიტე დაადე“! „შორს ელექტრო ქარხნიდან ღვთისმოსავი გამდევნი“! „ნუ გასცვლი ქარხნის საყვირს ზარის რეკაზე“!

„ჩვენ ვერ გავამართლებთ ისეთი რევოლიუციონური პოეტის თვითმკვლელობას, — ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში, — რომელიც ყოველ თავის ლექსში და ყოველ ლოზუნგში მოგვიწოდებდა ახალი ცხოვრებისაკენ. მხოლოდ მძიმე ავადმყოფობით შეიძლება ავხსნათ ეს დეზერტირობა დიადი მშენებლობიდან, რომლისკენაც ასე ძლიერად მიგვიწოდებდა ამხ. მაიაკოვსკი. მისი ლექსით, ჩვენთვის ცოცხალი ლექსით ვაცხადებთ ჩვენ ახლა: „ვერას დაგვაკლებენ ბურჟუების ქოფაკები. წინ ხუთწლედისთვის — ოთხ წელიწადში“.

მოწოდებას ხელს აწერენ ქარხნის პარტკომი, მელითონეთა კავშირის რაიკომი და ქარხნის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია. (ადს).

მაიაკოვსკის სახელობის სტიპენდია

მოსკოვი, 16 აპრილი. მაიაკოვსკის გვამის კრემაცია მოხდება 17 აპრილს. დაკრძალვის ორგანიზაცია იკისრა მოსკოვის საბჭომ. მწერალთა ფედერაცია გამოსცემს „ლიტერატურულ გაზეთ“-ის საგანგებო ნომერს, რომელიც მაიაკოვსკის მიეძღვნება. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტომ დანიშნა მაიაკოვსკის სახელობის სტიპენდია ჟურნალისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტში. იმავე სააგენტოში ეწყობა „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ვიტრინა“, სადაც გამოფენილი იქნება პლაკატები, კარიკატურები და ლექსით შესრულებული წარწერები, დახატული და დაწერილი მაიაკოვსკის მიერ. (ადს).

მაიაკოვსკის კუბოსთან

მოსკოვი, 16 აპრილი. 15 აპრილს შებალზამებულ იქნა მაიაკოვსკის გვამი, რის შემდეგაც იგი მოათავსეს მწერალთა კლუბში სახალხო გამოთხოვებისათვის. ცხედართან საპატიო სამოქალაქო ყარაულში იდგნენ და ერთი მეორეს სცვლიდნენ მწერლები, არტისტები, მხატვრები, სტუდენტები და მუშები. ყარაულში იყვნენ ამხ-ბი ბუხარინი, კრუმინი, ხალატოვი, ლუნაჩარსკი, ასეევი, კოლცოვი, ტრეტიაკოვი, ფელიქს კონი, კერჟენცევი, ბაბელი, სეიფულინა, დოვჟენკო და სხვ. ერთი დღის განმავლობაში კუბო ცხედარი 50 ათას კაცმა ინახულა. (ადს).

საკავშირო პარტთათბირისათვის სახალხო განათლების შესახებ

კულტურული მუშაობის ახალი მეთოდები და მთლიანი გეგმა

(ამხ. კრუპსკაიას მოხსენების თეზისების-პროექტი)

1. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როდესაც, ვლადიმერ ილიჩის გამოთქმით, „გლეხის ჯაჭრაკა ცხენიდან“ ჩვენ უნდა გადავჯდეთ „მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის, ელექტროფიკაციის, „ვოლხოვსტროის“ და სხ. ცხენზე“, ყველაფერი ეს არაჩვეულებრივად ამზადებს ახალ მილიონებს შეგნებული ცხოვრებისათვის. მასების პოლიტიკური განათლების ფართოდ გაშლას და მათთვის ფართო პოლიტიკური ინფორმაციის მიწოდებას (გაზეთების მილიონიანი ტირაჟი, რადიო, კინო), დაკავშირების ახალ ფორმებში (კულტლაშქრობის, წითელი არმიის, ბრიგადების მუშაობით და სხვ.) გამოჰყავთ სოფელი საუკუნეებით გამოკიცებული ჩამორჩენილობიდან და უღვიძებენ მასებს ცოდნის წყურვილს და სწავლებისაკენ მისწრაფებას. ამავე დროს სოციალისტური მშენებლობა ეყრდნობა მასებს და არ შეიძლება არ ეყრდნობოდეს მათ შეგნებას და თვითმოქმედებას. ჩვენ სისტემატიურად ვაუმჯობესებთ საბჭოების სისტემას, ვანვითარებთ და ვამაგრებთ ქვედა საფეხურის საბჭოებს, ვანვითარებთ სოციალისტურ შეჯიბრებას, ყოველნაირად ვრაზმავთ მასების თვითმოქმედებას, და მასები იზრდებიან და ირაზმებიან გაშლილ კლასობრივ ბრძოლაში, ხარისხობრივად მაღლდებიან. მაგრამ ამავე დროს უფრო საგრძნობი ხდება, ვიდრე ოდესმე, ის, თუ ყოველ ნაბიჯზე, როგორ უშლიან ხელს ახალ მშენებლობას ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობა, სიბნელე და წერა-კითხვის უცოდინარობა, განსაკუთრებით ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა კულტურული ჩამორჩენილობა. ამის გამო ჩვენ წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით ისახება კულტურული რევოლიუციის ორგანიზაციის ამოცანა.

2. მასებისათვის კულტურული სამსახურის გაწევის ძველი, ბიუროკრატიული, წარსულის მიერ დატოვებული, წმინდა აპარატული ხასიათის მეთოდების სრული უვარგისობა ყოველ ნაბიჯზე აშკარავდება, საჭიროა ახალი მეთოდები და მასებისათვის სამსახურის გაწევის ახალი ორგანიზაცია. გარდატეხა უკვე დაიწყო და ამ გარდატეხის მთავარი ნაკვეთები უკვე ჩასახულია, მაგრამ ჯერ კიდევ მთელი საქმე სტიქიურად მიმდინარეობს, ამიტომ საჭიროა უკვე არსებული გამოცდილების თავმოყრა და მთელი მოძრაობის მოქცევა განსაზღვრულ, მთლიან და ორგანიზაციულად განმტკიცებულ კალაპოტში.

სარატოვის, ორიოლის და კურსკის ოლქების, ცენტრალური შავმიწადაიანი ოლქის, ბაუმანის რაიონის, ქალაქ მოსკოვის, მოსკოვის ოლქის, ირბიტის რაიონის, კრასნოპოლიანის ოლქის და მთელი რიგი სხვა რაიონების გამოცდილება მთლიანად უნდა გამოვიყენოთ. ეს გამოცდილება გვეუბნება, რომ მასებისათვის კულტურული სამსახურის გაწევის მთელ საქმეს უნდა მიეცეს სხვა და არაჩვეულებრივად ფართო გაქანება, რომ კულტურული მშენებლობის ყველა საფეხურზე უნდა დამყარდეს ბევრად უფრო ღრმა კავშირი ერთის მხრით კულტურული მუშაობისა და სოციალიზმის მშენებლობისა და მეორეს მხრით პროლეტარიატის იმ კლასობრივი ბრძოლის შორის, რომელიც დღითი-დღე იშლება ჩვენი ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით, მუშაობის გაშლა-განვითარება მოითხოვს კულტარმიელების უფართოესი ფენების ჩაბმას მასში და ამ ფენების პოლიტიკურად და მეთოდიურად მომზადებას, რაც შეუძლებელია ისე, თუ მათთან მუშაობაში ჩაბმულნი არ იქნებიან უმაღლესი სასწავლებლები, ტეხნიკუმები და მეორე საფეხურის სკოლები, ე. ი. ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის უმაღლესი და საშუალო რგოლები. საჭიროა თვით ფართო მასების ორგანიზაცია ახალ საფუძველზე, მასების კოოპერატიულად გაერთიანება კულტურული თვითსამსახურის გაწევისათვის, სისტემატიური ხელმძღვანელობა განვითარების გზაზე დამდგარ მუშებისათვის, კოლმეურნეთა და ღარიბ-საშუალო გლეხთა აქტივისათვის, საჭიროა ქაღალდზე დაწერილი ხელმძღვანელობა უშუალო ხელმძღვანელობად გადაიქცეს.

ამ მიზნით საჭიროა საბჭოთა აპარატის გარკვეული მუშაობა, ყურადღება ამ მუშაობისადმი სამეურნეო მუშაკების მხრით და, რაც ყველაფერის საფუძველია — პარტიის და მისი ორგანოების მხრით ამ საქმისადმი იმ ყურადღების მიპყრობა, რომელსაც გვიკარნახებს კულტურული მშენებლობის საქმის მნიშვნელობა დღევანდელ ისტორიულ მომენტში.

3. მთელი კულტურული მუშაობა უნდა მოეწყოს მთლიანი გეგმის მიხედვით, რომელიც უნდა შეიცავდეს კულტურული მუშაობის ყველა საფეხურებს, დაწყებული უმდაბლესიდან — წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია — და გათავებული უმაღლესით — უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტები — რომელი ორგანიზაცია და უწყებაც არ უნდა ეწეოდეს ამ მუშაობას. ბოლო უნდა მოეღოს იმ სხვადასხვაობას, პარალელიზმს და დაქსაქსულობას, რომელსაც ამჟამად აქვს ადგილი კულტურული მშენებლობის დარგში.

კულტურული მუშაობის მთლიანი გეგმის შექმნა და მისთვის მთლიანი ფინანსიური საფუძვლის დადება უნდა განხორციელდეს გენერალური ხელშეკრულებების დადების ფორმით სახალხო განათლების ორგანოებთან, პროფკავშირებთან, კომკავშირთან, კოოპერაციასთან, სხვადასხვა ნებაყოფლობით საზოგადოებებთან და სხვა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ არა მარტო კულტურული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილის მთლიანობა სოფლად, რაიონში, ოლქში და მხარეში, არამედ იმ ვალდებულებათა გარკვეული განაწილებაც, რომლებსაც ღებულობს თავის თავზე ხელშეკრულების დამდები თვითეული ორგანიზაცია.

ამ მთლიანობის მაქსიმალური განმტკიცებისათვის სახალხო განათლების საქმის მოწყობის დროს უნდა შეიქმნას ახალი ტიპის ფართო კულტურული საბჭოები — კულტურული რევოლიუციის ერთგვარი შტაბები, რომლებიც უნდა დაეხმარონ სახალხო განათლების განყოფილებას და პროლეტარული სახელმწიფოს ორგანოებს — წესიერად განახორციელონ ხელმძღვანელობა და გახადონ იგი არა ფორმალურ ბიუროკრატიულად, არამედ ცოცხალი და უშუალო საქმედ, რომელიც დაყრდნობილი იქნება შეკავშირებული პროლეტარული საზოგადოებრიობის თვითმოქმედებაზე.

4. მთლიანი გეგმა უნდა აშენდეს თვითეულ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების გათვალისწინების საფუძველზე, ხოლო მისი განვითარების პერსპექტივა — საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საერთო განვითარებისათვის მიღებული ტემპების საფუძველზე. დარაიონება და ხუთწლედი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევიან.

მაგრამ კულტურული ხუთწლედის გეგმები ჯერ დამყარებიან მარტო სამეურნეო მაჩვენებლებს და მათ უნდა გაითვალისწინონ ქვეყნის ნაციონალური, ისტორიული და კულტურული თავისებურებანი, აგრეთვე ქვეყნის წინაშე მდგომი მიმდინარე პოლიტიკური ამოცანები. თავის თავად ცხადია, გეგმა არ უნდა წარმოადგენდეს კამპანიების შემთხვევით ხუხულას, იგი უნდა იყოს ღერძი და კამპანიები ისე უნდა მოეწყოს, რომ თავისი კონკრეტული მიზნის დაცვასთან ერთად, ისინი აღრმავებდნენ და ამაგრებდნენ მთელი სოციალისტური მშენებლობის ძირითად მიმართულებას.

5. კულტურული მუშაობის მთლიანი გეგმა მიყვანილი უნდა იქნას ყოველ სოფლამდე, ქალაქის რაიონებამდე, საწარმომდე, ეს გეგმა უნდა იყოს შეფარდებული ყოველი ცალკე სოფლის და საწარმოს პირობებთან და განხილული მასების მიერ. ყოველ სოფელს და ყოველ საწარმოს უნდა ჰქონდეს თავისი კულტურული მუშაობის ინდივიდუალური გეგმა მახლობელი წლისა და ხუთწლედისათვის. ეს გეგმა უნდა შესდგეს იმავე პრინციპების მიხედვით, როგორც მთელი მხარის გეგმა, მაგრამ უნდა გათვალისწინებულ იქნას ადმინისტრატიული ერთეულის (რაიონი, ოლქი) ყველა მასალები. გეგმა უნდა შეადგინოს სახალხო განათლების განყოფილებამ სოფლის საბჭოსთან ან ქალაქის საბჭოსთან ერთად, პარტიული და კომკავშირული უჯრედის და დელეგატი ქალების მონაწილეობით, აგრეთვე ყველა იმ ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებიც მოცემულ რაიონში კულტურულ და სამეურნეო მუშაობას აწარმოებენ. გეგმა უნდა დაამტკიცოს სარაიონო კომიტეტმა და რაიაღმასკომმა და მის საფუძველზე უნდა იქნას შეტანილი შესწორებები ოლქის და მხარის გეგმაში, რომელიც ამით უფრო კონკრეტული და ცხოველმყოფელი გახდება.

6. სოფლის, საწარმოს და რაიონის მთლიანმა გეგმამ უნდა გაითვალისწინოს ყველა ის არსებული ძალები და საშუალებები, რომლებიც შეიძლება გადასროლილ იქნას კულტურულ ფრონტზე. სახეში უნდა იქნას მიღებული ყველა კულტურული დაწესებულებების და ორგანიზაციების მუშაობის შეთანხმების საჭიროება, სკოლა უნდა მუშაობდეს საბავშვო ბაღთან, ქოხ-სამკითხველოსთან, ბიბლიოთეკასთან, პიონერ-ორგანიზაციასთან შეთანხმებით, ქოხ-სამკითხველო უნდა დაეყრდნოს სკოლის, კოოპერაციის და პროფკავშირებს, პროფკავშირები—სახალხო განათლების განყოფილების ორგანოებს და დაწესებულებებს და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, ყოველმა დაწესებულებამ გარკვეულად უნდა განსაზღვროს უფლება-მოვალეობანი და მატერიალური ხარჯები, ყოველმა სოფელმა, ყოველმა საწარმომ და ყოველმა რაიონმა უნდა შეადგინოს კულტურული მუშაობის გენერალური გეგმა და მის საფუძველზე თვითეულმა ორგანიზაციამ მოაწეროს ხელი გენერალურ ხელშეკრულებას. ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების კონტროლი დაეკისრება დაწესებულებათა არჩეულ საბჭოებს და ამ საბჭოებში შემავალ კულტრწმუნებულებს, მთლიანად კი სათანადო სოფლის საბჭოს ან ქალაქის საბჭოს კულტკომისიებს.

7. სახალხო განათლების განყოფილების აპარატის შემოკლებისა და მუშათა და ღარიბ-საშუალო გლეხთა მოსახლეობის თვითმოქმედების ამაღლების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კავშირს სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებსა და სხვადასხვა კულტურულ ცენტრებს შორის და იმ დახმარებას, რომელსაც მაღლა მდგომი დაწესებულებები და უფრო ძლიერი ცენტრები ქვემდგომ და უფრო სუსტ დაწესებულებებს გაუწევენ. სკოლა უნდა ეხმარებოდეს საბავშვო ბაღს, მეორე საფეხურის სკოლა და ტეხნიკუმი—პირველ საფეხურის სკოლას, წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლას და ქოხ-სამკითხველოს, უმაღლესი სასწავლებელი—ტეხნიკუმს, მეორე საფეხურის—პროფსკოლას და კულტარმიელებს; ცენტრალური ბიბლიოთეკა—რაიონულ ბიბლიოთეკებს, საქარხნო სამკითხველოებს, წითელ კუთხეებს, სამკითხველო-კლუბებს და პიონერ-ორგანიზაციებს; თეატრი—თვითმოქმედ წრეებს და ქოხ-სამკითხველოებს; კულტურის სახლი—ქოხ-სამკითხველოებს, სამკითხველო-კლუბებს და საბავშვო კლუბებს; ქოხ-სამკითხველო და კლუბი—სამკითხველო-წითელ კუთხეებს. ქალაქი უნდა ეხმარებოდეს სოფელს, საბჭოთა მეურნეობა—კოლმეურნეობას, ის საბჭოთა და კოლმეურნეობანი, სადაც არის მძლავრი სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და კულტურის სახლები—უფრო სუსტ კოლმეურნეობებს და ჯერ კიდევ კოლექტივიზაციის გარეშე დარჩენილ სოფლებს, უფრო მძლავრი და უფრო კულტურული კოოპკავშირები—ბეჭდვითი სიტყვას; მიმოსვლის საშუალებანი, რადიო, სატელეფონო კავშირი ადვილებენ მუშაობის მოძრავ ფორმებს, ინსტრუქტაჟს და კულტურულ დახმარებას.

8. მთელი ჩვენი რევოლიუციის უფრო მაღალ საფეხურზე (შეჯიბრების განვითარება, სოფლის მეურნეობის მასიური კოლექტივიზაცია და სხვა) გადასვლა მოითხოვს იმას, რომ მასების კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმემ სახალხო განათლების სისტემაში სრულიად სხვა [illegible] დაიჭიროს, ვიდრე ეს იყო აქამდე პრაქტიკაში. პარტიამ და კომკავშირმა ამ მუშაობაში ბევრად უფრო მეტი მონაწილეობა უნდა მიიღონ და სხვადასხვა მასიური ორგანიზაციების (პროფკავშირები, კოოპერაცია და სხვა) საერთო კულტმუშაობაში პასუხისმგებლობის გადიდება მოსპობს კულტურულ მუშაობაში არსებულ პარალელიზმს და სხვადასხვაობას და ისეთ სიმაღლეზე აიყვანენ მას, რომელსაც მოითხოვს სოციალისტური მშენებლობის გაქანება დღევანდელ ისტორიულ ეპოქაში.

მ ო ს კ ო ვ ი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სუბტროპიკული კომიტეტის შემადგენლობა

მოსკოვი, 16 აპრილი. სახკომსაბჭომ დაამტკიცა საკავშირო სუბტროპიკულ კომიტეტის შემადგენლობა. თავმჯდომარეთ გამოყოფილია ამხ. გრინკო, მის პირველ მოადგილეთ ამხ. მამულია და მეორე მოადგილეთ ამხ. საბლინი გარდა ამისა კომიტეტის შემადგენლობაში ერთი ადგილი დაეთმო სომხეთს, ერთი საქართველოს და 2—შუა აზიის რესპუბლიკებს.

ლენინის რჩეულ ნაწერების კრებული

მოსკოვი, 16 აპრილი. ლენინის ინსტიტუტის დირექტორმა თქვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ლენინის რჩეულ ნაწერების კრებულის გამოცემა, რომელიც ექვს წიგნად იბეჭდება, ახლო მომავალში დამთავრდება. ტექსტი უკვე საბოლოოდ არის შეკრებილი და აწყობილი, სწარმოებს წიგნების გვერდების შეკვრა. ინსტიტუტს იმედი აქვს, რომ პარტიის მე-16 ყრილობისათვის ბაზარზე გამოშვებულ იქნება პირველი სამი ტომი, დანარჩენები კი — შემოდგომაზე.

უსირცხვილობისა და პროვოკაციის რეკორდი

მოსკოვი, 16 აპრილი. „იზვესტია“ ეხება პარიზის სასამართლოს განაჩენს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ქონებაზე სეკვესტრის დადების შესახებ და სწერს: სასამართლოს განაჩენი უნდა ჩაითვალოს პირველხარისხოვან პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტად. მიზანი ამ განაჩენის აშკარაა: უძლიერესი ბნელი ძალები არაფრის წინაშე არ იხევენ, რომ შეარყიონ ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის მდგომარეობა პარიზში. პარიზის სასამართლოს ეს და სხვა ასეთი წინანდელი განაჩენები ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის შესახებ წარმოადგენს ნამდვილ პოლიტიკურ კამპანიას, რომელიც წინასწარ არის მომზადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესვის კამპანიაში დაიწყო გადამწყვეტი დღეები.—შეუსუსტებელი ყურადღება თესვის ორგანიზაციას—დღევანდელი დღის ამ მთავარ ამოცანას

კოლექტიური თესვის პირველმა გამოცდილებამ დაუმტკიცა სოფლის მშრომელ მასებს განსაზოგადოებული წარმოების მთელი უპირატესობა.—სოფლის თვითეული ორგანიზაციის მუშაობა შეფასდება იმისდა მიხედვით, თუ რამდენათ წარმატებით იქნა ჩატარებული თესვა

თავის დროზე უზრუნველვყოთ კოლმეურნეობები კრედიტებით

მოსკოვი. გაზ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ში მოთავსებულია საუბარი საკავშირო კოლმეურნეობათა ბანკის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კონართან იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღო საკავშირო კოლმეურნეობათა ბანკმა კოლმეურნეობების უზრუნველსაყოფად კრედიტებით, კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და განვითარებისათვის გაღებულ ნახევარ მილიარდ მანეთის სწორად და მაქსიმალურად სწრაფი განაწილებისათვის.

ამხ. კონარი აღნიშნავს:

„მიმდინარე საოპერაციო წელს უშუალოდ კოლმეურნეობებს მიეცემათ 530 მილ. მანეთამდე. თესვის კამპანიის უზრუნველსაყოფად არანაკლებ 800-820 მილ. მანეთისა, დანარჩენი 200 მილ. მანეთი მიეცემათ ზაფხულის განმავლობაში —საქონლის შესასყიდათ და საკოლმეურნეო მშენებლობის სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.

ჩვენ ვიღებთ გადამწყვეტ და ენერგიულ ზომებს იმისათვის, რომ მთელი ნაღდი თანხა, რომელიც ბანკის სისტემაში იმყოფება, მოხმარდეს დაბალ საფეხურებს და მიეცეს კოლმეურნეობებს, ვინაიდან კრედიტი დაუყოვნებლივ უნდა მოხმარდეს საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზაციულ განმტკიცებას, კრედიტმა საშუალება უნდა მისცეს კოლექტივებს გაადიდონ თავიანთი მეურნეობათა საქონლიანობა და ამით გააუმჯობესონ კოლმეურნეობებში გაერთიანებულ ღარიბ-საშუალო მეურნეობათა მდგომარეობა.

ჯერ კიდევ მარტის ბოლოში საბჭ. კავშირის მიწსახკომმა კოლმეურნეობათა ცენტრმა და საკავშირო კოლმეურნეობათა ბანკმა კატეგორიული განკარგულება მისცეს თავის ქვედა განყოფილებებს დაუყოვნებლივ მიეცათ კრედიტები კოლმეურნეობებისათვის. მაგრამ ეს დირექტივა ყველგან არ სრულდებოდა ზოგან ეძებდნენ საბაბს, რომ „გადაედოთ" ბრძანების შესრულება. დაბრკოლებას ადგილებზე კრედიტების გაცემაში, უმთავრესად, წარმოადგენდა ის, რომ კოლმეურნეობებს არ ჰქონდათ საწარმოო - საფინანსო გეგმა. ჩვენ დაუყოვნებლივ განუმარტეთ ადგილებს, რომ თესვის დროს ყოველი დღე ძვირფასია, არ არის ეხლა იმის დრო, რომ ვიფიქროთ სრულ საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენაზე, საჭირო კრედიტები გაცემული იქნეს გეგმის შავად შესადგენად, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დასადებად კოლმეურნეობებსა და დამამზადებლებს შორის და სხვ. საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ის 2 აპრილის დადგენილების შემდეგ ჩვენ უფრო გავაძლიერეთ ჩვენი მოთხოვნა **და ეხლა თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პარტიის და მთავრობის დირექტივა კოლმეურნეობების შესახებ შესრულებული იქნება. ბანკის მიერ მიღებული უკანასკნელი ცნობები მოწმობენ, რომ კრედიტების საგრძნობ რაოდენობას უშუალოდ მსესხებლები იღებენ, განსაკუთრებით სამხრეთ რაიონებში, სადაც თესვის კამპანია ამჟამად გაცხოველებულია. რაც შეეხება ცენტრალურ და ჩრდილოეთის ზოლებს, აგრეთვე ციმბირს, აქ კოლმეურნეობებისათვის კრედიტების არათავის დროზე მიცემის საშიშროება მოსპობილია,** ვინაიდან ჩვენ მიერ მიღებული ღონისძიებები იძლევიან სრულ შესაძლებლობას უზრუნველვყოთ კოლმეურნეობები საჭირო კრედიტებით შემუშავებული გეგმის ფარგლებში.

რა საჭიროებებისათვის გაიცემა კრედიტები?

განსაკუთრებით თესვის კამპანიის უზრუნველყოფის ხაზით. ე. ი. მანქანების, საკვების, მინერალური სასუქის შესაძენად, განსაზოგადოებულ თავლების, გომურების და სხვ. ასაგებად და აგრეთვე მასაქონლეობის განსავითარებლად. ამასთან ერთად, რასაკვირველია, კრედიტები გაიცემა ინდუსტრიალიზაციის, კაპიტალურ მშენებლობისათვის და სხვ. ყოველივე ამან ორგანიზაციულად უნდა განამტკიცოს კოლმეურნეობები, **გლეხი ცოცხალ მაგალითზე უნდა დარწმუნდეს კოლმეურნეობის უპირატესობაში ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით.**

ერთ სერიოზულ ნაკლს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემაში წარმოადგენს **კადრების ნაკლებობა.** ეს ფრონტი ამჟამად წარმოადგენს ყველაზე მტკივნეულ ადგილს, ვინაიდან კრედიტების არათავის დროზე გაცემა საკოლმეურნეო მშენებლობის ჩაშლას უდრის. საკრედიტო სისტემის უკანასკნელი წლების მუშაობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გამოცდილი, მტკიცე ხელმძღვანელი კადრის გარეშე (ამ კადრს უნდა შეადგენდეს სარაიონო საკრედიტო ამხანაგობების თავმჯდომარეები) ჩვენ დიდხანს არ გვექნება საშუალება, სწორად შევასრულოთ დირექტივები ადგილებზე. აუცილებელია უზრუნველვყოთ სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემის ყველა ნაწილები საუკეთესო ხელმძღვანელი შემადგენლობით, ისეთი ხალხით, რომელთაც ესმით სოფლის მეურნეობის პრობლემის მთელი სირთულე, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება ფინანსიურ ურთიერთობას სახელმწიფო ბანკსა და საკავშირო კოლმეურნეობათა ბანკს შორის. ჩვენ სათანადო ორგანიზაციების წინაშე უკვე დავსვით საკითხი კადრების შესახებ".

საგაზაფხულო მუშაობის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს

მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის წინაშე ორი მთავარი ამოცანაა დასმული: ნათესების სივრცის გაფართოვება და მოსავლიანობის გადიდება. საბოლოო ანგარიშში ორივე ეს ამოცანა ემსახურება ერთ მიზანს— გადიდებული იქნეს ქვეყნის მარცვლეულის მარაგი. გაძლიერებული იქნეს პურეულის და ფურაჟის ბალანსი. ამისათვის აუცილებელია, რომ თესვის ორივე ამ მხარეს, რიცხობრივ (ნათესების გაფართოვება) და ხარისხობრივ (მოსავლიანობის გადიდება) მხარეს თანაბარი ყურადღება მიექცეს საგაზაფხულო მუშაობის დროს.

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ კოლმეურნეობები ყველგან აქტიურად არიან ჩაბმული თესვაში. ბევრგან თესვის გეგმა გადაჭარბებით სრულდება. ლოზუნგმა — „არც ერთი მტკაველი მიწა დაუთესავი" — ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა კოლექტივებში, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დათესონ ყველა თავისი ვარგისი მიწები. მაგრამ თესვის წარმატებისათვის მარტო ეს არ კმარა. საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარება, რომ მიწამ გაძლიერებული მოსავალი მოგვცეს. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ვერ არის ყველგან დამაკმაყოფილებელი. თუმცა მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭირო ძირითადი აგრონომიული ღონისძიებანი (თესლის გაწმენდა და შეწამვლა) ტარდება ცხოვრებაში, მაგრამ ამავე დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს მთელ რიგ სხვა ღონისძიებების განხორციელებას, ურომლისოდაც მოსავლიანობის გადიდება ვერ იქნება მთლიანად უზრუნველყოფილი. ასეთია აგრო - ტეხნიკური ნორმები (მიწის დამუშავების სიღრმე, თესლის ჩაყრის სიღრმე, დათესვის ნორმა, რომ ნიადაგი ზედმეტად ან ნაკლებად არ დაიტვირთოს თესლით და სხვ.), რომელთა დაცვას ადგილებზე ყოველთვის არ ექცევა ყურადღება. აქ დიდი მუშაობა მართებს ადგილობრივ აგრონომიულ პერსონალს, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს აგროტეხნიკური კონტროლი თესვის დროს.

ცნობილია, რომ მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის განოყიერებას. ადგილებზე ამას ყველგან არ აქცევენ ყურადღებას. ამაში უმთავრესად ბრალი მიუძღვის ცენტრალურ ორგანიზაციებს, რომლებმაც დაგვიანებით და ძალზე შეკვეცილი რაოდენობით მიაწოდეს ადგილებს სასუქი. ზოგან სასუქის გამოყენება უკვე აღარც კი მოესწრება.

თესვის კამპანიის წინაშე დასმულ მნიშვნელოვან ამოცანების წარმატებით შესრულება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი ტემპით ვაწარმოებთ ჩვენ საგაზაფხულო მუშაობას. ტემპების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ რაიონებისათვის, სადაც კლიმატური პირობების გამო აუცილებელია ხელსაყრელი ამინდის სისწრაფით გამოყენება და ხვნა - თესვის რამდენიმე დღეში ჩატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება გვალვა ან ხანგრძლივი წვიმები, რომლებიც შეაფერხებენ თესვას. საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ოზურგეთის მაზრა, სადაც მიწების მოხვნა წელს დაგვიანებით დაიწყო, თუმცა ამისათვის ხელსაყრელი ამინდი იყო, ეხლა კი ხშირი წვიმები საგრძნობლად აფერხებს მინდვრად მუშაობას.

ტემპების საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია ტრაქტორების და ტრაქტორისტების მუშაობის გაუმჯობესება. ტრაქტორები მთელ რიგ რაიონებში არ არიან საკმარისად დატვირთული. ზოგან მათი მუშაობის ტემპი მეტათ ნელია. მაგალითად, როგორც ეს აღნიშნული იყო კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის რესპუბლიკანურ თათბირზე, თბილისის ოლქში ორი თვის განმავლობაში ორმა ტრაქტორმა მოხნა მხოლოდ 50 ჰექტარი მიწა. მუშაობის ასეთი ტემპი არაფრად არ ვარგა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგან ეკონომიას ეწევიან საწვავ მასალაზე, რაც საგრძნობლად აფერხებს ტრაქტორების მუშაობის ნაყოფიერებას.

ტრაქტორისტები ზოგიერთ შემთხვევებში გულგრილად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას: აცდენენ სამუშაო დროს, თვითნებურად აჩერებენ ტრაქტორებს, ხარჯავენ ზედმეტ საწვავ მასალას და სხვა. ამ საკითხსაც მოგვარება უნდა.

კოლმეურნეობებში თესვის გაცხოველებასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ინდივიდუალურ სექტორს, რომელიც საგრძნობლად ჩამორჩება კოლექტიურ მეურნეობებს. ინდივიდუალურ მეურნეობებს ზოგჯერ არ გააჩნიათ თესლი და საწარმოო საშუალებები, ამ დროს კი საკრედიტო ამხანაგობების საწყობებში უსარგებლოდ ჰყრია მანქანა - იარაღები. არავინ ზრუნავს ამ მანქანების ღარიბ ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის მიწოდებაზე, რადგან ჯერ კიდევ ყველგან სათანადოთ შეგნებული არ აქვთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაზაფხულის კამპანიის გეგმის შესრულებისათვის თესვის წარმატებით ჩატარებას ინდივიდუალურ მეურნეობებში.

ნათესების ფართობის გადიდება და თესვის ხარისხობრივი გაუმჯობესება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება ჩატარებული თესვის ორგანიზაცია. ამიტომ ყოველი სამუშაოს ზუსტად აღრიცხვა, ყოველი დამაბრკოლებელი წვრილმანის გათვალისწინება და თესვის შემაფერხებელი ყველა მიზეზების გადაჭრით აღმოფხვრა — ასეთია ამჟამად კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობების ამოცანა საგაზაფხულო თესვაში.

კ. მ.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების რესპუბლიკანური თათბირი

კამათი ამხ. ზ. ჩახვაძის მოხსენების გარშემო

თათბირის მეორე სხდომაზე, 15 აპრილს საღამოს, გაიხსნა კამათი ამხ. ზ. ჩახვაძის და ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებების გარშემო.

ამხ. ბეჟანიშვილი

(კოლმეურნეობათა ცენტრი)

აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობაში ადგილი აქვს პარალელიზმს. კოლმეურნეობებს ხელმძღვანელობას უწევენ ერთის მხრით კოლმეურნეობათა ცენტრი და კოლმეურნეობათა საოლქო და რაიკავშირები, ხოლო მეორეს მხრით სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სპეციალური კავშირების საკოლმეურნეო სექციები და სას.-სამ. კოოპერაციის რაიკავშირების სექციები. ასეთი პარალელიზმის შედეგად კოლმეურნეობებში ხშირად ადგილი აქვს დაბნეულობას, რაც საგრძნობლად აფერხებს საკითხების სწორად გადაჭრას, დირექტივების სწორად გაგებას და საერთოდ მუშაობის ნაყოფიერებას. ეს საკითხი დაჩქარებით უნდა მოგვარდეს. ანგარიშწარმოება კოლმეურნეობებში თითქმის სრულიად მოუწესრიგებელია. კოლმეურნეობათა უმეტესობას აქამდე არ აქვს სათანადოთ დაყენებული ანგარიშწარმოება, რაც აუცილებლად ცუდ გავლენას მოახდენს კოლმეურნეობათა მუშაობაზე. დაჩქარებით უნდა მივიღოთ ზომები ამ საქმის მოსაგვარებლად, ვინაიდან სწორი ანგარიშწარმოების გარეშე შეუძლებელია მეურნეობის სწორად დაყენება. შრომის ორგანიზაციის სწორად გატარება მოითხოვს სათანადო მომზადებას. ჩვენი ეხლანდელი ადგილობრივი მუშაკები ამ საქმის სწორად განხორციელებას ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით ვერ შესძლებენ. ამ საქმისთვის მომზადებული უნდა იქნან სპეციალური მუშაკები.

ამხ. კაკუჩაია

(აფხაზეთი)

აფხაზეთის კოლმეურნეობათა კავშირის წარმომადგენელი უსაყვედურებს კოლმეურნეობათა ცენტრს, რომ თათბირის დღის წესრიგში არ არის შეტანილი მოხსენება აფხაზეთის კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ აფხაზეთს, როგორც დაშორებულ რაიონს, უნდა მიქცეოდა მეტი ყურადღება. კოლმეურნეობათა ცენტრმა სხვა რაიონებს, მაგალითად ქუთაისის ოლქს, მიამაგრა ორი პასუხისმგებელი მუშაკი, აფხაზეთში კი ერთიც არ გაუგზავნია, თუმცა ხელმძღვანელობა აფხაზეთს უფრო ესაჭიროება, ვიდრე ზოგიერთ სხვა ოლქსა და რაიონს.

ამხ. ხუნდაძე

(საქ. მიწსახკომი)

აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობების გაძლიერება - გამაგრების უმთავრეს პირობას შეადგენს შრომის სწორად მოწესრიგება. შრომის ცუდათ მოწყობამ როგორც საქართველოში, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში გამოიწვია ბევრი კოლექტივის დაშლა. შრომის სახაზღაურება ჩვენში აქამდე უმთავრესად ხდება არა ნამუშევარის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, არამედ დღიური მუშაობისა, „შეძლებისა და მოთხოვნილების" პრინციპის მიხედვით. შრომის ანაზღაურება ნამუშევრის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით მოითხოვს გაწეული შრომის ზუსტად აღრიცხვას და საერთოდ ანგარიშწარმოების სწორად დაყენებას კოლექტივის ყოველი წევრის ნამუშევარი თუ ზედმიწევნით სწორად არ იქნა აღრიცხული, ეს გამოიწვევს გაუგებრობასა და კონფლიქტს, რომლებმაც კოლექტივი შეიძლება დაშლამდეც კი მიიყვანოს. ამიტომ შრომის აღრიცხვასა და საერთოდ ანგარიშწარმოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

კოლექტივში შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს სანარდო სისტემა. კოლმეურნცენტრის მიერ შემუშავებული და გამოქვეყნებული გამომუშავების ნორმები არ წარმოადგენენ კანონს ყველა კოლექტივებისათვის, არამედ ის არის სახელმძღვანელო მასალა, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნეს ყოველი კოლექტივის ადგილობრივ პირობებთან. კოლმეურნცენტრის მიერ მოცემული გამომუშავების ნორმების მიხედვით კოლექტივებმა ადგილებზე უნდა შეიმუშაონ ნორმები ადგილობრივ პირობების მიხედვით. ნორმების შემუშავება უნდა სწარმოებდეს კომისიის ან სპეციალური ბიუროს საშუალებით. ყველა ნორმები აუცილებლად დამტკიცებულ უნდა იქნეს კოლექტივის წევრთა საერთო კრების მიერ. ნორმების შემუშავების ასეთი წესი მათ მისცემს სავალდებულო ხასიათს. ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ თანამდებობებზე სამუშაოთ წევრების გამოყოფა ევალებათ თვით კოლექტივებს, რომლებმაც ამ სამუშაოებისათვის უნდა გაანთავისუფლონ წევრთა შესაძლებელი მინიმალური რაოდენობა, რომ ამ პირების შენახვა საზარალო არ იქნეს კოლმეურნეობისათვის. ტრაქტორების და მუშა - საქონლის კოლონებს უკანასკნელ დრომდე არ ყავდათ გარკვეული ხელმძღვანელი. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში ეს კოლონები უნდა მოქცეულიყვნენ კოლმეურნეობათა სისტემაში, ხოლო დანარჩენ რაიონებში სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ქსელში. ვინაიდან რაიონების სხვა კოლექტივიზაციის თვალსაზრისით უკანასკნელ ხანამდე ცვალებადი იყო, მტკიცე ხელმძღვანელობაც ვერ განხორციელდა. ეხლა კი, მიწსახკომის კოლეგიის დადგენილების თანახმად, ტრაქტორების და მუშა - საქონლის კოლონები მოექცნენ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში, რომელსაც ევალება ამ კოლონების სამუშაო გეგმების შედგენა, ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, მათი სრული დატვირთვა და რაციონალურად გამოყენება. ადგილებიდან მოდის საყვედური, რომ ცენტრი მათ უგზავნის ადგილობრივ პირობებთან შეუფერებელ იარაღ-მანქანებს. ეს მართალი არ არის. სასოფლო - სამეურნეო მანქანა - იარაღები ადგილებზე იგზავნება იარაღ-მანქანების საცდელ სადგურის მიერ შემუშავებული სტანდარტის მიხედვით, ადგილები ხშირად მოითხოვენ საიმპორტო გუთნებს, რომელსაც ჩვენ ყოველწლიურად თანდათან ნაკლები რაოდენობით ვღებულობთ. ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბჭოთა ქარხნებში დამზადებული გუთნები არაფრით არ ჩამოუვარდება საიმპორტო გუთნებს. მომავლისათვის ჩვენ რაც შეიძლება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირში დამზადებული გუთნები, რომ ამ გზით შევამციროთ ჩვენი ვალიუტის ხარჯი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კოლმეურნეობათა საოლქო - სამაზრო და სარაიონო ცენტრები მანქანა-იარაღების განაწილებას არ აქცევენ სერიოზულ ყურადღებას და ამ მანქანა - იარაღების ნაწილი დიდი ხნობით აწყვია მათ საწყობებში. გორის ოლქიდან მიწად-მოქმედების სახკომისარიატს მოსდის საყვედურები, რომ გასულ ზამთარში მიწადმოქმედების კომისარიატის სახელოსნოს მიერ შეკეთებული ტრაქტორები ხშირად ფუჭდებიან და ცდებიანო. მიწადმოქმედების კომისარიატმა გაგზავნა გორში თავისი ინსტრუქტორი, რომელმაც გამოარკვია ხსენებული ტრაქტორების მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ოთხ ტრაქტორიდან ორი კარგათ მუშაობდა. ერთ მათგანს გაუსწორეს გუთანი, ხოლო დანარჩენებისათვის საჭირო შეიქნა ნაწილების თბილისიდან გაგზავნა. გორის ტრაქტორების შეკეთება მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს საგრძნობი თანხა დაუჯდა და ის საყვედურის ღირსი არ არის.

ამხ. მატინოვი

(კახეთის ოლქი)

აღნიშნავს, რომ კახეთის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების მტრები ავრცელებენ სხვადასხვა ჭორებს. უკანასკნელ ხანებში მათ გაავრცელეს ჭორი, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო წელს თესვის კამპანია ჩაიშლება. ასეთი ხმების გამო ადგილი აქვს კოლმეურნეობებიდან ზოგიერთ წევრების გასვლას, რაც აფერხებს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სწორად წარმოებას, ამ მოვლენის წინააღმდეგ საჭირო გადამჭრელი ზომების მიღება, რომ ხელი არ შეეშალოს საგაზაფხულო კამპანიის გეგმის შესრულებას. კახეთის ოლქში თვითეული კოლმეურნეობა საშუალოდ აერთიანებს 45 კომლს. ასეთ მეურნეობების ხელმძღვანელთ, რომ თვიური ხელფასი 12-15 თუმანი დაუნიშნოთ, კოლექტივები ამას ვერ შესძლებენ. ამიტომ საჭიროა თვით კოლმეურნეობათა წევრების შემადგენლობიდან გამოიყოს და მომზადდეს ხელმძღვანელთა კადრი. კოლმეურნეობათა საოლქო კავშირის შტატი, თანხების სიმცირის გამო მცირეა, რის გამო იგი კოლმეურნეობათა ქსელს სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევს.

ამხ. ბერულავა

(სენაკის მაზრა)

აღნიშნავს, რომ შრომის სწორად მოწყობა და კოლმეურნეობების საწარმოო გეგმების სწორად შედგენა მთლიანად დამოკიდებულია კოლმეურნეობათა მუშაკების კვალიფიკაციაზე. კოლმეურნეობათა ქსელი სენაკის მაზრაში სრულიად არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური მუშაკებით, ხოლო ის მუშაკები, რომლებიც ამჟამად თავმოყრილი არიან კოლმეურნეობებში, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ, რის გამო კოლმეურნეობათა წინაშე დასმული ამოცანების სწორად გადაჭრა და განხორციელება მეტად გაძნელებულია. კოლმეურნეობების წინაშე ამჟამად დგანან მეტად დიდი და რთული საკითხები, რომლების გადაჭრაც ხშირად უმაღლესი განათლების მქონე პირებსაც უძნელდებათ. ამას წინად სენაკის მაზრაში გამოგზავნილმა ინსტრუქტორმა ადგილობრივ მუშაკებს ვერ მისცა ცენტრიდან მოსულ ზოგიერთ დირექტივების განმარტება.

კოლმეურნეობათა ქსელი სენაკის მაზრაში მეტად დაქსაქსულია. კოლმეურნეობები ერთიმეორისაგან დაშორებული არიან ხშირად დიდი მანძილით, რის გამოც შეუძლებელი ხდება ერთი მოანგარიშის ორი ან სამ კოლექტივში გამოყენება, ხოლო თვითეულ კოლექტივს შეძლება არა აქვს აიყვანოს სპეციალური მოანგარიშე, საჭიროა დაჩქარებით მივიღოთ ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად. გარდა ამისა, შემუშავებული უნდა იქნეს ანგარიშ-წარმოების მთლიანი სისტემა ყველა რაიონებისათვის, რომელსაც სავალდებულო ხასიათი უნდა მიეცეს.

შემდეგ ამხ. ბერულავა ახასიათებს მაზრაში ჩატარებულ მუშაობას და აღნიშნავს, რომ მართალია იქ ადგილი ქონდა ზოგიერთ დამახინჯებას, მაგრამ ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ცენტრის მიერ გამოგზავნილი მითითებები და ინსტრუქციები ადგილებზე სათანადოთ გაგებული ვერ იქნა.

ამხ. გვარამია

(„სოფლის კავშირი")

აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ შემუშავებული სანიმუშო შრომის ორგანიზაცია სავსებით მისაღებია, მაგრამ მისი ერთბაშად პრაქტიკულად განხორციელება მიზანშეწონილი არ არისო. ამხ. გვარამია საჭიროდ სცნობს, რომ შრომის ორგანიზაცია და მუშაობის სანარდო სისტემა გატარებული იქნეს შერჩევითი მეთოდით, ხოლო როდესაც დამტკიცდება, რომ ეს წესები მისაღები და გამართლებულია, მაშინ შესაძლო იქნება მათი დანარჩენ კოლექტივებში გადატანა.

შემდეგ ამხ. გვარამია აღნიშნავს, რომ ადგილები მართალი არ არიან, როდესაც აცხადებენ, რომ „სოფლის კავშირი" ადგილებზე იარაღ-მანქანებს გზავნიდა ადგილობრივ პირობებთან შეუთანხმებლადო. მთელ რიგ მაზრებსა და ოლქებში საწყობებში აწყვია გამოუყენებლად მანქანა-იარაღების საგრძნობი ნაწილი. მაგრამ ამ მანქანების ადგილებისთვის გადაგზავნა ყოველთვის შეთანხმებული იყო თვით ადგილებთან. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არ ზოგავს თანხებს სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად. ამის დასადასტურებლად ამხ. გვარამია ამბობს, რომ როდესაც გორის ოლქს მოუვიდა მანქანა-იარაღების დიდი რაოდენობა და მას არ ჰქონდა თანხა ამ მანქანების დასახსნელად, „სოფლის კავშირმა" გორის ოლქს გადაუგზავნა 80 ათასი მანეთი. ასეთი შემთხვევა ხშირი იყო.

ამხ. ქანთარია

(კოლმეურნ. ცენტრი)

ამხ. ქანთარია აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობებზე დღემდე არ მოგვიხდენია არავითარი აგრონომიული ზეგავლენა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობებზე აქამდე არა გვაქვს მთლიანი ხელმძღვანელობა. სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში კოლმეურნეობებს ხელმძღვანელობენ თესვის ჩამტარებელი შტაბები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, აგრონომები და სხვ., რომელთა შორის ხშირად არ არის არავითარი შეთანხმება. ასეთი ხელმძღვანელობა უარყოფით გავლენას ახდენს კოლექტივებზე. ხელმძღვანელობის საკითხი დაჩქარებით უნდა მოწესრიგდეს.

კოლმეურნეობებმა თავისი საქმიანობით უნდა დაუმტკიცონ ინდივიდუალურ მეურნეებს კოლექტიური შრომის მთელი უპირატესობა. ამასთანავე მათ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომ ამ გზით ერთის მხრით გააუმჯობესონ ამ მეურნეობათა მდგომარეობა და მეორეს მხრივ მოიზიდონ ისინი კოლმეურნეობებში. მუშა-საქონლის დიდი კოლონების შექმნა, ამხ. ქანთარიას აზრით, მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან ასეთ კოლონას არ შეუძლია სატრაქტორო კოლონის მაგიერობა, ხოლო შტატს დიდს მოითხოვს, რასაც დიდი ხარჯიც მოსდევს. ამიტომ საჭიროა კოლონები დანაწილებულ იქნას კოლმეურნეობათა შორის და ისინი მოეწყოს კოლმეურნეობათა საჭიროების მიხედვით.

შემდეგ ამხ. ქანთარია აღნიშნავს, რომ მომხსენებლებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს მესაქონლეობის დარგს, რომელსაც საქართველოში საგრძნობი ხვედრითი წონა აქვს. იგი საჭიროდ სცნობს, რომ კოლმეურნეობებში მესაქონლეობის განვითარების საკითხი დაჩქარებით იქნას დამუშავებული. ამხ. ქანთარია „სოფლის კავშირის" წარმომადგენლის ამხ. გვარამიას საპასუხოთ აღნიშნავს, რომ შრომის ორგანიზაციის ის წესი, რომლის გატარებაც კოლმეურნეობებშია განზრახული, შემოწმებულია და არავითარ განმეორებით შემოწმებას არ საჭიროებს. შრომის ორგანიზაციის გატარების გადადება მხოლოდ და მხოლოდ ზიანს მოუტანს კოლმეურნეობათა ქსელს.

ამხ. ხუნდაძე

(„სოფლის კავშირი")

აღნიშნავს, რომ თესლის შეწამვლა სიფრთხილით უნდა გატარდეს. გასულ წელს იყო შემთხვევა, როცა შეწამლული თესლი, რომელიც დათესილი უნდა იქნეს მხოლოდ კარგ ამინდში, ავდარში დაითესა, რის გამოც ნათესი თითქმის მთლიანად გაფუჭდა. გლეხობას არ უნდა იმის გარჩევა, რომ ეს გამოწვეულია არა შეწამვლით, არამედ ცუდ ამინდში დათესვით. მან იცის, რომ დათესა შეწამლული თესლი და ნათესის დაზიანებას იგი შეწამვლას აბრალებს. ამიტომ საჭიროა მეტი სიფრთხილე, რომ გლეხობა დავარწმუნოთ ახალ აგრონომიულ ზომების სარგებლიანობაში.

ამხ. დოლიძე

(კოლმეურნ. ცენტრი)

ამბობს, რომ სენაკის მაზრაში შრომის ორგანიზაციის დარგში დღემდე არაფერი არ გაკეთებულა, ვინაიდან სენაკელმა ამხანაგებმა თავი დამოუკიდებლად იცვეს და თავისი საქმიანობით გაკეთების ნაცვლად ბევრი გააფუჭეს. მათ მიერ შემუშავებული შრომის ორგანიზაცია, სწორად რომ ვთქვათ, უფრო შრომის დეზორგანიზაციაა. საჭიროა სენაკელმა ამხანაგებმა დაჩქარებით გამოასწორონ დაშვებული შეცდომები და მომავალში თავიანთ საქმიანობა შეუფარდონ ზემდგომი ორგანოების დირექტივებს.

დასახელებულ ორატორების გარდა კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. დვარელმა (კოლმეურნ. ცენტრი), დვორჩიკოვმა (ახალქალაქის მაზრა) და ბენიაშვილმა („სოფლის კავშირი").

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ზ. ჩახვაძის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგაც რეზოლუციისა და პრაქტიკულ წინადადებების შესამუშავებლად გამოყოფილ იქნა კომისია.

კოლმეურნეობათა მშენებლობის პრაქტიკა და ამოცანები

(ამხ. ს. ხოშტარიას მოხსენება)

კოლმეურნეობათა მშენებლობის პრაქტიკისა და ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობის წევრმა ამხ. **ს. ხოშტარიამ,** მან აღნიშნა, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობას საქართველოში ამჟამად უკვე საგრძნობლად დიდი გამოცდილება აქვს. კოლექტივიზაციის ტემპის გაძლიერების დროს ადგილი ჰქონდა მრავალ შეცდომას. კოლმეურნეობათა მშენებლობის წარმატებისათვის აუცილებელია ამ შეცდომების ზედმიწევნით აღრიცხვა, რომ მომავალში ადგილი აღარ ექნეს ასეთ შეცდომებს და მშენებლობა სათანადოთ წარიმართოს.

შემდეგ ამხ. ხოშტარიას მოყავს დამახინჯების ზოგიერთი მაგალითი, იგი აღნიშნავს, რომ თითქმის ყველგან დარღვეულ იქნა ნებაყოფლობის პრინციპი. ამ გარემოებას ადგილობრივი ამხანაგები იმით ამართლებენ, რომ არტელის წესდება ხშირად იცვლებოდა. მართალია, წესდება იცვლებოდა, მაგრამ ამ წესდებებით არც ერთხელ არ დარღვეულა ნებაყოფლობის პრინციპი, ადგილებზე კი ძალიან ხშირად არღვევდენ ნებაყოფლობის პრინციპს და გლეხებს, რომლებიც კოლექტივის გარეშე რჩებოდნენ, ან რაიმე მიზეზის გამო გადიოდნენ კოლექტივებიდან—ემუქრებოდნენ დაპატიმრებით, გადასახლებით და სხვ. მთელ რიგ რაიონებში, რომლებიც მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებათ იქნენ გამოცხადებულნი, ხელმძღვანელი ამხანაგები შეუდგნენ გლეხობის მთელი ასი პროცენტით შეკავშირებას. რასაკვირველია, ეს სწორი არ არის, ვინაიდან მთლიანი კოლექტივიზაცია იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ შეკავშირებული იქნეს მთელი მოსახლეობა. ამ შეცდომათა შედეგების გამომჟღავნების შემდეგ ცენტრის მიერ მიცემული იქნა გარკვეული დირექტივები და ადგილებს დაევალათ დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ დაშვებულ შეცდომათა აღრიცხვას და არტელების ახალ წესდებაზე გადაყვანას. ამასთან ერთად ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ მოცემული იქნა ამომწურავი ახსნა-განმარტება (სტალინის წერილი), რომელიც უნდა შეესწავლათ მუშაკებს და გაეცნოთ იგი გლეხობის ფართე მასისათვის. გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ ეს დადგენილებები და ახსნა-განმარტება გლეხობამდე საკმაოდ ვერ მივიტანეთ. იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივი მუშაკები განზრახ შეეცადნენ დაემალათ გლეხებისათვის ამხ. სტალინის წერილი. მაგალითად, ნატახტარის რაიონში საბჭოს თავმჯდომარემ ერთ-ერთ გლეხს ხელიდან გამოსტაცა სტალინის წერილი და უთხრა: ვინ მოგცა ნება, რომ ჩემ დაუკითხავათ კითხულობ ამ წერილსო. ახალქალაქის რაიონში ხელმძღვანელმა ამხანაგებმა განაცხადეს, რომ ახსნა-განმარტების კამპანიის ჩატარება ზედმეტია, ვინაიდან გლეხობა თვითონ გაეცნო ამხ. სტალინის წერილსო.

ძალიან დაგვიანდა არტელების ახალ წესდებაზე გადაყვანა. ამაში მთლიანად ბრალი მიუძღვის ადგილობრივ ამხანაგებს, რომლებიც ერიდებიან მათ მიერ დაშვებულ შეცდომების აღიარება - გამოსწორებას. ახალ წესდებაზე გადაყვანის დროს გლეხობას უკან უნდა დაუბრუნდეს ის ქონება, რომლის განსაზოგადოებაც წესდებით გათვალისწინებული არ არის. ადგილობრივი ამხანაგები ამბობენ, რომ ქონების ნაწილის უკან დაბრუნება და ახალ წესდებაზე გადაყვანა ხელს შეუშლის საგაზაფხულო კამპანიას და ამიტომ დროებით შევაჩერებთ ამას და კამპანიის დამთავრების შემდეგ გავატარებთ ახალ წესდებასო. რასაკვირველია, ასეთი „საბუთების" მიზანს შეადგენს დაშვებულ შეცდომათა აღიარების მიჩქმალვა.

მთავრობის დადგენილებაში გარკვევით იყო ნათქვამი, თუ რომელ რაიონში მეურნეობის რა დარგები უნდა გაერთიანდეს. ამ დადგენილების მიხედვით, კოლმეურნეობის წევრთა პირად სარგებლობაში რჩებათ არასასაქონლო მეწველი ძროხები, შინამოხმარების ბოსტნები და სხვა. გორელმა ამხანაგებმა ეს დირექტივა სწორად ვერ გაიგეს და კოლექტივიზაციის რაიონში ძროხები დაუბრუნეს (განსაზოგადოებულ საქონლიდან) იმათაც კი, ვისაც ასეთები არ განუსაზოგადოებია. ოზურგეთის მაზრაში განსაზოგადოებულ მიწებიდან ყოველ ცალკე კომლს მოუჭრეს საბოსტნე ნაკვეთები, მიუხედავათ იმისა, განსაზოგადოებული ჰქონდათ მათ ბოსტნები, თუ არა. არის შემთხვევები, როცა კოლექტივიდან წევრის გასვლა ნებაყოფლობით ხასიათს არ ატარებს. სენაკის მაზრის ერთ-ერთ კოლექტივში ერთ წევრს დაუშავდა ხელი. კოლექტივის ხელმძღვანელებმა მას წინადადება მისცეს გასულიყო კოლექტივიდან, ვინაიდან უხელოთ იგი კოლექტივში მუშაობას ვერ შესძლებს. სოფ. აკანაში კოლექტივის წევრს ავად გაუხდა შვილი, რომლის სამკურნალოდაც მას 15 მანეთი სჭირდებოდა. კოლექტივმა მას ფული არ მისცა, რის გამოც ეს წევრი იძულებული შეიქნა კოლექტივიდან გასულიყო. ზოგან კოლექტივებს მეტად არანორმალური დამოკიდებულება აქვთ კოლექტივის გარეთ დარჩენილ და კოლექტივიდან გასულ გლეხებთან. კოლექტივიდან გასულ წევრებს ხშირად საშუალებას არ აძლევენ დაბრუნდნენ კოლექტივში. ერთ-ერთი ასეთ გლეხს, როდესაც მან კოლექტივში განცხადება შეიტანა და უკან დაბრუნებას ითხოვდა, მოსთხოვეს კოლექტივის ორი წევრის თავდებობა. ამასთანავე მოითხოვდნენ, რომ თავდებებს ჰქონოდათ კოლექტივის წევრობის ორი წლის სტაჟი.

ასეთი დამოკიდებულება ინდივიდუალურ მეურნეობებისადმი ძირიან - ფესვიანად უნდა აღმოიფხვრას. კოლექტივებმა თავისი სამაგალითო მუშაობით და ინდივიდუალურ გლეხობისადმი კარგი დამოკიდებულებით უნდა მოიზიდონ გლეხები კოლექტივებში. დირექტივის თანახმად კოლმეურნეობებს უნდა მიეცეს საუკეთესო მიწები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოლექტივებში გასულ წელს ჩატარებული მიწათმოწყობა წელს გადაისინჯოს. ამასთან ერთად კოლექტივიდან გასულ წევრს აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს უკან წინეთ მის განკარგულებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რაც ზოგიერთ კოლექტივში არ სრულდება.

კულაკებისაგან ჩამორთმეული ქონების ბედი ბევრგან დღემდე გამოურკვეველია. ამ ქონების დაპატრონებას ცდილობენ სხვადასხვა ორგანიზაციები. ეს ქონება მთლიანად უნდა გადაეცეს კოლექტივს და ჩარიცხული იქნეს მოჯამაგირეთა და ღარიბთა ანგარიშში. კოლექტივის წევრების გარე სამუშაოებზე გასვლის საქმე დღემდე მოუგვარებელია. შრომის სახკომისარიატმა აქამდე ვერ მოგვცა ცნობები, თუ რომელ რაიონში რა კვალიფიკაციის და რა რაოდენობის მუშა-ხელია საჭირო. ცალკე კოლექტივებმა ადგილობრივ უნდა გამოარკვიონ ჭარბი მუშა-ხელის რაოდენობა და მათი გამოყენების გზები. გარე სამუშაოზე გასულთაგან კოლექტივის სასარგებლოდ ანარიცხების აღების დროს მტკიცედ უნდა დავიცვათ დიფერენციაცია, იმის მიხედვით, თუ ვინ რა მანძილზეა სამუშაოზე წასული და რა სიძნელის სამუშაოს ასრულებს. ასეთივე დიფერენციაცია უნდა განვახორციელოთ კოლმეურნეობათა შინაურ სამუშაოებზედაც. საჭიროების დროს გარე სამუშაოებზე წასულ წევრებს უნდა მიეცეს განსაზოგადოებული მუშა-საქონელი. თუ ამ საქონელს იგი თავის ხარჯზე გამოკვებავს, მაშინ კოლექტივის სასარგებლოდ უნდა გადაეახდევინოთ აღებული ხელფასის 40 პროცენტი, ხოლო თუ მუშა-საქონელი კოლექტივის ხარჯზე გამოიკვებება—60 პროც.

ეხება რა კოლექტივების ფორმებს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ძირითად ფორმად დასახულია სასოფლო - სამეურნეო არტელი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სავსებით უარვყოთ გაერთიანებათა სხვა უფრო მარტივი ფორმები. სადაც არტელის მოსაწყობათ ნიადაგი მზად არ არის, იქ უნდა შევეცადოთ უფრო მარტივი განაერთების მოწყობას, და ეს განაერთები ავაგოთ სწორ პრინციპებზე. ადგილებზე კოლმეურნეობათა გამსხვილების მიზნით ზოგან ცდილობენ თითო კოლექტივის მოწყობას სას. საბჭოს ფარგლებში. ეს ყოვლად მიუღებელია, ვინაიდან ასეთი დიდი კოლმეურნეობის მოვლა დიდ შტატსა და შრომას მოითხოვს. ამ რაიონებში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ჯგუფური განაერთების მოწყობა.

ზოგიერთ რაიონებსა და კოლექტივებში ადგილობრივი მუშაკები ერიდებიან ღარიბთა ჯგუფების მოწყობას (ალბათ ფიქრობენ, რომ კოლექტივის დაარსებასთან ერთად ისპობა კლასობრივი ბრძოლა). რასაკვირველია, ეს სწორი არ არის. კოლექტივებში დაიქაოებით უნდა ჩამოყალიბდეს ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფები, სადაც პირველ რიგში უნდა დამუშავდეს კოლექტივის წინაშე მდგომი საკითხები.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კოლმეურნეობათა სისტემის დამოკიდებულებას სხვა ორგანიზაციებთან და აღნიშნავს, რომ ეს ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში ჯერ კიდევ არ არის ჩამდგარი. ორგანიზაციები („სოფლის კავშირი", სარეწაო კოოპერაციის კავშირი და სხვა) ვალდებული არიან დაჩქარებით მოაწესრიგონ ურთიერთობა კოლმეურნეობათა ცენტრთან და მთელ სისტემასთან და ამით ხელი შეუწყონ კოლმეურნეობათა ნორმალურ საქმიანობას.

ადგილებზე კოლმეურნეობებში სამუშაოთ გზავნიან ისეთ ამხანაგებს, რომლებიც სხვა სამუშაოზე სუსტნი აღმოჩნდნენ. ასეთი მიდგომა დაუშვებელია, ვინაიდან დღეს უკვე ყველამ იცის, რომ კოლმეურნეობები მოწოდებული არიან ურთულესი საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც მუშაკებისაგან საერთო განვითარებასთან ერთად გარკვეულ ინიციატივასაც მოითხოვენ. კოლმეურნეობათა ცენტრი თავისი აპარატით და ინსტრუქტორებით, რასაკვირველია, ყველაფერს ვერ გაწვდება. ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მუშაკები ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხებში საკმაოდ ვერ ერკვევიან. ადგილობრივი მუშაკები ვალდებული არიან მაქსიმალურად გამოიყენონ მათთან მისულ ამხანაგების ცოდნა-გამოცდილება და თავისი დახმარებით გაუადვილონ ამა თუ იმ პრაქტიკულ საკითხში გარკვევა. საჭიროა სარაიონო და საოლქო კავშირებმა როგორც ურთიერთ შორის, ისეთ ცენტრთან იქონიონ უფრო მჭიდრო კავშირი.

კოლმეურნეობათა წევრებს მთავრობის დადგენილებით მინიჭებული აქვთ მთელი რიგი შეღავათები. ადგილებზე მიღებული უნდა იქნეს ზომები ამ შეღავათების პოპულარიზაციისათვის, რომ გლეხობამ თვალნათლივ დაინახოს კოლექტივის წევრების მთელი უპირატესობა და უყოყმანოთ შევიდეს კოლექტივში.

ამხ. ხოშტარიას მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

საგაზაფხულო კამპანია ქუთაისის ოლქში

ქუთაისი, 16 აპრილი (საკ. კორ.) ოლქში სათესლე კარტოფილის ნაკლებობაა. ამ დროს, სადგ. სვირში მოვიდა 4 ვაგონი კარტოფილი. ეს კარტოფილი თვენახევარი ეყარა სვირის საბარგო სადგურში და მისი არსებობის შესახებ არ იცოდნენ არც ადგილობრივმა მუშაკებმა, არც სადგურის უფროსმა. კარტოფილის არსებობა მხოლოდ მაშინ გაიგეს, როდესაც ის დალპა.

საჩხერეში და ქუთაისში მოწყობილია სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ორკვირიანი კურსები. დარიშხანისა და გოგირდის გარდა, ოლქი შესაწამლი მასალით უზრუნველყოფილია.

ხრესილმა გორიდან მიიღო 70.000 ძირი ხეხილის ნერგი. ვანის კოლმეურნეობათა კავშირმა მიიღო სესხად 8 ათასი მანეთი წითელარმიელების, ქვრივ-ობლების და ღარიბებს გლეხების მიწების დასახნავად და დასამუშავებლად. ხსენებული თანხა სრულებით არ მოხმარებია დანიშნულებას. 6.000 მან. საკრედიტო ამხანაგობას მიეცა ვალის ანგარიშში, ხოლო 2.000 მანეთით თივა და მანქანა-იარაღები გამოისყიდეს.

ოლქს ჯერ არ მიუღია ბამბის თესლი, რომელიც 2.800 ფუთის რაოდენობით უნდა შემოზიდულიყო. 120.000 ფუთ კარტოფილის თესლიდან დღემდე მიღებულია მხოლოდ — 7.000 ფუთი.

ვანის კოოპერატივმა კოლმეურნეობებს შორის გაანაწილა 16.700 მანეთის მანუფაქტურა.

მესაქონლეობის ერთთვიური დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. ცაგერმა კონტრაქტაცია ჩაატარა 50 სულ რქოსან საქონელზე, ონმა— 880 სულ რქოსან საქონელზე, 302 გოჭზე და 174 ცენტნერ ყველზე.

ქუთაისის ოლქის მთლიან კოლექტივიზაციის 5 რაიონში გაგზავნილი იყო მოანგარიშეების და აგრონომების 53 ბრიგადა. ამ რაიონებში სპეციალურ თათბირებზე დამუშავდა შრომის ორგანიზაციის საკითხები. დამატებით შესდგა 27 აგრობრიგადა, რომლებიც გაიგზავნენ ვანის, ჩხარის, საჩხერის, ხარაგოულის და ჭიათურის რაიონებში. ბრიგადებს დავალებული აქვთ შრომის მოწესრიგება, სამუშაოთა ტარიფიკაცია, გამომუშავების ნორმების შემუშავება, შრომის ანაზღაურების მოგვარება, საწარმოო თათბირების ჩამოყალიბება, სანარდო წესის შემოღება და შრომის ბიუროების დაარსება. ამჟამად ოლქს მოსდის ცნობები, რომ ბრიგადები ყველგან წესიერად არ მუშაობენ. ზოგან ჯერ კიდევ არ არის შედგენილი საწარმოო გეგმები, ზოგან მანქანა-იარაღები გამოუყენებელია, ზოგმა „აგრონომმა" არ იცის თესლის გაწმენდა (ვანი). საწარმოო თათბირების კომისიებს და შრომის ბიუროებს ვიწრო კრებებზე ირჩევენ. არის შემთხვევები, როცა აგრონომი თავის ნებით სტოვებს რაიონს. არიან ისეთებიც, რომლებიც, მიუხედავად მივლინებისა, რაიონს ჯერ არ გაკარებიან (ცინცაძე და მხეიძე—ქუთაისში). მართალია ასეთი მოვლენები გამონაკლისია, მაგრამ საჭიროა მათ წინააღმდეგ აქედანვე იქნეს მიღებული ზომები.

გ. რიონიძე.

მუშაობა ნაყოფიერია

(წერილი გორიდან)

გორის ოლქის კოლექტივებში ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს შრომის მოსაწესრიგებლად. კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ გამოგზავნილმა ამხანაგებმა ჩაატარეს ახსნა-განმარტებები ამ საკითხზე. სოფ. აზარმაში მოხერხდა კიდევაც შრომის ორგანიზაციის გატარება. მოხდა სამუშაოების დაყოფა ხუთ თანრიგად, გამომუშავდა შრომის ანაზღაურების ნორმები და სხვ. დანარჩენ კოლექტივებში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული შრომის ორგანიზაცია.

მონაწილე.

ცნობები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

(ჩვენი საქ. კორესპონდენტების ა და ა-კ. დეპ. სააგენტოსაგან)

საგაზაფხულო კამპანია გორის ოლქში

გორი, 15 აპრილი. 10 აპრილისათვის მოხნული იყო 30.409 ჰექტარი, ე. ი. საერთო ფართობის 66 პროცენტი. დათესილია 9.116 ჰექტარი. თესვის ნელი ტემპი აიხსნება იმით, რომ 46.023 ჰექტარიდან 31.000 ჰექტარზე უნდა დაითესოს სიმინდი, რომლის თესვა ჩვეულებრივად მაისის შუა რიცხვებამდე გრძელდება.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების და ამხ. სტალინის წერილის დამუშავების შედეგად გაძლიერდა კოლმეურნეობების შევსება ახალი წევრებით. (ადს).

—:—

თესვა ბორჯომის თემში

ბორჯომი, 15 აპრილი. ბორჯომის თემში ხვნა-თესვა ინტენსიურად მიმდინარეობს. თესვის წინ თესლი ყველგან შეწამლულ იქნა ფორმალინით. მთესველებს ფორმალინი საკმაო რაოდენობით დაურიგდათ. მიღებულია და დაურიგდა გლეხებს ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, უმთავრესად გუთნები.

ბორჯომის თემის ყველა სოფლებში სასოფლო საბჭოების მიერ სპეციალურად გამოყოფილი ამხანაგები გლეხებს აცნობენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს. (ადს).

—:—

სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის

ბორჯომი, 15 აპრილი. ბორჯომის სასოფლო საბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ახალდაბის სასოფლო საბჭო. შეჯიბრების მთავარი პირობაა თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება, ნათესი სივრცის გაფართოება და მოსავლიანობის გადიდება. (ადს).

სებერის რაიონის კოლექტივიზაცია

სოხუმი, 15 აპრილი. გალის მაზრის სებერის რაიონში ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად, მიუხედავად კულაკების აგიტაციისა, კოლექტივებში გაერთიანებულია მეურნეობათა 70 პროცენტი. კოლექტივიზაციის წარმატებას დიდათ ხელს უწყობდა ქალების აქტივობა. (ადს).

—:—

უპაირათობა თუ მავნებლობა

სოხუმი, 15 აპრილი. საჯიშე საბჭოთა მეურნეობა „მე-3 ინტერნაციონალ"-ში დიდი უმზგავსოება ხდება. ჩამოტანილი სასათბურე რამის ნერგები (400 ძირი) გადმოტვირთულ იქნა ზღვის ნაპირზე, სადაც დარჩა 3 დღის, სწორედ ამ ხანებში მოვიდა ძლიერი წვიმა ქარიშხალი, რომელმაც რამის დიდი ნაწილი ჩარეცხა ზღვაში.

სათბურების ნერგებს რწყავდნენ ცხელი წყლით, რის გამო ნერგის დიდი ნაწილი დაილუპა.

მებაღეების დაუდევრობის გამო დაიკარგა რამდენიმე ასეული მანდარინის ძირები. მუშათა კომიტეტი და პარტუჯრედის მდივანი ყურადღებას არ აქცევენ ამ უმსგავსოებას.

მუშები აღშფოთებული არიან და მოითხოვენ კომისიის დანიშვნას საქმის გამოსაძიებლად. (ადს).

—:—

სამხრეთ-ოსეთში

ცხინვალი, 15 აპრილი. სამხრეთ-ოსეთში მოხნულია 6.500 ჰექტარი, რაც შეადგენს დასათესი ფართობის 39 პროცენტს. ხეხილის ბაღები გაშენებულ იქნა 95 ჰექტარზე, რაც გეგმის 81 პროცენტს შეადგენს. გაწმენდილია 622 ტონა სათესლე მასალა, რაც საჭირო რაოდენობის 40 პროცენტს უდრის. შეწამლულია 139 ტონა ხორბალი და ქერი.

მსხვილფეხა საქონლის კონტრაქტაცია წარმატებით მიმდინარეობს: დაკონტრაქტებულია 1.795 სული—გეგმის 95 პროცენტი, წვრილფეხა საქონელი 1.300 სული—გეგმის 80 პროცენტი, ხორბალი—150 ცენტნერი, ქერი 100 ცენტნერი, სიმინდი 200 ცენტნერი და სოია 520 ცენტნერი. (ადს).

შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში

ქუთაისი, 16 აპრილი. ქუთაისის რაიონში 35 მეურნეობიდან შრომის ორგანიზაცია გატარებულია 22-ში; დანარჩენ რაიონებში — ხონის, სამტრედიის, ზესტაფონის, ბაღდათის და ვანის რაიონის კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია მხოლოდ ფორმალურად არის გატარებული. ჯერ-ჯერობით ყველა მეურნეობანი არ გადასულან სანარდო მუშაობაზე. ზოგიერთ კოლმეურნეობაში არსებობს შრომის ანაზღაურების უმაღლესი განაკვეთების შემოღების ტენდენცია. (ადს).

—:—

კოლმეურნეობანი ქუთაისის ოლქში

ქუთაისი, 16 აპრილი. პირველ აპრილისათვის ოლქში იყო 295 კოლმეურნეობა, მათ შორის—4 კომუნა. აღნიშნულ კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 51,680 კომლი. (ადს).

—:—

ვენახების გაშენება

ქუთაისი, 15 აპრილი. გეგმის თანახმად, ვენახების ფართობი კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებში გადიდებულ უნდა იქნას 685 ჰექტარით. ვენახების გასაშენებლად მომზადებულია მხოლოდ 546 ჰექტარი, აქედან 305 ჰექტარი კოლმეურნეობებში. (ადს).

—:—

მასიური დაბრუნება კოლმეურნეობებში

ახალ-სენაკი, 15 აპრილი. ამხ. სტალინის უკანასკნელი წერილის განხილვასთან დაკავშირებით ადგილი აქვს გლეხების მასიურად დაბრუნებას კოლმეურნეობებში.

ჩატარდა კოლმეურნეობების წმენდა მიტმასნილ კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან. ამჟამად სწარმოებს კოლმეურნეობათა გამგეობების და სარევიზიო კომისიების წმენდა. წმენდაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს ღარიბი და საშუალო გლეხობა

სამაზრო აღმასკომი ინდივიდუალურ მეურნეობებს ფართო დახმარებას უწევს სათესლე მასალის მიწოდებით, ფულადი სესხის მიცემით მიწის მოსახნავად (იმ გლეხებს, რომელთაც მუშა საქონელი არ გააჩნიათ) და სხვ. (ადს).

—:—

მაშავერ-ჩაის არხი

ლიუქსემბურგი, 15 აპრილი. მაშავერ-ჩაის არხის შეკეთება თავდება. ამ დღეებში განზრახულია წყალის გაშვება. გლეხები უკვე ამზადებენ თავიანთ ბოსტნებს და ყანებს მოსარწყავად. (ადს).

—:—

აბრეშუმის თესლის დარიგება

ლიუქსემბურგი, 15 აპრილი. „საქართველოს აბრეშუმის" ლიუქსემბურგის განყოფილებას განზრახული აქვს მიმდინარე წელს დაარიგოს 260 კოლოფი აბრეშუმის თესლი. წელს რაიონში პირველად გაიგზავნა საინკუბაციო საქმის ინსტრუქტორები, რომელთაც დამთავრებული აქვთ მეაბრეშუმეობის კურსები.

აბრეშუმის ჭიის საკვები მასალა არ არის საკმაო. თუთის ხეების ნაკლებობის გამო გლეხები ითხოვენ თუთის ნერგების მიწოდებას მათთვის. (ადს).

—:—

კოლმეურნეობების წმენდა

ონი, 15 აპრილი. მოხდა სასოფლო-სამეურნეო არტელების შემოწმება და წმენდა უცხო ელემენტებისაგან.

რაიონში შემოწმების შემდეგ დარჩა 2 კომუნა და 8 სასოფლო-სამეურნეო არტელი, კომუნები დატოვებულია სოფელ ხორში და ხიდეშლებში. მთიან ადგილებში დატოვებულ იქნა მერძეობის არტელები, რომლებისთვისაც რაიონულ კავშირისაგან მიღებულია დიდძალი სეპარატორები და სხვა მოწყობილობა.

სოფ. სვირი. კოლექტივის წევრები ხნავენ მიწებს

მუშათა ბრიგადების მუშაობის შედეგები

(წერილი სენაკიდან)

სენაკის მაზრაში თბილისიდან გამოგზავნილი იყო 3 სარემონტო მუშათა ბრიგადა. ბრიგადებში 18 მომუშავე იყო, რომელთაგან 2 ქალი იყო. მუშათა ბრიგადებმა დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენი მაზრის გლეხებს.

რა გააკეთეს მათ?

ბრიგადები ეწეოდნენ აგიტაციას, პროპაგანდას გლეხებში კოლექტიურ მეურნეობათა მოსაწყობად; უხსნიდნენ გლეხებს შრომის ორგანიზაციის საკითხებს, აარსებდნენ ახალ კოლმეურნეობებს, აკეთებდნენ გლეხების საერთო კრებებზე მოხსენებებს და სხვ.

მაგრამ მათი მუშაობა უმთავრესად გამოიხატა შემდეგში:

ერთი ბრიგადა მუშაობდა სენაკის რაიონში და მან შეაკეთა შემდეგი სასოფლო-სამეურნეო იარაღები: კულტივატორები 55 ც., დანები 285 ცალი, გუთნები 24 ცალი, ფარცხი 9 ცალი, კავი 74, თოხი 88, მარხილი 1, მაგიდა 1; ფანჯრები 2, კარები 1, შკაფები 2, ნაჯახები 84, წალდები 12, სათესი მანქანა 8 ცალი და დანარჩენი წვრილმანი იარაღები 300 ცალი.

მეორე ბრიგადა მუშაობდა მარტვილის რაიონში და მის მიერ შეკეთებულია: კულტივატორი 257 ცალი, გუთანი 43 ცალი, თოხი 11 ც., ნაჯახი 118, წალდები 71, ბარები 47, დანები 42 და დანარჩენი 400 ცალი.

მესამე ბრიგადა მუშაობდა აბაშის რაიონში და მის მიერ შეკეთებულია: ტრაქტორი 2, კულტივატორები 79, გუთნები 27, ფარცხები 5, სახნისი 133, თოხი 139, სათესი მანქანა 3, დანები 280, ნაჯახები 115, წალდი 115, ჯაჭვი 12, სხვადასხვა იარაღი 133, 1 ამბულატორია, სკოლა, რაიაღმასკომისა და გლეხკომის შენობები.

გარდა ამისა ამ ბრიგადამ მოაწყო მებოსტნეობის 2 კვირიანი კურსები და აგრეთვე ჩაატარა აგრო-კურსები—კონფერენცია.

ბრიგადებს ერთმანეთი გამოწვეული ჰყავდათ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა მარტვილის რაიონში მომუშავე ბრიგადა.

ბრიგადებმა მაზრაში იმუშავეს ორი თვე და დაბრუნდნენ უკან მარტის ბოლო რიცხვებში.

ბ. უჩანეიშვილი.

ყველა კუთხეებიდან

#**სურამის თემში** ჩამოყალიბებულია 11 სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომლებიც მტკიცე საფუძველზე დგანან. მინდვრად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. არტელებში გაერთიანებულია 550 კომლი. გეგმით უნდა დაითესოს 1.555 ჰექტარი. ამ ბოლო დროს გამოჩნდნენ კულაკების აგენტები, რომლებიც ეწევიან აგიტაციას არტელების დასაშლელად. საჭიროა ზომების მიღება მათი პროვოკაციის ძირშივე აღსაკვეთად. **ი. გ.**

—:—

#**ერწო-თიანეთის** რაიონში მოეწყო კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების მოსამზადებელი ათდღიანი კურსები. კურსებზე მეცადინეობდა 60 ამხანაგი. კურსებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გაცნობა, პარტიის ხაზი საკოლმეურნეო მოძრაობაში და მთელი რიგი სხვა საკითხები. **ხ—ლი.**

—:—

#**ქოლობნის თემში** (სენაკის მაზრა) ჩამოყალიბდა მთლიანი კოლექტივი. გამგეობაში აირჩიეს ყოფილი მავსიელი ნესტორ მიქაძე, რომელიც დღესაც აწარმოებს აგიტაციას გლეხებში კოლექტივების წინააღმდეგ. ასეთი ვაჟბატონი სარგებლობას ვერ მოუტანს კოლექტივს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ საქმეს. **გლეხიშვილი.**

#**სენაკის მაზრის** კოლმეურნეობები დღითი დღე მტკიცდებიან. არტელების უმრავლესობამ მიიღო ახალი წესდება. ჩამოყალიბებულია ღარიბთა ჯგუფები და საწარმოო თათბირები. დიდი ყურადღება ექცევა შრომის მოწესრიგებას. ამ მხრივ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სოფ. ლეძაძამეს ამხ. შ. ელიავას სახელობის არტელს, რომელშიაც გაერთიანებულია 1.600 სული. ყველა კოლექტივებში სწარმოებს წევრთა წმენდა. კოლექტივიდან გასული გლეხები ითხოვენ უკან მიღებას. კულაკების პროვოკაციას არავითარი გასავალი არ აქვს გლეხობაში. **კომუნარი.**

—:—

#**ზუგდიდის** მაზრაში გაცხოველებით მიმდინარეობს სოფლის საბჭოების საანგარიშო კამპანია. მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ კამპანიაში. ღარიბი გლეხობა სადი კრიტიკით გამოდის საბჭოების საქმიანობის ირგვლივ გამართულ კამათში. დასწრება დამაკმაყოფილებელია. **ი—ა.**

—:—

#**ჩოჩხათის** თემის კოლექტივი ოზურგეთის მაზრის მასშტაბით მიჩნეულია სანიმუშო კოლექტივად. შრომის ორგანიზაცია უკვე გატარებულია. აღრიცხულია მთელი მუშა-ხელი. 440 ჰექტარიდან დახნულია 379 ჰექტარი. თესვა დაიწყო 10 აპრილიდან. **დ. თ.**

სოციალისტური მშენებლობა და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანები საქართველოში

(ამხ. მიხა ცხაკაიას მოხსენებიდან აჭარისტანის საბჭოთა მე-9 ყრილობაზე 1930 წ. 19 მარტს)

ამხანაგებო. პირველად ყოვლისა მინდა შევეხო ყველაზე უფრო სათუთ საკითხს; სათუთს მთელ კავშირისა და უმეტესად ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკისათვის—ე. ი. ეროვნულ-უმცირესობათა მიმართ პოლიტიკას. ამისათვის მე არ დამჭირდება ბევრის თქმა, ვინაიდან უკვე უზენაესი საკავშირო ხელისუფლების მთავარ ორგანომ, საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა ავტორიტეტული რეზოლუცია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენების გამო იმის შესახებ, თუ როგორ ემსახურება საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს ფარგლებში მოსახლე ეროვნულ უმცირესობებს. საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი აღიარებს, რომ ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრების მოწყობისა და განვითარების საქმეში საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა სწორ პოლიტიკურ ხაზს ატარებს.

საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულია ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ ნაციონალურ უმცირესობათა გლეხურ მეურნეობის განვითარებას, მცირე ეროვნებათა კულტურულ აყვავებას მათ სამშობლო ენაზე, (ლათინური ანბანის შემოღება თურქების, აფხაზეთის, ასსირიელების, ქურთების და ლაზებისათვის), შექმნა ნაციონალურ პრესის, მწერლობის და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მე აქ წავიკითხავ მხოლოდ ზოგიერთ ადგილებს ამ მნიშვნელოვან რეზოლუციისას, რომელიც შემდეგ იქნება გამოქვეყნებული. მე მხოლოდ ზოგიერთ მუხლებს შევეხები აქ და მათ შორის ისეთსაც, რომელიც ეხება, სხვათა შორის, აჭარისტანსაც.

ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია გადამწყვეტი ზომების მიღება იმისათვის, რომ მშრომელები კიდევ უფრო მეტად იყვნენ ინტერნაციონალურად აღზრდილნი, და აგრეთვე გაფართოვდეს ბრძოლა ნაციონალიზმის ნაშთებთან. ჩვენი მიზანია მოვსპოთ ძველი ნაშთები და კულტურული რევოლუცია წინ წავსწიოთ.

მეორე ადგილი ამ რეზოლუციაში: ვღებულობთ რა სახეში გზების ქსელის მეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას ნაციონალურ უმცირესობათა რაიონებში, რაც სამეურნეო და კულტურულ ზომების ცხოვრებაში გატარების ერთი უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზთაგანს წარმოადგენს, გაძლიერდეს ამ რაიონებში, უმეტესად სამხრეთ-ოსეთში, აჭარისტანში და აფხაზეთში საგზაო მშენებლობა განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომელნიც რკ. გზებს მოწყვეტილნი არიან.

საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკების ყურადღებას მიაქცევს, რომ აუცილებელია მათი გაერთიანებული ძალღონით მუშაობის დაჩქარება უღელტეხილ გზის გასაყვანად სამხრეთ და ჩრდილოეთ-ოსეთ შუა; ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი მოითხოვს აგრეთვე შავი ზღვის რკინის გზის დაჩქარებით დამთავრებას. აუცილებლად საჭიროა ნათქვამია რეზოლუციაში ქალების კადრების შესაქმნელად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნაციონალურ უმცირესობათა ქალიშვილების მიზიდვას სკოლებში, მუშფაკებში, კურსებზე და უმაღლეს სასწავლებლებში. მაგრამ, რასაკვირველია გათვალისწინებული უნდა იქნას აჭარელ და თურქულ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების თავისებური პირობები.

ჩვენი მიზანია, რათა ქალი ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად სრულიად თანასწორი შეიქნეს, ამისათვის საჭიროა გაუმჯობესება და გაძლიერება მუშაობისა უმეტესად ნაციონალურ უმცირესობათა იმ რაიონებში, სადაც ყოფა-ცხოვრების და კულტურის მხრივ უფრო ჩამორჩენილები არიან, ე. ი. საჭიროა, რომ მოჯამაგირე ქალები, ღარიბი გლეხის ქალები და საშუალო გლეხ-კაცის ქალები წარმოებაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ჩაებან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ უკვე წარმოებაში ჩაბმული ქალები სახელმძღვანელო მუშაობაზე წამოყენებულნი იქნენ, და ქალთა ხელმძღვანელი კადრები შეიქმნათ. რეზოლუცია ავალებს საქართველოს და აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა მათ შეიმუშაონ სხვადასხვა ზომები ბერძნების მოსახლეობის განსავითარებლად მეურნეობისა და კულტურული მხრივ, და გააძლიერონ მუშაობა მშრომელ მასების ინტერნაციონალურად დაახლოვებისათვის.

რეზოლუცია უკანასკნელი (§ 16) მუხლი ამბობს:

ა) ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ ზევით ნაჩვენები ღონისძიებები კულტურულად ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ნაციონალურ უმცირესობათა კადრების მომზადებისათვის და აგრეთვე აუცილებლობა ჩქარი ტემპით მოისპოს წერა-კითხვის უცოდინარობა მათში,—თხოულობს ამისათვის საჭირო საშუალებების ზრდას, ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ საშუალებათა გამოსაძებნად საქართველოს სოციალისტურ საბჭ. რესპ. ბიუჯეტში მიღებულ იქნეს ზომები ბიუჯეტის შიგნით საშუალებათა გადანაწილების გზით. ხოლო, ვინაიდან რესპუბლიკანური საშუალებანი არ კმარა, აუცილებლად ცნობილ იქნეს ამ საჭიროებისათვის საკავშირო საშუალებიდან დახმარების გაცემა.

ბ) კულტურულ და ყოფა-ცხოვრების დაწესებულებათა ქსელის გასადიდებლად, აუცილებლად საჭიროა, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმთან არსებულ ფონდის საშუალებებიდან გაძლიერდეს საბჭოთა საქართველოს ყველაზედ უფრო ჩამორჩენილი რაიონების მშრომელ ქალთა გასავითარებლად არსებული სამუშაო ფონდი.

გ) თანახმად ზემოხსენებულისა მიენდოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მიმართოს თავისი წინადადებით სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საკანონმდებლო ორგანოებს, რომ გამოყოფილი იქნას სათანადო საშუალებანი ზემოთ მითითებული საჭიროებისათვის 1930-31 წლის ბიუჯეტში.

ამის შემდეგ გადავდივარ ეკონომიურ საკითხზე საერთოდ. საქართველოს საგეგმო კომისია გვაძლევს შემდეგ სურათს:

პირველი საკითხი. თუ რამდენად გაიზარდა დაქირავებული მუშათა ხელი და რამდენათ გაიზარდა ხელფასი. 1928-29 წელში მთელ საქართველოში იყო 178,3 ათასი მუშა, ხოლო მიმდინარე 1929-30 წელს 196,4 ათასი მუშა. მათ შორის მრეწველობაში გასულ წელს ჩაბმული იყო 29,5 ათასი მუშა, ამ წელს კი 36,4 ათასი; მაშასადამე, გასულ წელთან შედარებით 123,3 პროცენტი.

ხელფასის შესახებ: 1928-29 წლს შრომის სხვადასხვა დარგში ხელფასი უდრიდა საშუალოდ [illegible],8 მან., 29-30 წელს კი უდრის 880,4 მან., ე. ი. შარშანდელთან შედარებით მიმდინარე წლის ხელფასი უდრის 107,4 პროცენტს.

მეორე საკითხი: რა კაპიტალური ხარჯებია დაბანდებული საქართველოს სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში. გასულ 28-29 წელს იყო დაბანდებული 63.489.000 მან. მიმდინარე წელს კი — 134.182.000 მან.

მესამე საკითხი: როგორ იზრდება ჩვენი მრეწველობა. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, ამხანაგებო, რომ ჩვენ მრეწველობაში გავარჩევთ ორ დარგს „ა“ და „ბ“ სახელწოდებით. პირველი „ა“ წარმოების საშუალებანი მანქანა-იარაღების წარმოებაა, მეორე „ბ“-მოხმარების საგნების წარმოება. პირველში მუშა-ხელი გასულ წელს იყო 14.421. წელს კი 17.967. მეორეში—გასულ წელს იყო 4.955 მუშა, წელს კი—6921 მუშა.

მეოთხე საკითხი: როგორ იზრდება ნათესი ფართობი ხორბლეულ და სხვა კულტურებში. გასულ წელს იყო დათესილი მთელ საქართველოში [illegible].786 ჰექტარი, წელს კი —982.ააა. ტექნიკური კულტურები დათესილი იყო გასულ წელს—26.854 ჰექტარზე, წელს კი—49.500 ჰექტ. მაშასადამე, კერძოთ ჩაი გასულ წელს დათესილი იყო 7.840 ჰექტ., წელს—14.340 ჰექტ.

მეხუთე საკითხი: მესაქონლეობის ზრდა—გასულ წელს საქართველოში ითვლებოდა—1.586.008 სული საქონელი, წელს კი 1.629.004 მაშასადამე. მათ შორის ცხენების რაოდენობა შარშან უდრიდა 102,4 ათას, წელს 105,5.

მეექვსე საკითხი: სასოფლო მეურნეობის პროდუქცია. საერთო ჯამი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 1926-27 წლის ფასებით გასულ წელს უდრიდა 251.963 ათას მანეთს, წელს—308.254,9 ათას მანეთს. ამათ შორის—მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულება უდრიდა 160.942,3 ათას მანეთს, წელს — 207,714,7 ათას მანეთს. მესაქონლეობის პროდუქცია გასულ წელს—91.929,7 ათას მანეთს, წელს 100,540,2 ათას მან. სხვა მრავალ დარგთა შორის აღვნიშნავ აქ მხოლოდ მეაბრეშუმეობას, რომლის პროდუქციის ღირებულება გასულ წელს უდრიდა 2.838,4 მან., წელს კი 5001,2 ათას მანეთს.

მეშვიდე საკითხი: ვაჭრობა. გეგმით სამრეწველო საქონელი საქართველოში იყო შემოტანილი მაგალითად, შარშან 91 მილიონ და 385 ათასი მანეთის, წელს კი 130 მილ. 681 ათას მანეთის.

მერვე საკითხი: სახალხო განათლება. სკოლის ასაკამდე გასულ წელს სწავლობდა — 8036 ბავში, წელს 10319 ბავში. საერთო სწავლას ღებულობდა გასულ წელს ოთხწლედში —242.933 მოსწავლე, წელს 266271 მოსწავლე.

მეცხრე საკითხი: სახალხო ჯანმრთელობა საავადმყოფო ყოფილა გასულ წელს (1928-29 წელს) 79, წრეულს არის 80.

მეათე საკითხი: რესპუბლიკანური ბიუჯეტი. საქართველოს რესპუბლიკის შემოსავალი გასულ წელს (1928-29 წ.) იყო 42 მილიონ 409 ათასი მანეთი, წელს 55 მილიონ 96 ათასი მან.; რესპუბლიკანური ხარჯები გასულ წელს 42469 ათასი მან. წელს 44096 ათ. მან.

მეთერთმეტე საკითხი: ადგილობრივი ბიუჯეტი. გასულ წელს შემოსავალი 60 მილიონი 943 ათასი მან. წელს—77 მილიონი 332 ათასი მან. გასავალი გასულ წელს—60943 ათას მან. წელს—77332 ათასი მანეთი. ამხანაგებო აი ეს ციფრები, რომელნიც მე მგონია საუკეთესოდ მეტყველობენ ჩვენს წინსვლაზე.

ახლა მე გადავალ საერთაშორისო მდგომარეობაზე. მაგალითისათვის ავიღოთ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები—ამ უკანასკნელ დროს იქ—ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში—ადგილი აქვს მრავალ გაფიცვებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გაფთრებული ბრძოლა, რომელსაც ზანგები აწარმოებენ ამერიკაში. ზანგები ყველაზე უუფლებო და დამონებული ერია დღეს ამერიკაში, იმ ამერიკაში, რომელსაც „თავისუფალ მხარეს“ უწოდებენ, დემოკრატიულ ამერიკაში (ამ დოლარების რესპუბლიკაში). ზანგები—განიცდიან საშინელ რასიულ დამცირებას, სხვათა შორის მათ არ შეუძლიათ ტრამვაიზე ჯდომა თეთრკანიანების გვერდით.

საზიზღარი წვრილ-ბურჟუაზიული ლაქიები—ამერიკის მენშევიკები ამ უმსგავსობას ზანგების მიმართ ითმენენ და ადასტურებენ. მარტო ნიუ-იორკის ქალაქში მილიონ მეოთხედზე მეტი ზანგები ითვლება. ისინი ქალაქის ცალკე რაიონში მოსახლეობენ. იქ გასაოცარი ანტი-სანიტარული მდგომარეობაა. ამიტომ ავადმყოფობა იქ ათჯერ მეტია, ვინემ თეთრკანიანების კვარტალში. განსაკუთრებით გავრცელებულია მათში ტუბერკულიოზი. ზანგებს ყოველ მუშაობაზე როდი უშვებენ, და სადაც აძლევენ მუშაობის უფლებას, სრულიად უმნიშვნელო ხელფასს აძლევენ. ასეთივე მდგომარეობაა საფრანგეთის, ინგლისის და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოების კოლონიებში და ნახევრად კოლონიებში. თვით მუშათა კლასი, ევროპაში და ამერიკაში იბრძვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ და დიდ სისხლს ღვრის იმ მდგომარეობის მისაღწევად, რომელიც ჩვენ გვაქვს. მუშათა კლასის გაძლიერებულმა კლასობრივმა ბრძოლამ გამოიწვია თეთრი ტერორის ზრდა, კაპიტალის იერიში მებრძოლ პროლეტარიატზე.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში „რემედასის“ აღმასკომის არასრულ ცნობით, კაპიტალის ქვეყნებში დემონსტრაციებზე, დაჭერისა და შეტაკების დროს პოლიციელებთან და ჟანდარმებთან მოკლულ იქნა 328.639 კაცი. 26-27 წლებში ჩინეთში თეთრი ტერორის მსხვერპლთა რიცხვი უდრის 299.017 კაცს. მხოლოდ 1928 წელს ჩინელ გენერლებმა დახვრიტეს 138.413 რევოლუციონერი. სხვა სახელმწიფოთა შორის უნდა აღინიშნოს ნიკარაგუა, პატარა სახელმწიფო, რომელიც თითქოს „დამოუკიდებელია“ მხოლოდ ჩრდილოეთ-ამერიკის იმპერიალიზმის კლანჭებში: და თქვენ კარგად იცით, თუ რა ჩაიდინეს ჩრდილო-ამერიკელ იმპერიალისტებმა ორი წლის განმავლობაში. მათ ამ პატარა ქვეყანაში 1390 კაცი დახვრიტეს, 1926-27 წელში ჰოლანდიის კოლონიაში ინდონეზიაში 514 კაცია დახვრეტილი. ამ წლების განმავლობაში 500 ათასი რევოლუციონერია დაჭერილი და დაპატიმრებული. ბრიტანეთის ინდოეთში, ბურჟუაზიის პრესის არა სრული ცნობით სამი წლის განმავლობაში მოკლულია 1413 კაცი. იქვე ხუთწლედის განმავლობაში ნაცემი და დაჭერილია 162.700 კაცი. ამ სისხლიან ბალანსში პირველი ადგილი უჭირავს ჩინეთს, სადაც 1926-27 წლებში ნაცემთა და დაპატიმრებულთა რიცხვი უდრის — 160.638 კაცს; შემდეგ ბულგარეთს, ფაშისტურ იტალიას და სხვას (ასეთი მსხვერპლის გაღება უხდება მსოფლიოს მშრომელებს, რათა თავიდან მოიცილონ მუქთახორები, მყვლეფელი კაპიტალისტები, რომელთაგან ჩვენ 13 წლის წინათ განვთავისუფლდით. 13 წლის წინეთ ჩვენ დავამხეთ მეფის რეჟიმი, ეს უსაქმუროთა და ხალხის სისხლის მწოველთა ავაზაკური ბრბო. ამ 13 წლის წინეთ ჩრდილოეთში, შემდეგ უკრაინაში და ბოლოს ჩვენში, ამოვაშრეთ და გავსწმინდეთ ეს მყრალი ჭაობი და დღეს მთელ ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელიც მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილს შეადგენს სოციალისტური აღმშენებლობა მიმდინარეობს. მთელ ამიერკავკასიაში, საქართველოში და თქვენ ტურფა აჭარისტანშიც, იწყებს აყვავება-აყვავებას სოციალისტური წესწყობილება, მუშებისა და ფუხარა გლეხობის საბედნიეროთ.

დღეს სავსებით შესაძლებელი გახდა, რომ ფუხარა ხალხმა იმუშაოს მხოლოდ თავის თავზე. და იმუშაოს ისე, რომ დაეყრდნოს უახლოესი დროის ტექნიკურ აღმოჩენებს და მიღწევებს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა,—კულტურული რევოლუციის გაღვივება. ბოლო, უნდა მოეღოს სიბნელეს და სილატაკეს, რომელსაც კულაკები ამაგრებენ და ყოველმხრივ უწყობენ ხელს. დღეს უკვე დაისვა საკითხი ამ ვერაგ კულაკების, როგორც კლასის. ლიკვიდაცია და წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობების გამსხვილება, მათი გადაკეთებით კოლმეურნეობებათ. სოციალისტური გარდაქმნისათვის საჭიროა, რათა ქალაქის წარმოება მძლავრი ტემპით წავიდეს წინ. მუშათა ულმობელი თვითკრიტიკის ქვეშ გატარდეს წარმოების მთელი მუშაობა, შეიქმნას დამკვრელი ბრიგადები, დამკვრელი „ცეხები“, დამკვრელი ფაბრიკა-ქარხნები და სოციალისტური შეჯიბრების ნიადაგზე მოისპოთ ყოველგვარი დროის დაკარგვა, უდისციპლინობა,—შეუწყვეტლად ვიმუშაოთ, გადავიდეთ სადაც ტექნიკურად ეს შესაძლებელია, ყოველგან 7 საათიან სამუშაო დღეზე.

სოციალისტური შეჯიბრება უნდა გადავიტანოთ სოფლადაც. გავიხსენოთ ილიჩის შემდეგი სიტყვები: „პირველად მხოლოდ ახლა მრავალ საუკუნეების განმავლობაში სხვებისათვის მუშაობის შემდეგ, ექსპლოატატორების სასარგებლოდ მონურ მუშაობის შემდეგ,—შესაძლებელი შეიქნა ჩვენთვის ვიმუშაოთ, —და კიდევ ისე ვიმუშავოთ, რომ ტექნიკისა და კულტურის უკანასკნელ მიღწევებს დავეყრდნოთ. ჩვენი ამოცანაა სოციალისტური შეჯიბრება მოვაწყოთ“.

უნდა ვსთქვათ ამხანაგებო, რომ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში მუშათა კლასმა და მშრომელ გლეხობამ დიდ გამარჯვებებს მიაღწია სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შესაცვლელად.

ეს აიხსნება იმით, რომ მთელ ამ მუშაობაში მუშათა კლასს ხელმძღვანელობდა ლენინური კომპარტია.

ჩვენს უდიდეს ყურადღებას დღეს იპყრობს გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია. გაზაფხულის კამპანიის ამოცანაა ნათესი ფართობის გადიდება და კოლექტივების განმტკიცება-გაძლიერება. ამ მუშაობაში სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხობას დახმარებას უწევს ქალაქის პროლეტარიატი, რომლებიც თავისი საუკეთესო წევრები ბრიგადების სახით გაგზავნა სოფლად.

დიდი გარდატეხა, რომელსაც დღეს აქვს ადგილი სოფლად უეჭველად უნდა გათავდეს ახალი გამარჯვებით, თესვა ბევრ ადგილას უკვე დაიწყო. არ უნდა დაიკარგოს დღეები კი არა, არც ერთი საათი. საქართველო ამ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს, არამც თუ არ უნდა ჩამორჩეს საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებს, არამედ გაუსწროს კიდეც მათ, ვინაიდან ბუნება უფრო ხელს გვიწყობს ჩვენ, რომ, მართლაც, გაფართოვდეს სათესი ფართობი მიწები და მოსავლიანობაც გადიდდეს გეგმაზე გადამეტებით.

საჭიროა მუშათა კადრების სწორი დანაწილება კოლმეურნეობებში. ამ საკითხის სწორ გადაწყვეტისაგან დამოკიდებულია ბევრი რამ სასოფლო-სამეურნეო თესვის კამპანიის პრაქტიკულად წარმატებით გატარებისათვის. ნუ დავივიწყებთ, ამხანაგებო, რომ ამა წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია სოფლად ტარდება მეტისმეტად გამწვავებულ კლასთა ბრძოლის ატმოსფერაში. ხედავს რა კულაკი ჩვენს ზრდას, ხედავს რა კულაკი, რომ მას ესპობა ფუხარა გლეხის გაყვლეფის საშუალება, ის ცდილობს პროვოკაციულ ხმების გავრცელებას ჩვენი ხელისუფლების და კოლმეურნეობის წინააღმდეგ.

ჩვენი ფართოდ გაშლილი სოციალისტური მშენებლობა ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომლის მსგავსი არ ყოფილა და არ შეიძლება ყოფილიყოს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ისტორიაში. ზრდის ეს ტემპები იმას გვიჩვენებს, რა დიდი შემოქმედებითი ძალები ყოფილა დაფარული ჩვენი დიდი კავშირის ს.ს.რ.-ის ტერიტორიაზე მოსახლე მშრომელ მასებში, რომელთაც კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ იჩინეს თავი. აი რას სწერს ჩვენს შესახებ ამერიკის გაზეთის „ნიუიორკ-ტაიმს“-ის კორესპონდენტი, მოქ. დიურანტი „ევროპიელებს ეშინიათ, რომ საბჭოთა კავშირის გამარჯვება (წარმატება) არა ნაკლებ შესაძლებელია, ვინემ მისი დამარცხება, ამ გამარჯვების პირველ ნაყოფი მოასწავებდა ევროპის კაპიტალისტურ რეჟიმისათვის სერიოზულ საშიშროებას. ევროპის უფრო შორსმჭვრეტელი ადამიანები უკვე წინდაწინ ხედავენ, რომ სოციალისტური სახელმწიფო დიქტატორული ხელისუფლებითა და საკუთარი ვალუტით შესძლებს გაიმარჯვოს კაპიტალისტურ წარმოებაზე“.. ჩვენ ვიზრდებით, ახალ ახალ გამარჯვებებს ვაღწევთ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, ხოლო ამავე დროს კაპიტალიზმი თანდათან უფრო ირყევა. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება უმუშევრობა და ფართოვდება კლასთა ბრძოლა.

თვით ჩრდილოეთ-ამერიკა, სადაც თითქოს სრულ სისხლოვანი და „შეურყეველი“ კაპიტალიზმია, რომელიც ერთ დროს ტროცკის აზრით, ევროპის სახელმწიფოებს თავის „პაიოკზე“ დასვამდა, დღეს განიცდის სამრეწველო-საფინანსო კრიზისს, რომელიც ააშკარავებს ევროპისა და მთელი ქვეყნიერების კაპიტალიზმის შეურიგებელ და მოურჩენელ შინაგან წინააღმდეგობას. იმპერიალისტები და „სოციალისტები“ ყველგან ხედავენ „მოსკოვის ხელს“, კომინტერნის და ს.ს.რ. კ.-ის პროპაგანდას. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების პრესაში სწარმოებს საბჭოთა კავშირის ს.ს.რ.კ.-ის წინააღმდეგ ცილისწამებით აღსავსე კამპანია. კაპიტალისტები ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რათა ჩვენი მშენებლობა შეაჩერონ, ჩვენი „ხუთწლედი“ ჩაშალონ. რომის პაპის, კენტერბერიის (ინგლისის) არქიეპისკოპოსის და სხვა უხუცეს კლერიკალებისა და ებრაელების რაბინების მეთაურობით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ომი“ ეწყობა. ყველა ესენი კულაკობის ინტერესებისა და მათი ექსპლოატაციის დამცველნი არიან, თუმცაღა გამოდიან თითქოს „რელიგიის“ თავისუფლების დაცვის სამსახურში. ჩვენ თვალწინ სწარმოებს გამალებული მუშაობა გაერთიანებული ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიარაღებულ ინტერვენციის მოსაწყობათ. ანტისაბჭოთა კამპანიის ხელისშემწყობი და სულისჩამდგმელნი არიან საზიზღარი ბელადები ეგრედწოდებული მეორე „ინტერნაციონალისა“,—ყველა ჯურის სოციალ-დემოკრატი-მენშევიკები და ყვითელი პროფკავშირების ბიუროკრატები. ბურჟუაზიულ ფაშიზმს სრულიად და სავსებით შეერიდა მენშევიზმი-რეფორმიზმი.

საერთაშორისო ბურჟუაზიის საომრად მზადებას, ჩვენ ვუპასუხებთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვას კიდევ უფრო გაძლიერებით და სოციალისტური მშენებლობის გაფართოებით. ამას გვავალებს ჩვენ დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. ჩვენი საუკეთესო პასუხი იმპერიალისტების პროვოკაციაზე იქნება ხუთწლიანი გეგმის შესრულების დაჩქარება და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია.

ის შეცდომები, რომელთაც ჰქონდა ადგილი საკოლმეურნეო მოძრაობაში უნდა აღვკვეთოთ. არც ერთი წუთით არ დავივიწყოთ, რომ არ შეიძლება კოლმეურნეობის მოწყობა, ადმინისტრატიული წესით. კოლმეურნეობა მხოლოდ მაშინ იქნება მტკიცე, თუ ის მოჯამაგირეებისა, ღარიბი გლეხკაცობის და საშუალო გლეხკაცობის აქტიური მონაწილეობით არსდება მასების ენტუზიაზმისა და სრული შეგნების გარეშე კოლმეურნეობა რიგიანად ვერ მოეწყობა. ის უნდა ეწყობოდეს მხოლოდ მათი თანხმობით, მათი თანხმობით და მასიური გარდაწყვეტილებით და, რასაკვირველია, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით.

ცენტრალური ხელისუფლება და პარტია ენერგიულად შეუდგეს საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას. ხელისუფლება იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა საკოლმეურნეო მოძრაობაში ადგილი არ ექნეს ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევას, ხოლო ის, ვინც არღვევს ამ პრინციპს პასუხისგებაში იქნება მიცემული. არ არის აუცილებელი ყველგან სასოფლო-სამეურნეო არტელის დაარსება, რადგან ამისათვის საჭიროა ერთგვარი წინასწარი პირობები. იქ, სადაც არ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო არტელის შექმნა უნდა შევქმნათ მიწის საერთო დამუშავებელი ამხანაგობანი, ყველაზე უფრო ამ საკითხის შესახებ, აჭარისტანის მეცხრე ყრილობაზე უნდა ვილაპარაკოთ, რადგან აქ კიდევ დიდი გავლენა აქვს ძველ ტრადიციებს და მეურნეობის დრომოჭმულ ფორმებს. აჭარისტანის მუშაკებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ აჭარისტანში კოლმეურნეობათა დაარსების დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე. სასოფლო-სამეურნეო არტელია მთავარი ფორმა კოლმეურნეობისა. როცა გლეხის მეურნეობა გადავა მეურნეობის ამ ფორმაზე, გაერთიანდება სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მუშა-საქონელი, მაგრამ ეზო, სახლი, ბახჩა მარჩენალი ძროხა, შინაური ფრინველი და სხვ. დარჩება მეურნის კერძო საკუთრებაში.

ჩვენ წინ მივდივართ. მე ამას ერთხელ კიდევ ხაზგასმით ვიმეორებ სოციალისტური მშენებლობა ჩვენში იმარჯვებს და საბოლოოდ ვანადგურებთ კაპიტალიზმის ნაშთებს. მთელ საბჭოთა კავშირში დღეს ეს უდიდესი მუშაობა მიმდინარეობს და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამოღვიძებული აჭარისტანის ფუხარაც არ ჩამოუვარდება სხვა კუთხეებს.

გაუმარჯოს ფუხარას.

გაუმარჯოს ბათომის ინდუსტრიალურ პროლეტარიატს.

ძმური ლენინური სალამი წითელ აჭარისტანს, საქ. სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისაგან — საქართველოს მთავრობისაგან. (მქუხარე ტაში).

ამხ. მიხა ცხაკაიას საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო. ნება მომეცით, ჯერ ზოგიერთ ორატორებს და წერილობით შეკითხვებზე ვუპასუხო, მგონი სამმა, თუ ოთხმა ორატორმა გონიოს რაიონიდან ერთ და იმავე საკითხზე ილაპარაკეს. ეს არის მდინარე ჭოროხზე ხიდის აღდგენა, ვინაიდან ის იქ ყოფილა, მეფის დროიდან გაკეთებული უფრო სტრატეგიული მიზნით, ვინემ ხალხზე მზრუნველობით და ეს ხიდი იმავე სტრატეგიული მიზნით ქართველ მენშევიკურ მთავრობას აუფეთქებია. გონიოს რაიონის მშრომელები, უეჭველად მოწყვეტილნი არიან ბათომსა და აჭარისტანის სხვა რაიონებს და სრულიად სამართლიანია მათი განცხადება. მთავრობამ უახლოეს მომავალში უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები იმისათვის, რათა ეს ხიდი ჩქარა გაკეთდეს, როგორც გადმომცეს წინასწარი ზომები უკვე ყოფილა მიღებული, აურჩევიათ კიდეც კომისია ერთ წელზე მეტია უკვე ბიუჯეტშიც გადადებულია ამისათვის საჭირო თანხა.

ერთი ამხანაგი მეკითხება:—„რამდენი, თანხაა გადადებული საქართველოს ბიუჯეტიდან ინდუსტრიალიზაციისა და კოლმეურნეობისათვის აჭარისტანში? თქვენ მოგეხსენებათ, რომ აჭარისტანის სამრეწველო ცენტრი—ბათომი დღითი-დღე ფართოვდება. გასული წლების განმავლობაში აგებულ იქნა მთელი რიგი ქარხნები, განსაკუთრებით ნავთის გადასამუშავებლად. რაც შეეხება კოლექტივიზაციას, უნდა ითქვას, რომ ის აუცილებლად სიფრთხილით უნდა გატარდეს. საბჭოთა საქართველო ამ მხრივ თქვენ ყოველმხრივ დახმარებას გაგიწევთ. თქვენ უნდა ჩაატაროთ დიდი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა და არ გაიმეოროთ ის შეცდომები, რომელთაც სხვაგან ჰქონდა ადგილი. ამისათვის საჭიროა პარტიულ, პროფკავშირების და კომკავშირელთა ორგანიზაციების ენერგიული მუშაობა სოფლად მოჯამაგირეების, ღარიბთა ჯგუფების მოსამზადებლად და საშუალო გლეხობასთან კავშირის განსამტკიცებლად. ამხანაგებმა უნდა იმუშაონ თანახმად ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების დირექტივებისა, მოამზადონ ფუხარა აჭარელი გლეხკაცობა—რომ მან თვითონ თავისი ნება-სურვილით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყოს ინდივიდუალური მეურნეობის სოციალისტური გადაკეთება, თანდათანობით შესცვალოს მტახვავი და დრომოჭმული მამაპაპური კავსახნისი ტრაქტორებით და გუთნებით.

ყრილობის რამოდენიმე ამხანაგი დელეგატები მეკითხებიან.—იყო თუ არა პარტიის ხაზიდან გადახრები კოლმეურნეობის მოძრაობაში საქართველოში, და მიიღო თუ არა ზომები პარტიამ მათ გამოსასწორებლად?

იყო, ამხანაგებო, პირველ ხანს ბევრგან გადახრები, საგულისხმო შეცდომები... საქართველოს ცაკის პრეზიდიუმში ამა წლის იანვრის თვიდან დაწყებული, თებერვლის განმავლობაში, და მარტშიაც შეუწყვეტლივ ვღებულობდით გლეხების საჩივარს და დაუყოვნებლივ განკარგულებებს ვაძლევდით ადგილობრივ საბჭოებისა და აღმასკომის მიმართ, რომ მათ სერიოზად გამოერკვიათ,—მომჩივანის სოციალური მდგომარეობა, ან კიდევ ის, რის მიხედვით ჰქონდათ მათ ხმა ჩამორთმეული? ხშირად ადგილობრივ გამოსაკვლევად ვაგზავნით სპეციალურ კომისიებს. ამის მეოხებით ჩვენ ბევრი შეცდომები გამოვასწორეთ. ადგილებზე დაშვებულ გამრუდებებთან ბრძოლა განსაკუთრებით გაადვილდა ამხ. სტალინის წერილის შემდეგ. ეხლა უკვე ნათელია, თუ სად და როგორ უნდა მოვაწყოთ კოლმეურნეობა.

სხვა შეკითხვებზე მოკლედ ვუპასუხებ ამხანაგებს.

ქალების პროცენტი აღმშენებლობაში და დაწესებულებებში, თანახმად პარტიულ და ხელისუფლების დირექტივებისა, უნდა იყოს მეტი, ვინემ სინამდვილეში არისო, მწერს ერთი დელეგატი. არ ვიცი ვის დავაბრალო, ხშირად პასუხისმგებელი ამხანაგები ვერ პოულობენ შესაფერისად მომზადებულ ქალებს დასაწინაურებლად. აქ აქტივობა თვით ქალებმა უნდა გამოიჩინონ. ეჭვი არაა, რომ მთავარი მიზეზია წერა-კითხვის უცოდინარობა და ქალთა მოუმზადებლობა პოლიტიკურად ტექნიკურ-პროფესიონალურად.

ბათომის რკინისგზელი ამხანაგი მწერს, თუ რატომ ისინი ვერ სარგებლობენ ეგრედ-წოდებული „მალარიის შეღავათებით“, როცა ნავთზე მომუშავენი ბათომიდან ყოველთვის სარგებლობენ ასეთი შეღავათებით. მე მგონია, ყოველი მუშა მალარიის რაიონებიდან უეჭველად უნდა სარგებლობდეს მთავრობის მიერ დაწესებულ შეღავათებით.

ცეკავშირი, თუ არ ასრულებს მთავრობის განკარგულებებს, როგორც მწერს ერთი ამხანაგი, აჭარისტანში მომარაგების შესახებ, მას უეჭველად და დაუყოვნებლივ უნდა მოეთხოვოს პასუხი.

უკანასკნელად კიდევ ერთი შეკითხვა—მიწის სარგებლობის შესახებ. ამხანაგს ვუპასუხებ: არის მიწის კოდექსი, არის მთელი კავშირისათვის უკვე საბჭოების ყრილობის მიერ მიღებული მიწის მოწყობისა და მიწისსარგებლობის მთავარი ძირითადი კანონები. შეკითხველი ამხანაგი კარგად სწერს, მაშასადამე, შეუძლია გაეცნოს კარგათ ჩვენს კანონებსაც მიწის შესახებ.

უკანასკნელ სიტყვაში მე გამოვსთქვამ დიდ სიამოვნებას, რომ საქართველოს მთავრობის ანგარიშის და საბჭოთა კავშირის შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ ჩემი მოხსენების გარშემო აჭარისტანის საბჭოების მეცხრე ყრილობაზე დელეგატებმა გამოიჩინეს ასეთი ცხოველი და საჭირო თვითკრიტიკა. ყოველგან და ყველას მიმართ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ეს თვითკრიტიკა, ვინაიდან, როცა ის საქმიანი კრიტიკაა, მისგან თვალი კი არ გვეჭრის, ან გონება კი არ გვეხშობა, პირიქით, გონება ილესება და კოლექტიურ შეგნებას ემატება დიდი ძალა, რომლის სხივების ქვეშ, ძლიერ ადვილად და მსწრაფლ შევნიშნავთ ჩვენს წარსულ შეცდომებს და დაუყოვნებლივ კოლექტიურად გავასწორებთ მათ უმტკივნეულოდ.

მე მგონია, ჩვენ უკვე, ამხანაგებო, შევიღწიეთ იმ მომენტს, როცა კიდევ უფრო მეტი გაასკეცება გვჭირია ჩვენი ენერგიისა, რათა დავსძლიოთ როგორც შინაური, ისე გარეშე მტრები, დავსძლიოთ ჩვენი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რათა ფუხარა ხალხი გამოვიყვანოთ სილატაკისაგან და უვიცობისაგან. ის ჩქარა უნდა განთავისუფლდეს ძველი ზნეების მონურ კულტურის ნაშთებისაგან, ცრუმორწმუნეობისაგან, რაც საშინლად სწამლავდა წარსულში და დღესაც სწამლავს ფუხარა ხალხის ცხოვრებას. ფუხარამ უნდა გაიცნოს ბუნება ისე, როგორც ამას მეცნიერება უკარნახებს, დაუკვირდეს თავის წარსულ ცხოვრებას, — შეუფარდოს და შეადაროს ის დღევანდელ მის მდგომარეობას. იცნოს ჭეშმარიტი მეგობარი და მხსნელი სილატაკისაგან და მონობისაგან, — გაარჩიოს მისი კლასიური მტრები, გადახედოს თავის გონებით არე-მარეს და, რაც კი ასე ვსთქვათ ისტორიის ნაგავია, სანაგვეში გადაყაროს. აჭარისტანის ფუხარა ხალხმა მომავალში უნდა დაიჭიროს ჩვენს საქართველოში, ამიერკავკასიაში და მთელ ჩვენს დიდ კავშირში ის საუკეთესო ღირსეული ალაგი, რისთვისაც ქვეყნიერმა აჭარისტანის ბუნებამ საკმაო მდიდრად დააჯილდოვა ის. (მქუხარე ტაში).

უმსგავსობანი სტუდენტთა ორგანიზაციებში

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია თბ. სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ალმასბიუროს და საქ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალური ბიუროს მუშაობა.

გამოკვლევა მიზნად ისახავდა შესწავლა, თუ როგორ ემსახურებოდა სტუდენტთა ორგანიზაცია პროლეტარულ სტუდენტობას, როგორ იყო დაყენებული ფინანსიური საქმიანობა ალმასბიუროში და სხვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ალმასბიუროს გამოკვლევის დროს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ აღმოაჩინა მთელი რიგი უმსგავსობანი, რომელსაც ჩადიოდნენ ალმასბიუროს პასუხისმგებელი მუშაკები. გამოკვლევამ გამოამჟღავნა, რომ უნივერსიტეტის ალმასბიუროში ადგილი ჰქონდა უყაირათობას. გაფლანგვას, თავისი მდგომარეობისა და ნდობის ბოროტად გამოყენებას და სხვა. სულ ალმასბიუროში გაფლანგულია 20.899 მან. და 33 კაპ. გარდა ამისა ალმასბიუროს სალაროდან სესხის სახით წაღებულია და უკან არ არის დაბრუნებული 8 ათასი მანეთი, ანგარიშს ქვეშ გატანილია ორი ათასი მანეთი.

გარდა ამ უმსგავსობისა მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიამ აღმოაჩინა, რომ სტიპენდიები ეძლეოდა უღირს პირებს, რადგან ალმასბიუროს მუშაობას არავინ არ უწევდა კონტროლს. ამ მდგომარეობით განსაკუთრებით ისარგებლა ალმასბიუროს პასუხისმგებელ მდივანმა — გიორგი პერტაიამ; მან ბოროტად გამოიყენა უნივერსიტეტის პ.-მ. მუშაკების ნდობა და დაიწყო ფულის ფლანგვა. გამოკვლევიდან გამოირკვა, რომ პერტაიამ გაფლანგა, 12.828 მან. და 23 კაპ. პერტაია სარგებლობდა რა ნდობით, 100 პროცენტიანი უფასო სამგზავრო ლიტერებს აძლევდა პირად ნაცნობებს და მეგობრებს, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონიათ უნივერსიტეტთან. პერტაიამ უნივერსიტეტში ჩარიცხა უკანონოთ — აბესაძე; სტიპენდია დაუნიშნა თავის „სატრფოს“ ა. ხანთელაძეს და უკანონოდ გადარიცხა ოდონტოლოგიურ ინსტიტუტიდან აგრონომიულ ფაკულტეტზე. პერტაიამ და „ძმა-ბიჭებმა“ თავი ისახელეს ყალბი საბუთების შედგენაში. მათ შეადგინეს სია ისეთი პირების, რომლებიც არამც თუ უნივერსიტეტში, საქართველოს ფარგლებშიაც კი არ არიან, და მათ მაგივრად სტიპენდიას ღებულობდნენ პერტაია და სტიპენდიანტთა შორის მომუშავე დ. გულისაშვილი. პერტაია, გულისაშვილი და უნივერსიტეტის მოლარე — მ. შავთვალაშვილი მთელი წლის განმავლობაში ღებულობდნენ „მკვდარი სულების“ — 6 კაცის სტიპენდიას.

თბილისის მუშკოოპი ალმასბიუროს პროლეტარულ სტუდენტობისათვის დეფიციტიანი საქონლის საკმაო რაოდენობას აძლევდა. მანუფაქტურის განაწილება მინდობილი ჰქონდა გულისაშვილს, პერტაიას და შავთვალაშვილს. მანუფაქტურას პერტაია და კომპანია ნაცნობ მეგობრებს ურიგებდა.

ალმასბიურომ შუამდგომლობა აღძრა თბილისის აღმასკომის წინაშე, რომ მათთვის უფასოდ მიეცათ პურის წიგნაკები. აღმასკომმა დააკმაყოფილა ალმასბიუროს თხოვნა და პურის წიგნაკები უფასოთ გასცა უნივერსიტეტისათვის. პერტაიამ და კომპანიამ კი, პროლეტარულ სტუდენტობას წიგნაკებზე 20 კაპ. გადაახდევინა და აქედან აღებული თანხა მთლიანად ალმასბიუროს მუშაკებმა მიითვისეს.

მეტად აღმაშფოთებელი ფაქტი ის არის, რომ პერტაია და სხვები სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობით და სტუდენტ ქალებს აიძულებდნენ დაეჭირათ მათთან სქესობრივი კავშირი, რის შემდეგ უნიშნავდნენ სტიპენდიებს. ამ საქმეში აქტიური როლი ითამაშა ს. დოლონაძემ. დოლონაძის ბინის კარები მუდამ ღია იყო გარყვნილებისათვის.

ფულების გაფლანგვის და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში პერტაიას არ ჩამორჩა ალმასბიუროს თავმჯდომარე კ. აბუსერიძე. აბუსერიძემ გაფლანგა ოთხი ათასი მანეთი. მას ფული გამოჰქონდა პრ. სტუდენტთა ალმასბიუროდან, სახალხო კომისარიატიდან (სამი ათასი მან.), შემოსავალში კი არ ატარებდა. აბუსერიძე, უფასო სადილების ტალონებს აძლევდა ნაცნობ-მეგობრებს და იმათ, ვისაც უფლება არ ჰქონდათ უფასო სადილები მიეღოთ. აბუსერიძე სარგებლობდა სტუდენტების კოოპერატივის საწყობში წიგნაკებით: ნაცნობ-მეგობრებს აძლევდა საქ. პრ. სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს ხელმოწერილ ბლანკებს, რომლებსაც ბოროტად იყენებდნენ; ის გულგრილად ეპყრობოდა სახელმწიფო ქონებას; ალმასბიუროდან უფასოდ მიცემული პურის წიგნაკები თითო 20 კაპ. გაყიდვინა და აღებული ფულის ნაწილი მიითვისა.

აღსანიშნავია სტიპენდიანტ სტუდენტთა შორის მომუშავე — დ. გულისაშვილის ოინები. დ. გულისაშვილი ყოფ. მენშევიკი, გორის ოლქის ერთ-ერთი რაიონის მენშევიკური გვარდიის შტაბის თავმჯდომარე — მოკალათებული იყო უნივერსიტეტში. სახელგამმა სტიპენდიანტ სტუდენტებს გაუხსნა კრედიტი სახელმძღვანელოების და სხვა საჭირო წიგნების შესაძენად. სახელგამის სალაროში გულისაშვილს უნდა შეეტანა ფული. ეს უკანასკნელი სტუდენტებს ყოველ თვეში სტიპენდიის ნაწილს უჭერდა, მაგრამ სახელგამის სალაროში არ შეჰქონდა. ამნაირად გულისაშვილმა გაფლანგა 663 მანეთი და 15 კაპ. გარდა ამისა მას მიითვისა სტიპენდიანტების 686 მან. და 87 კაპ. გულისაშვილი კერძო პირებს და ნაცნობებს აძლევდა სტიპენდიანტ სტუდენტებისათვის დასარიგებელ მანუფაქტურას; პერტაიასთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა „მკვდარი სულების“ სიის შედგენაში; ადგენდა ყალბ საბუთებს და ყიდდა. გულისაშვილს მჭიდრო კავშირი ჰქონდა პერტაიასთან, უნივერსიტეტის მოლარე — შავთვალაშვილთან — სასულე ორკესტრის ხელმძღვანელ ივ. მიქაბერიძესთან. ის ადგენდა ყალბ საბუთებს ვითომდა სასულე ორკესტრის ინსტრუმენტების შესაკეთებლად და ალმასბიუროს სალაროდან,—პერტაიასთან შეთანხმებით, — გამოჰქონდა ფული. გარდა ამისა მიქაბერიძე სხვის მაგივრად აწერდა ხელს ფულის მიღებაზე; პერტაიასთან ერთად საორგანიზაციო ხარჯებში ატარებდა სასადილოებში და სამიკიტნოებში დანახარჯს.

სტიპენდიანტების „მკვდარ სულების“ სიის შედგენაში დიდი უნარი გამოიჩინა უნივერსიტეტის მოლარემ — მიხეილ შავთვალაშვილმა. ამ გზით მან მიითვისა 686 მან. და 67 კაპ. გარდა ამისა შავთვალაშვილმა გაფლანგა სტუდენტთა ურთიერთ დამხმარე კასის — 744 მან. და 61 კაპ. შავთვალაშვილმა იცოდა პერტაიას ოინები, მაგრამ სდუმდა.

სტუდენტი დოლონაძე პერტაიას და კომპანიას ეხმარებოდა მიღებულ მანუფაქტურის გასაღებაში. გარდა ამისა ღებულობდა სხვის სტიპენდიებს, ალმასბიუროდან იპარავდა რკინის გზის სამგზავრო ლიტერებს და უფასო სადილების ტალონებს; საკუთარ ოთახს უთმობდა პერტაიას და კომპანიას, მიჰყავდა პერტაიასთან ქალები და სხვა.

სტუდენტთა სასადილოს ყოფ. გამგე შალვა პლატონის ძე სალუქვაძემ გაფლანგა 1.100 მანეთი.

გარდა ამისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიამ აღმოაჩინა, რომ სტ. ურთიერთ დამხმარე კასიდან სესხის სახით წაღებულია თანხების დიდი რაოდენობა (რვა ათასი მანეთი), რომელთა უკან დაბრუნება არავის არ უფიქრია. აღმოჩენილ იქნა, რომ ალმასბიუროს პასუხისმგებელი მუშაკები უკანონოდ რიცხავდნენ ვაჭრის შვილებს უნივერსიტეტში. მაგ.: ალმასბიუროს თავმჯდომარემ ს. კიკაბიძემ და სტუდენტთა საქმის პრორექტორმა —გ. ჭელიძემ უნივერსიტეტში ჩარიცხეს ვაჭრის შვილი — ქოჩიავას ქალი; ალმასბიუროს თავმჯდომარე ს. კიკაბიძე უკანონოთ ღებულობდა ფულს; ალმასბიურო სესხს აძლევდა ისეთ პირებს, რომლებიც ხელფასს 200 მანეთს ღებულობდნენ, ეს მაშინ, როდესაც მშიერი სტუდენტები მთელი კვირაობით ალმასბიუროს კარებთან იყვნენ ატუზულნი და სესხს ვერ ღებულობდნენ.

ალმასბიუროს თავმჯდომარე კიკაბიძე კაზიონურად და ზერელედ ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას, ვერ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობას ალმასბიუროს მუშაობას, შეუმოწმებლად აწერდა ხელს დოკუმენტებზე და სხვა.

ალმასბიუროს სარევიზიო კომისია გულგრილობას იჩენდა დაკისრებულ მოვალეობისადმი. მათ, რევიზიის წინადღით გაჰქონდათ სესხი და რევიზიას ფორმალურად ატარებდნენ, და დადგენილება გამოჰქონდათ, რომ „ყველაფერი თავის რიგზეა“-ო.

უნივერსიტეტის „მსუბუქ კავალერიამ“ ალმასბიუროში მომხდარ უმსგავსობას ვერ მიაქცია ყურადღება. კავალერისტებმა ვერ გამოიჩინეს იმდენი გამბედაობა, რომ თავს დასხმოდნენ ალმასბიუროს სალაროს და თავის დროზე გამოემჟღავნებინათ ის უმსგავსობანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალმასბიუროში.

ასეთივე უმსგავსობას ადგილი ჰქონდა საქ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროში. ც. ბ-ის მომუშავეები ფულს დიდი რაოდენობით აძლევდნენ ერთ და იმავე პირებს, ნაცნობებს და მეგობრებს; დახმარებას აძლევდნენ ისეთ პირებს, რომლებიც მატერიალურად უზრუნველყოფილნი იყვნენ ანგარიშ ქვეშ გაცემული აღმოჩნდა 3.000 მანეთზე მეტი, რაც ჯერ კიდევ დაფარული არ არის. პრ. სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს მუშაობას არავინ არ უწევდა კონტროლს, ფულის გაცემა ხდებოდა ყოველგვარი სისტემის გარეშე; ფულადი დახმარებების გაცემის დროს ყურადღება არ ექცეოდა სტ. სოციალურ მდგომარეობას.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტ. ალმასბიუროს და საქ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტრალურ ბიუროს შესახებ საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიტანა სათანადო დადგენილებები, რომლებიც იბეჭდება გაზეთის დღევანდელ ნომერში.

ალმასბიუროს თავმჯდომარე — კ. აბუსერიძე, ალმასბიუროს პასუხისმგებელი მდივანი— გ. პერტაია, უნივერსიტეტის მოლარე—მ. შავთვალაშვილი, დ. გულისაშვილი, ივ. მიქაბერიძე, შალვა სალუქვაძე, გ. კარნაძე და ი. დოლონაძე მიცემულნი არიან პასუხისგებაში, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. საკონტროლო კომისიის დადგენილება

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ალმასბიუროს შესახებ

1. აღინიშნოს, რომ:

ა) უყაირათო მუშაობისა, გაფლანგვებისა და მტაცებლობის შედეგად ალმასბიუროს სალაროს 1929 წელს დააკლდა დიდი თანხა (20.899 მან. 33 კაპ., აქედან მარტო გ. პერტაიამ — ალმასბიუროს მდივანმა — გაფლანგა 12.000 მანეთზე მეტი, ალმასბიუროს თავმჯდომარე აბუსერიძემ — დაახლოვებით 4.000 მანეთი და სხვ.), აგრეთვე დარჩა დიდი დავალიანება (8.000 მანეთზე მეტი) და ანგარიშ ქვეშ გაცემული თანხები (2.000 მანეთზე მეტი).

ბ) სტიპენდიების დანიშვნის დროს დადგენილი არ იყო მკაცრი წესი, რამაც ერთის მხრივ გამოიწვია, სტიპენდიების თვითნებურად დანიშვნა, ხოლო მეორეს მხრივ ბოროტმოქმედებანი.

გ) გაწეულ იქნა უყაირათო და მიზანშეუწონელი ხარჯები, როგორც ალმასბიუროს ხარჯზე, ისე ურთიერთდამხმარე სალაროს ხარჯზე, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა ამ უკანასკნელთ (მარტო ხელფასი გაცემულ იქნა ალმასბიუროს ხარჯზე 1.222 მანეთი და ურთიერთდამხმარე სალაროს ხარჯზე—1.855 მან.).

დ) სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტბიურო კოლექტივის მთელი რიგი დადგენილებანი აღნიშნავენ ზოგიერთ შემთხვევაში ალმასბიუროს თანამშრომელთა უკანონო მოქმედებას, მაგრამ პასუხისმგებელი პირები ამ დადგენილებებს ცხოვრებაში არ ატარებდნენ და თავიანთი შეხედულებისამებრ განაგრძობდნენ საქმეებს.

ე) განათლების სახალხო კომისარიატი ყოველი წესისა და კონტროლის გარეშე აძლევდა ალმასბიუროს ლიტერებს ნისიად, არ სთხოვდა მას ვალის გასტუმრებას და აძლევდა მას ახალ ლიტერებს ისე, რომ არ სთხოვდა ფულს წინად გაცემული ლიტერებისათვის.

2. აღინიშნოს გარდა ამისა, რომ ალმასბიუროს მუშაობის პრაქტიკაში იდო ყალბი მოწმობების შედგენის, ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის, სამსახურებრივი მდგომარეობით ბოროტმოქმედების, სამსახურის მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობის და სხვ. შემთხვევები (პერტაია, გულისაშვილი, დოლონაძე, კარანაძე).

3. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი სთვლის, რომ მიუხედავათ უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის საერთოდ სწორი პოლიტიკური ხაზისა, ამ უმსგავსოებებს შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა პარტხელმძღვანელობის სისუსტის (განსაკუთრებით სტუდენტობის პროფ. ორგანიზაციის ხაზით), თვითკრიტიკისა და კრიტიკის სრულად არასაკმაო გაშლის, აქტივის სუსტად აღზრდის, ალმასბიუროს თანამდებობის პირებისადმი ზედმეტი ნდობის, ამ უკანასკნელთა მიერ ურთიერთ დაფარვის და სხვ. პირობებში.

იღებს რა მხედველობაში ყოველივე ამას, ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქ. კომპარტიის (ბ) სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის ბიუროს მიეცეს მითითება.

2. ალმასბიუროს თავმჯდომარე აბუსერიძე, პასუხისმგებელი მდივანი გ. პერტაია, სახელმწიფო უნივერსიტეტის მოლარე შავთვალიშვილი, სტუდენტთა შორის მომუშავე დ. გულისაშვილი, სასულე ორკესტრის ხელმძღვანელი მიქაბერიძე, სტუდენტთა სასადილოს ყოფილი გამგე შალვა პლატონის ძე სალუქვაძე, აგრეთვე კარანაძე და დოლონაძე, როგორც გამფლანგველები და ყალბი დოკუმენტების შემდგენნი მიცემულ იქნან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით — სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოების მეშვეობით.

3. კლ. აბუსერიძე გამორიცხულ იქნას პარტიიდან ალმასბიუროს სახსრების გაფლანგვისა და მტაცებლობისათვის.

4. ალმასბიუროს ყოფილი თავმჯდომარე ამხ. კიკაბიძე თუმცა ღირსია პარტიიდან გამორიცხვისა ალმასბიუროს მიმართ სუსტი ხელმძღვანელობისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა მტაცებლობა და დიდი გაფლანგვა, ფულის უკანონოდ მიღება და ყალბი ანგარიშების დამტკიცება, მაგრამ ც. ს. კ. პრეზიდიუმი, იღებს რა მხედველობაში მის სოციალურ მდგომარეობას და დაშვებული შეცდომების გულწრფელად აღიარებას, ადგენს გამოეცხადოს მას მკაცრი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, გამოყვანილ იქნას იგი უნივერსიტეტის პარტკოლექტივის ბიუროს შემადგენლობიდან და მოხსნილ იქნას სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის პარტკოლექტივის მდივნის თანამდებობიდან.

5. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილის გამგე გაბიძაშვილი მოხსნილ იქნას თანამდებობიდან და გამოეცხადოს მას მკაცრი საყვედური გაფრთხილებით თავისი მოვალეობისადმი გულგრილად მოპყრობისათვის.

6. ურთიერთდამხმარე სალაროს პასუხისმგებელ მდივან ამხ. ყიფიანს და კულტ. კომისიის ყოფილ თავმჯდომარე ნამორაძეს, რომლებმაც სრული პასივობა გამოიჩინეს, რამაც გამოიწვია ზარალი და შექმნა სრული არევდარევა, **გამოეცხადოს საყვედური.**

7. მიეთითოს განათლების სახალხო კომისარიატს, რომ დაშვებულია ლიტერების უკონტროლოდ გაცემა.

8. წინადადება მიეცეს კოლექტივის ბიუროს ა) დაუყოვნებლივ დანიშნოს ალმასბიუროს და ურთიერთ დამხმარე სალაროს გამგეობის გადარჩევა, ბ) განტვირთოს ალმასბიურო წმინდა ადმინისტრატიული ფუნქციებიდან და შემდეგში აღარ დაუშვას ჩარევა რექტორისა და გამგეობის ადმინისტრატიულ უფლებებში, რომლებიც მას არა აქვს მიკუთვნებული.

9. კატეგორიული წინადადება მიეცეს ალმასბიუროს ფრაქციას, მიიღოს გადამჭრელი ზომები იმ დავალიანების დასაფარავად, რომელიც სხვადასხვა პირებზე ირიცხება.

10. წინადადება მიეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო ორგანიზაციებს შესწყვიტონ სტიპენდიების ერთპიროვნული განკარგულებით დანიშვნის არსებული წესი. მოახდინონ სტიპენდიატთა გულდასმით შემოწმება იმ მიზნით, რომ წაერთვას სტიპენდიები იმათ, ვისაც სტიპენდია უკანონოდ დაენიშნა და დანიშვნის დროს დაცული არ იყო სათანადო წესები.

11. არანორმალურ მოვლენად ჩაითვალოს ალმასბიუროს ფუნქციების გაერთიანება ურთიერთ დამხმარე სალაროსთან და მოხდეს ურთიერთ დამხმარე სალაროს გამოყოფა სრულიად დამოუკიდებელ ერთეულად, ცალკე საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახით.

12. რაიონული კომიტეტის, კოლექტივის ბიუროს და უნივერსიტეტის მთელი პარტიული ორგანიზაციის ყურადღება მიექცეს იმას, რომ საჭიროა გაშლილ იქნას უნივერსიტეტის ორგანიზაციების მუშაობაში აღმოჩენილი დეფექტების უსასტიკესი კრიტიკა და სწრაფად გარდაიქმნას ამ საფუძველზე პარტორგანიზაციის მუშაობა; ამასთან მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ის დამატებითი სიძნელეები, რომლებიც შეიძლება შეიქმნან მტრული გარემოცვის გამო ზემოთ აღნიშნულ უმსგავსოებათა გამოაშკარავებასთან დაკავშირებით და რომლებმაც შეიძლება არარაობად აქციონ პარტორგანიზაციის მიერ ჩატარებული უდიდესი მუშაობა ტროცკიზმისა, მენშევიზმისა და პროფესურის, მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენტობის რეაქციონურად განწყობილი ნაწილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პროლეტ. სტუდენტთა ც. ბიუროს შესახებ

1. აღინიშნოს, რომ:

ა) ერთდროულ ფულადი დახმარებების მიცემას სტუდენტებისათვის ცენტრალური ბიურო აწარმოებს ყოველგვარი სისტემის გარეშე. დახმარების გაცემის დროს ბიურო არ არკვევს მთხოვნელის სოციალურ მდგომარეობას და იმას, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს მთხოვნელის განცხადება.

ხშირია შემთხვევები, როცა ერთიდაიმავე სტუდენტს მოკლე ხნის განმავლობაში რამდენჯერმე ეძლევა დახმარება.

ბ) სტუდენტებს დახმარებას აძლევს ცენტრალურ ბიუროს სამი პასუხისმგებელი პირი: ბიუროს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კულტკომისიის თავმჯდომარე. მათ არ აქვთ ცნობები ერთმანეთის შეცვლის დროს გაცემულ დახმარებათა შესახებ.

გ) სახსრების გაცემა ანგარიშის მოუთხოვნელად (კერძოდ გარდაცვალებულ სტუდენტების დასაფლავებაზე).

დ) ცენტრალური ბიუროს მიერ 1928 წლ. 19 ივნისს გამოტანილია სრულიად შემცდარი დადგენილება, რომლის თანახმად ბიუროს თავმჯდომარეს უფლება ეძლევა პირადი შეხედულებით პრეზიდიუმის დაუკითხავად გასცეს დახმარება 100 მანეთის ფარგლებში.

ე) სისტემატიურ ხასიათს ატარებს სესხად თანხების მიცემა, როგორც თავის ხელქვეით დაწესებულებებისათვის, ისე ცალკე პირებისათვის.

ვ) ანგარიშ ქვეშ გაცემულია დიდი თანხები (3.099 მან., ეს თანხები გაცემულია მიმდინარე წლის დასაწყისში და აქამდის არ არის განაღდებული).

ზ) იყო შემთხვევები, როცა ცენტრალურ ბიუროს მუშაკები ბოროტად იყენებდნენ თანამდებობას და ანგარიშის მიზნით აძლევდნენ დახმარებას თავიანთ მეგობრებს და სტუდენტ ქალებს, ხოლო უკანასკნელთ აიძულებდნენ სქესობრივ კავშირი დაეკავებინათ მათთან.

2. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს დამტკიცებულად მიაჩნია, რომ ყველა ეს უმსგავსოება შევიდა ბიუროს მუშაობის სისტემაში, რომ ბიურო სრულიად უკონტროლოდ მუშაობდა და უკონტროლოთ აძლევდა აგრეთვე თანხებს თავის ძირითად ორგანიზაციებს, რამაც დიდათ შეუწყო ხელი ბოროტმოქმედებებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმასბიუროში.

3. ემყარება რა ზემოდაღნიშნულს, ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ადგენს:

ა) მოიხსნას თანამდებობიდან ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარე ამხ. გეგენავა და გამოეცხადოს მას საყვედური ცენტრალურ ბიუროს არასწორი და სუსტი ხელმძღვანელობისათვის, უყაირათობისა და თავისი თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის.

ბ) წინადადება მიეცეს საქართველოს პროფსაბჭოს დაუყოვნებლივ მოახდინოს ცენტრალურ ბიუროს გადარჩევა.

გ) განახლებულ იქნას ცენტრალურ ბიუროს მუშაკთა შემადგენლობა.

დ) აეკრძალოს ცენტრალურ ბიუროს ცალკე პირებისათვის დახმარების გაცემა. უფლება მიეცეს ბიუროს დახმარების გაცემა აწარმოოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. დახმარების გაცემა მიენდოს სათანადო ალმასბიუროებს, რომელნიც თანხებს ამ მიზნისათვის ღებულობენ ცენტრალურ ბიუროდან.

ე) დახმარების გაცემა განსაკუთრებულ შემთხვევებში აუცილებლად უნდა ხდებოდეს მას შემდეგ, რაც დახმარების მიცემის საკითხს განიხილავს პრეზიდიუმი. გაუქმდეს 1928 წლის 19 ივნისის დადგენილება.

ვ) წინადადება მიეცეს ბიუროს დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ანგარიშქვეშ გატანილი თანხების გამართლებისათვის.

ზ) მიღებულ იქნას ენერგიული და გადამწყვეტი ზომები სესხად გაცემული და დაუფარავი თანხების აღსადგენად. იმ პირთა საქმე, რომლებიც ცენტრალურ ბიუროს მიერ დაწესებულ ვადაში არ დაფარავენ თავიანთ დავალიანებას, გადაეცეს სასამართლოს დავალიანების იძულებითი გადახდევინების მიზნით.

თ) სხვადასხვა უწყებიდან დახმარების სახით მიღებული თანხები უნდა გატარდეს შემოსავალში და ამ თანხების დახარჯვის შემდეგ ანგარიშები უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოებს.

ი) მთელი სარევიზიო მასალა გადაეცეს სახელმწიფო ორგანოს დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

კ) წინადადება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციას საბჭოთა ჯგუფს განათლების სახალხო კომისარიატის და საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენლებთან ერთად დაწვრილებით შეისწავლოს ცენტრალური ბიუროს საქმიანობა და შეიმუშაოს ღონისძიებანი ცენტრალური ბიუროს რაციონალიზაციისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე—
კანოვ კავკასკი.

სახ. უნივერსიტეტის და სასოფ.-სამეურნეო ინსტიტუტის პარტუჯრედთა რეზოლუცია

საქ. სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომუჯრედების გაერთიანებულმა სხდომამ, მოისმინა რა ამხ. გ. დევდარიანის მოხსენება და ცნობა საქ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილებისა სტუდენტთა ორგანიზაციების ალმასბიუროს მომუშავეებთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობაზე, მთლიანად და სავსებით უერთდება საქ. საკონტროლო კომისიის დადგენილებას, ღებულობს მას ცხოვრებაში ურყევად გასატარებლად და მომავალში მუშაობისათვის სახელმძღვანელოდ. ამასთან ერთად გაერთიანებული კომუჯრედთა სხდომა აღნიშნავს: 1) ის დიდი უარყოფითი მოვლენა მთელი თავის უმსგავსოებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალმასბიუროს საქმიანობაში და რომელიც ჩაიდინეს ალმასბიუროს მომუშავეებმა, არ შეიძლება განისაზღვროს და შეფასებულ იქნას როგორც უბრალო გაფლანგვა. ამ მოვლენას თან სდევდა თვითკრიტიკის ჩახშობა, ურთიერთ ძმაბიჭური კავშირი და უპასუხისმგებლობის გაძლიერება აღნიშნულ მომუშავეებისა. ამასთან ერთად, ეს აიხსნება იმ დიდი ნდობით, რომელსაც უნივერსიტეტის პარტხელმძღვანელობა იჩენდა ალმასბიუროში მომუშავე ამხანაგების მიმართ, და იმ დაუდევრობითა და სუსტი ხელმძღვანელობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალმასბიუროს ხაზით.

2) სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტხელმძღვანელობას აუცილებლად მთელი რიგი მიღწევები აქვს, მისი პოლიტიკური ხაზი სწორი იყო, ბრძოლა ტროცკიზმის, მენშევიზმის, ოპორტუნიზმის, მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის გამტარებელთა, პროფესურისა და სტუდენტობის რეაქციონურ და ანტისაბჭოთა ნაწილის წინააღმდეგ გააფთრებით სწარმოებდა. უნივერსიტეტის საერთო საქმიანობაში პარტორგანიზაციას თავისი წვლილი შეჰქონდა და საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ხაზს ურყევად ატარებდა.

3) მაგრამ ამავე დროს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შეცდომებს უმთავრესად თვითკრიტიკა არ იყო ფართოდ გაშლილი, რომ თავის დროზე შემჩნეული ყოფილიყო ყველა ის დეფექტები და უმსგავსოებანი, რომელთანაც საქმე გვაქვს დღეს, ადმინისტრატიულ საქმეებით დატვირთვა, სამკუთხედში შეუთანხმებლობა, გამგეობისა და ადმინისტრაციის სუსტი მუშაობა, რომელიც კიდევ უფრო ტვირთავდა სტუდენტთა ორგანიზაციებს და განსაკუთრებით პარტორგანიზაციას, ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა მეორე პუნქტში აღნიშნული მომენტები მიიქცევდნენ ხელმძღვანელობის და მთელი ორგანიზაციის უმთავრეს ყურადღებას და ამის გამო მხედველობიდან გაშვებულ იქნა ალმასბიუროს საქმიანობა, რომელიც ერთ-ერთი მთავარი დარგთაგანია უნივერსიტეტში.

4) აქვე უნდა აღინიშნოს სუსტი მხარეები კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობაში და განსაკუთრებით „მსუბუქი კავალერიის“ უმოქმედობა, რომელიც აღმოჩნდა ხსენებულ ორგანიზაციებში აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციებს აუცილებლად ესაჭიროება ნაწილობრივი გადახალისება.

5) უნივერსიტეტში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს მთელი პარტიული მასის ყურადღების და ენერგიის დაჭიმვას და მთელი ამ მასის მობილიზაციას პარტიული ორგანოების დადგენილების ირგვლივ. კლასობრივი მტრები და უკმაყოფილო ელემენტები აუცილებლად მოინდომებენ ამ უმსგავსოებათა მხილების შედეგად თავისი მუშაობის გაცხოველებას და მდგომარეობის გამოყენებას. რის მაგალითები უკვე გვაქვს, (მაგ., დოც. ა. წერეთელი, ასისტენტი გიორგი გამყრელიძე, ყოფ. ასისტენტი უნივერსიტეტის ექიმი ნაზარეტიანი, ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი ნინა მეუნარგია, ყოფ. სტუდენტი ხმის უფლება მოკლებული გრიგოლ ბათლომეძე კეკელიძე და მრავალი სხვები), ისინი აუცილებლად შეეცდებიან ეს მდგომარეობა გამოიყენონ თავის სასარგებლოდ, რომ ამით არარაობამდის დაიყვანონ ის დიდი მუშაობა სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციისა, რომელიც ჩატარებული იქნა. სწორედ აქ არის საჭირო ამ მდგომარეობის შეგნება, რომ ასეთ ცდებს კლასობრივი მტრებისა და უკმაყოფილო ელემენტებისა დაუპირდაპირდეს პარტორგანიზაციების შეგნება და შეკავშირება საკონტროლო კომისიის დადგენილების ურყევად გატარების ნიადაგზე. ის გაფრთხილება, რომელსაც იძლევა საქართველოს საკონტროლო კომისია ამ მხრივ, უნდა შეგნებული იქნეს მთელი პარტიული მასის მიერ.

6) აუცილებელია მომავალი გადარჩევების დროს, რომელიც საჩქაროდ უნდა ჩატარდეს როგორც პარტიული, ისე პროფორგანიზაციების ხაზით, უზრუნველყოფილი იქნას შინაპარტიული დემოკრატია თვითკრიტიკის ფართოდ გაშლის ნიადაგზე. „დღევანდელ მომენტში, ისე როგორც არასოდეს, საჭიროა გაბედული ბოლშევიკური თვითკრიტიკა, მხოლოდ ასეთი თვითკრიტიკა მოგვცემს საშუალებას დაშვებული შეცდომების განუმეორებლობის“. უჯრედი მთლიანად აუცილებლად ჯანსაღია და ის შესძლებს საკონტროლო კომისიის დადგენილებისა და რაიონული კომიტეტის მითითების საფუძველზე ახალი აქტივის წამოყენებით აღნიშნულ დადგენილების განხორციელებას და დასმულ ამოცანების გადაჭრას.

საზოგადოებრივი კვების შემოწმება

შემმოწმებელი შტაბის თათბირი

16 აპრილს შესდგა საქ. პროფსაბჭოსთან არსებულ საზოგადოებრივი კვების შემმოწმებელი ცენტრალური შტაბის თათბირი, თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი საზოგადოებრივი კვების შესამოწმებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

თათბირზე მოსმენილ იქნა ამხ. გ. ბუაძის მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ თბილისში ამჟამად უკვე დამთავრებულია ყველა დიდი სასადილოებისა და რესტორანების დათვალიერება—შემოწმება. შემოწმების შედეგათ მიღებული მასალები ვრცლად შუქდება, როგორც პრესაში, ისე სასადილოებთან არსებულ კედლის გაზეთებში. ყველა აღმოჩენილი დეფექტების გამოსასწორებლათ ცენტრალური შტაბი ღებულობს სასწრაფო ზომებს და მართლაც დეფექტების გამოსწორება დაუყოვნებლივ ხდება.

საზოგადოებრივი კვების შემოწმებასთან ერთად პიონერ-რაზმების საშუალებით ტარდება სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის კვების საქმის შემოწმებაც. შემოწმებულ პიონერ-რაზმებთან ერთად სასკოლო ბუფეტების შემოწმებას ახდენენ ექიმებიც. სასკოლო ბუფეტების მუშაობაში აღმოჩენილია მრავალი დეფექტები, რომელთა გამოსასწორებლათაც საჭირო ხდება განსაკუთრებული ღონისძიებების მიღება. უმთავრეს დაბრკოლებას ამ მხრივ წარმოადგენს სკოლებთან სათანადო შენობების სიმცირე, რის გამოც ბუფეტები ხშირად მოთავსებული არიან არა შესაფერის ბინებზე.

უახლოეს ხანში, მომხსენებლის გადმოცემით, ცენტრალურ შტაბს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს სანიმუშო საზოგადოებრივი კვება 3 კომუნაში. სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამტკიცებულია და პრაქტიკული მუშაობაც ახლო ხანში დაიწყება.

თათბირზე სპეციალური მოხსენებით გამოვიდა ჯანმრთელობის ორგანოების წარმომადგენელი ექ. ი. ლორთქიფანიძე, რომელმაც თათბირს აცნობა, რომ თბილისში სულ ახლო ხანში გადაწყვეტილია მოეწყოს სახალხო კვების მეცნიერულად შემსწავლელი ლაბორატორია, რომელიც გამოიკვლევს სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლებისათვის სასარგებლო საჭმელების შემადგენლობას და შეისწავლის ადგილობრივი საჭმელების (იმერული კერძები და სხ.) სარგებლიანობას ჯანმრთელობისათვის. შემდეგში ეს ლაბორატორია გადაკეთებული იქნება კვების შემსწავლელ სამეცნიერო საბჭოთ, რომელიც რჩევა-დარიგებებს მისცემს სხვადასხვა წარმოებებთან მოწყობილ საზოგადოებრივი კვების სამზარეულოებს, თუ რა შემადგენლობის საჭმელები უნდა დაამზადონ მათ მათი წარმოების მუშებისათვის.

სახურავი ფიქალის გამოყენება მშენებლობაში

უმაღლეს ორგანოების დირექტივების თანახმად, მშენებლობის გაიაფებისა და რაციონალიზაციის მიზნით, მთავარი ყურადღება ექცევა ლითონის დაზოგვას და მინერალური წარმოშობის სხვა მასალებით მის მიზანშეწონილად შეცვლის საქმეს.

ამ შემთხვევაში უდიდეს ყურადღებას იქცევს სახურავ მასალის ფიქალით შეცვლის საკითხი. ფიქალი გამოდგება რკინის ნაცვლად. საბჭოთა კავშირში ასეთი მასალა საკმაო აღმოჩნდა. ეს მასალაა სახურავი ფიქალი. რკინის მაგივრად უცხოეთში დიდი ხანია ხმარობენ ფიქალს, რაც გაცილებით იაფი ჯდება და იმავე დროს მეტ ხანსაც სძლებს. მაგალითად, პირველხარისხოვანი ფიქალი სძლებს 500 წლამდე, ხოლო საშუალო ხარისხების ფიქალი 40—150 წლამდე.

ფიქალის ბუდობების აღმოჩენას და დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოშიაც. საქ. ს.მ.უ. საბჭომ [illegible]კოვის გამოყენებით მინერალოგიის ინსტიტუტთან ერთად, ჯერ კიდევ გასულ წელს ჩაატარა სახურავი ფიქალის დასამუშავებლად წინასწარი მუშაობა კახეთის ოლქის ს. საბუეს მიდამოებში მდ. ინცობას გასწვრივ. სახურავი ფიქალის ბუდობები აგრეთვე აღმოჩენილ იქნა მდ. სტორის და მდ. თელეთის სათავეებთან. ფიქალის მარაგი დიდია. ის აგრეთვე მოიპოვება საქართველოს სხვა რაიონებშიაც.

ცდებმა ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. საქართველოს ფიქალი ზოგ შემთხვევაში უკეთესია გერმანიისა და ამერიკის სახურავ ფიქალზე.

„დროშა“ № 7 (31)
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

ქრონიკა

წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია
მიმდინარე წლის ოქტომბერში ქ. ბრიუსელში მოწვეულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ მიიღო მოსაწვევი ბარათი. კონფერენციაზე დასასწრებლად არჩეულია ამხ. შამშე ლეჟავა.

დანაკარგებთან ბრძოლის გამოფენა
სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში გაიხსნა გამოფენა ბორჯომის სატყეო ქარხანაში დანაკარგებთან ბრძოლის დასახასიათებლად.

საბჭოთა პიონერთა ჯანმრთელობის დასაცავად
საქ. წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდა პიონერთა ჯანმრთელობის დაცვის ხელისშემწყობი საბჭო.

საბავშვო ბაღი კოლმეურნეობასთან
საქ. წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტეტი სოფელ კატრიკეთის კოლექტივთან ხსნის ბავშთა ბაგას.

მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობა
საზ-ბა „საქ. აბრეშუმმა“ გადასწყვიტა თბილისის რაიონში მოაწყოს მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობისათვის შესაფერი ადგილი ამორჩეული იქნა დიღომში. გუშინ თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა განიხილა ეს საკითხი და დაადგინა მეაბრეშუმეობის საბჭოთა მეურნეობისათვის დიღომში გამოყოს 25.000 ჰექტარი მიწა. „საქ. აბრეშუმი“ ამ მეურნეობაში გააშენებს თუთის ხეებს, მოაწყობს აბრეშუმის მოსაყვან შესაფერ ფარდულებს და სხ.

პურის ქარხნის ამუშავება
პირველ მაისიდან ამუშავდება მუშკოოპის პურის საცხობი ქარხანა, რომელიც ყოველდღიურად გამოაცხობს 3.000 ფუთ პურს.

თბილისის აღმასკომში
◆ საბჭოთა მუშაკების კლუბის ასაგებად აღმასკომი მომავალ წლის ბიუჯეტით გაიღებს 75.000 მან.

◆ მაკარონის და ძეხვის ქარხნების გასაფართოებლად გადაიდო 91.000 მანეთი.

◆ თბ. ოლქში არსებულ კოლექტივების ხელმძღვანელთა და მოანგარიშეების მოსამზადებლად აღმასკომმა გადადო 27.000 მანეთი.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში
◆ ტროპიკულ სნეულებათა სადგურები. ოზურგეთში, ზუგდიდში და სენაკში მოეწყო ტროპიკულ სნეულებათა სადგურები.

◆ ახალი საავადმყოფო. დიდ-ჭყონში (სენაკის მაზრა) დამთავრდა საავადმყოფოს აგება.

სხვადასხვა
◆ „იუდა“. 18 აპრილს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოხდება „სოვკინოს“ ანტირელიგიურ ახალ სურათის „იუდას“ საზოგადოებრივი ჩვენება.

◆ „მგოსანი საიათნოვა“. რედაქციამ მიიღო გიორგი ლეონიძის ახალი წიგნი: „მგოსანი საიათნოვა“, „ქართული წიგნის“ გამოცემა.

ახალი ჟურნალი
გამოვიდა ახალი ჟურნალი „აგიტატორი“ № 1. შინაარსი: **ი. სტალინი**—პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს, **მ. კახიანი**—საკოლმეურნეო მოძრაობის წარმატებისა და ნაკლის შესახებ საქართველოში, საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის: **ს. ეფრემიძე**—საგაზაფხულო თესვის კამპანიის მიმდინარეობა, **ქ. ხუნდაძე**—მეტი ყურადღება ინდივიდუალურ მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა: **აბელ ენუქიძე**—საბჭოების მასიური მუშაობა—პირით კოლმეურნეობისაკენ, **ს. ხოშტარია**—რა უნდა გაერთიანდეს სასოფლო-სამეურნეო არტელში, **ზ. ჩახვაძე**—როგორ ანაზღაურდება შრომა კოლექტიურ მეურნეობაში, მასიური მუშაობა: სესხი—„ხუთწლედი—4 წელში“ (თეზისები მომხსენებელთათვის), **ს. გოდაბრელიძე**—სოციალისტური შეჯიბრების დამკვრელი ბრიგადების მუშაობის და სამრ.-საფინანსო გეგმის შესრულების მასიური შემოწმება, **ი. ზ—ძე**—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, **დ. ქუჩულორია**—მტკიცეთ გავატაროთ საარჩევნო კანონმდებლობა—ღარიბ გლეხთა და ქალთა შორის მუშაობის შესახებ, აგიტატორის დღიური: მელითონეთა კავშირის საგადარჩევო კამპანიის ამოცანები, როგორ უნდა დაარსდეს კოლექტიური მეურნეობა, ბრძოლა დანაკარგებთან—მორიგი ამოცანაა, 214 სამ.-სატრაქტორო სადგური 1930 წ. საბჭოთა კავშირში, ავტომობილები საქართველოს კოლმეურნეობებს, რა ვიკითხოთ.

ჟურ. „დროშა“ № 7 (81)
გამოვიდა ჟურ. „დროშა“ № 7 (31). შინაარსი: **გიორგი კაჭახიძე**—სასოფლო-სამეურნეო არტელი; **სეზმან ერთაწმინდელი**—შურისძიება; **გ. ჯრელი**—თბილისის სატირის თეატრი; **გ. ნატროშვილი**—დემნა შენგელაია; „ცხრა თვალი“, შიმშილობა ჩინეთში; **ბ. გ.**—მხატვარი ფ. ტერლემეზიანი; ვ. მაიაკოვსკის თვითმკვლელობა; **სანდრო შანშიაშვილი**—ქარაიცი (გაგრძელება); **არჩილ ჩაჩიბაია**—მზის ქვეშ; ექვსთითიანი ადამიანები; თეატრალი—„შვიდი დღე“; უცხოეთის ფოტო-ქრონიკა; ჩვენი ფოტო-ქრონიკა; ჟურნალში მოთავსებულია 40-ზე მეტი სურათი; ფასი 15 კაპ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა
მარჯანიშვილის თეატრი ხარკოვში
9 აპრილს მარჯანიშვილის თეატრი ჩავიდა ხარკოვში, ხარკოვის მოსახლეობა დასს შეხვდა ოვაციებით, მუსიკით და მისასალმებელი სიტყვებით. მთელი დასი დაბინავდა ხარკოვის გლეხთა ცენტრალურ სახლში, სადაც მიეცათ ბინა გასტროლების დროის განმავლობაში. დასი ხარკოვში დარჩება 20 აპრილამდე.

აზერბეიჯანის ძმური დახმარება
პელაგრის წინაალმდეგ საბრძოლველად
საქართველოში პელაგრის წინაალმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის სათანადო ორგანოების მოწოდებას დიდი თანაგრძნობით შეხვდა მთელი საბჭოთა კავშირი და კერძოდ აზერბეიჯანის ხელისუფლება.

აზერბეიჯანის ხელისუფლებამ პელაგრის წინაალმდეგ საბრძოლველად და მისი გამომწვევ მიზეზების მეცნიერულად შესწავლის მიზნით გამოგზავნა ექიმთა ექსპედიცია პროფ. ჩლენოვის ხელმძღვანელობით.

ექსპედიცია უკვე ორი თვეა აწარმოებს მუშაობას პელაგრის წინაალმდეგ ბანძის რაიონში.

ექსპედიციას თავის ხარჯით მოწყობილი აქვს 10 საწოლიანი საავადმყოფო და ამბულატორია. ამბულატორიაში ყოველდღიურად ტარდება 200 ავადმყოფზე მეტი. იქვე გახსნილია დიეტიური სასადილო, სადაც დღეში 150 ავადმყოფს უფასოდ ეძლევა სადილი.

ექსპედიციის წევრები აგრეთვე დადიან სოფლებში და შესაფერ საექიმო დახმარებას უწევენ ავადმყოფებს. მძიმე ავადმყოფებს ათავსებენ საავადმყოფოში.

პელაგრის წინაალმდეგ პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, ექსპედიცია აწარმოებს პელაგრის გაჩენის მიზეზების მეცნიერულად შესწავლას და ღებულობს წინასწარ ზომებს მისი გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

ექსპედიცია ადგილობრივ დარჩება კიდევ 2 თვეს.

კერძო სექტორი ბაზრიდან იდევნება
თბილისის მუშკოოპი ენერგიულად განაგრძობს ბრძოლას თბილისის ბაზრის მთლიანად დაპყრობისათვის. არ დარჩენილა ვაჭრობაში ერთი სფერო, რომ მუშკოოპს არ მოეკიდოს ხელი.

ამ უკანასკნელად მუშკოოპი შეუდგა ბოსტნეულის და მწვანეულობის ქუჩაში ვაჭრობას.

როგორც ვიცით, თბილისში ძალზე გავრცელებულია მწვანეულის და ბოსტნეულის ქუჩაში ვაჭრობა. ამ პროდუქტებს ქუჩაში აქამდე დაატარებდნენ კერძო პირები „ტაჩკებით“.

თბილისის მუშკოოპმა გააერთიანა ეს კერძო მეტაჩკეები და ბაზარზე გამოუშვა 21 „ტაჩკა“. იმ მიზნით, რომ ადგილი არ ექნეს სანოვაგეზე ფასების აწევას, ყოველ ტაჩკაზე მიკრულია ფასების ნუსხა.

თბილისის მუშკოოპმა მოაწყო მწვანილეულის გაყიდვა „ტაჩკებით“.

რა ხდება ადგილებზე

როგორ მიმდინარეობს კონტრაქტაცია
ბორჯომი, 15 აპრილი. ბორჯომის მესაქონლეობის სარაიონო კავშირის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე აღნიშნულ იქნა, რომ კონტრაქტაცია სუსტად მიმდინარეობს. საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულება მთელი ასი პროცენტით შესაძლებელია მხოლოდ კართოფილსა და რძეზე, ხოლო რქოსან საქონელზე, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქონელი გაყვანილი იქნება ადგილობრივ ბაზარზე.

მესაქონლეობის რაიონულ კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა სთხოვოს საქართველოს მესაქონლეობის კავშირს სასწრაფოდ გამოუგზავნოს სამრეწველო საქონელი და ფქვილი რაიონში კონტრაქტაციის გასაძლიერებლად.

გაზიანი მინერალური წყლის ქარხანა სამხრეთ-ოსეთში
ბორჯომი, 16 აპრილი. სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭომ ბორჯომის წყლის სამმართველოსაგან შეიძინა ყველა ტეხნიკური მოწყობილობანი სამკურნალო-სამელი წყლის ბოთლებში გადასასხმელად. აღნიშნული მინერალური წყარო მდებარეობს ცხინვალიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. სპეციალისტების აზრით წყაროს წყალი საუკეთესო ღირსებისაა. (ადს)

უჯრედის ბიუროების გადარჩევა
ონი, 15 აპრილი. დაიწყო უჯრედთა ბიუროების გადარჩევა. ამ დღეებში მოწვეულ იქნება რაიონული პარტკონფერენცია. (ადს)

საბჭოთა აპარატის წმენდა
ონი, 15 აპრილი. დაიწყო ონის რაიონის საბჭოთა აპარატის წმენდა. წმენდას გაივლიან კოოპერატივის, მილიციის, სახალხო სასამართლოს, აღმასკომის და საფინანსო-გადასახადო განყოფილების მოსამსახურენი. საბჭოთა მოსამსახურეების კლუბი, სადაც ხდება წმენდა, სავსეა პროფკავშირის წევრებით. (ადს).

წითელას ეპიდემია
ონი, 15 აპრილი. ონის რაიონის თითქმის ყველა სოფლებში მძვინვარებს წითელას და ინფლუენციის ეპიდემია. ონის საავადმყოფო არაა საკმაო ავადმყოფების მოსათავსებლად. (ადს).

სახელმწიფო სესხები

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ტიმე-2 ტირაჟი
3-5 მაისს სამარყანდში მოხდება ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის მე-2 ტირაჟის გათამაშება.

ინდუსტრ. პირველი სესხის მე-11 ტირაჟი
20 აპრილს სტალინგრადში დანიშნულია ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის მე-11 ტირაჟის გათამაშება.

„5-წლედი 4-წელიწადში“
სახელმწიფო ბანკის ცნობით, ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს სპეციალური თათბირი, რომელიც იხილავს ახალი სესხის „5-წლედი 4 წელში“ გამოშვების საკითხებს.

1930 წლის სესხი
მოსკოვში, 20 აპრილს მოხდება 1930 წლის სესხის პირველი ტირაჟის გათამაშება.

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ობლიგაციების განაღდება
შემჩნეულია, რომ ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებებს თავის დროზე არ შეაქვთ ბანკებში მუშა-მოსამსახურეებიდან აღებული ობლიგაციების ღირებულება. ამიტომ საკავშირო სახელმწიფო კრედიტების ხელის შემწყობმა კომისიამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ კომისიებს მიიღონ შესაფერი ზომები, რათა ყველა წარმოება-დაწესებულებათა ადმინისტრაციებმა მე-3 სესხის დავალიანებანი გადაიხადონ 1 ივლისამდე.

სასამართლო

„გააღრმავა“ დირექტივა
სოფ. ულიანოვკა (კახეთის ოლქი) გადავიდა მთლიან კოლექტივიზაციაზე, ღარიბი გლეხობა ჩაება საკოლმეურნეო მუშაობაში, მაგრამ აქა-იქ აღმოჩნდნენ შეუგნებელი გლეხები, რომლებსაც ცუდათ გაიგეს კოლექტივიზაციის მიზანი და მნიშვნელობა. ეს შეუგნებელი ნაწილი შეუდგა პირუტყვის და ფრინველების მასიურად განადგურებას.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია საოლქო ხელისუფლებამ და გასცა განკარგულება, სოფლის საბჭოებს მიეღოთ სათანადო ზომები პირუტყვების განადგურების შესაჩერებლად. ერთ-ერთ ზომად დასახელებული იყო გზების შეკრა, რომ სპეკულიანტებს და ჩარჩვაჭრებს სოფლიდან არ გაეტანათ დაკლული საქონელი.

ულიანოვკის სასოფლო-საბჭომ გამოჰყო საყარაულო რაზმი, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრა საბჭოს წევრს **ვასილ ივანეს ძე ანუფრიენს**. ანუფრიენმა გარკვევით განემარტა თავის მოვალეობა, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ბაზრისაკენ მიმავალ გზებზე დაუყენებია მცველები და უნებართვოთ არავისთვის არ გაეტანებია ხორცეული.

ანუფრიენმა „გააღრმავა“ დირექტივა, გამოიჩინა „რევოლუციონერობა“ და თავისი რაზმით დაიწყო გლეხების ბინების ჩხრეკა მომარჯვებული რევოლვერით.

12 თებერვალს ანუფრიენი „ბრაუნინგით“ ხელში სამი კომკავშირელის თანხლებით შეიჭრა მოქ. კულდინოვის ბინაში. ანუფრიენმა ნახა ერთი დაკლული ქათამი და დიდის მრისხანებით ამოიღო იღლიაში. ქათამს მიაყოლა ცოტა სხვა ნივთებიც, რომელიც მას თვალში დაუჯდა.

სახლის გაჩხრეკის შემდეგ ანუფრიენმა ბრძანება მისცა თავის რაზმს გაეჩხრიკა სარდაფი. თვითონ რევოლვერი მიუშვირა დიასახლისს ხახტია კულდინოვას და უბრძანა სოფლის? სარდაფის კარის გაღება.

აცახცახებული ქალი გაეშურა სარდაფის გასაღებად. ანუფრიენი რევოლვერს არ აშორებს ქალს, თითქოს მეტად საშიში მტერი ედგეს წინ. სარდაფი გაიღო, სარდაფში დაბმული იყო ძაღლი, რომელიც ყეფით გაიწია ანუფრიენისაკენ.

ძაღლის დაყეფება და რევოლვერის გავარდნა ერთი იყო, „რევოლიუციონერი“ ანუფრიენი შეაშინა ძაღლმა, გაუვარდა რევოლვერი, ტყვია მოხვდა კულდინოვის ქალს, რომელიც ფეხში მძიმედ დაიჭრა.

ასე შეასრულა ანუფრიენმა თავისი მოვალეობა.

ანუფრიენი გაასამართლა უზენაეს სასამართლოს სესიამ ამხ. ბოცვაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ვ. კაკაბაძის მონაწილეობით.

ანუფრიენს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით სასტიკი იზოლიაციით.

კედლის გაზეთის ჩამოხევისათვის
თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ზუკაკიშვილის თავმჯდომარეობით განიხილა მოქ. თამარა სადრაძის საქმე.

სასამართლო ძიებით გამოირკვა, რომ სადრაძის ქალი უმართებულოდ გასწერეს კედლის გაზეთში, კორესპონდენცია არ შეიცავდა სინამდვილეს. ამან გამოიწვია მასში სულიერი მღელვარება, მან თავი ვერ შეიკავა და ჩამოხია კედლის გაზეთი.

ბრალდებულმა თვითონ სცნო თავი დამნაშავედ. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ისი სოციალური მდგომარეობა, მიუსაჯა ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელი შეუცვალა პირობით ერთი წლის ვადით.

ზერ.

რკინის გზებზე

რკინისგზელთა ფსიქო-ტეხნიკური შემოწმების საქმის გაუმჯობესება
რკინისგზელთა ფსიქო-ტეხნიკურ შემოწმებას ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გზის მუშაკების ფსიქო-ტეხნიკური შემოწმების საქმე ა.-კ. რკინის გზაზე ჯერ კიდევ ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

მართალია თბილისში გზას მოეპოება ფსიქო-ტეხნიკური ლაბორატორია, მაგრამ იგი ძალზე სუსტად მუშაობს, რკინისგზელების ძალიან მცირე ნაწილს ამოწმებს და თანაც მის დასკვნებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახალ კადრების სამსახურში მიღების დროს.

ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად გზის გამგეობას და ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვთ ლაბორატორიის გაფართოება. ამ მიზნით საჭირო ხდება პირველ ყოვლისა მისი უზრუნველყოფა გაუმჯობესებული ხელსაწყოებით და უკეთ მოწყობა.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად გზის გამგეობამ უკვე გადასდო საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა და აღძრა საკითხი უმაღლეს ორგანოების წინაშე, რომ მას ნება დართონ საზღვარგარეთიდან შემოიტანოს ლაბორატორიისათვის საჭირო ხელსაწყოები და ლიტერატურა.

ცვლილებები თბილისის საუბნო კომიტეტში
პროფკავშირების მუშაობის ახალ მეთოდებზე გადაყვანის გამო, რკინისგზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტში მოხდა ძირეული რეორგანიზაცია.

საუბნო კომიტეტთან დაარსდა ოთხი ჯგუფი, რომლებიც ხელმძღვანელობენ მუშაობას. დაარსებულია შემდეგი ჯგუფები: საექსპლოატაციო, საორგანიზაციო-კულტურულმასიური მუშაობის, ახალი სამუშაოების და მოძრავი შემადგენლობის შეკეთების.

მუშაობის რეორგანიზაციასთან ერთად მოხდა ცვლილებები კომიტეტის პირად შემადგენლობაში.

კომიტეტის ყოფ. თავმჯდომარე ამხ. ბ. რაზმაძე გადაყვანილ იქნა სამეურნეო სამუშაოზე. მის ნაცვლად კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ნ. ვაჭარაძე, საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **ლოლაძე**, **გოგოლაშვილი** და **ლატარია**, რომლებიც ხელმძღვანელობენ ზემოხსენებულ ცალკე ჯგუფებს.

თბილისის საუბნო კომიტეტს შეუერთდა ხაშურის საუბნო კომიტეტი და ამგვარად მისი სამოქმედო ასპარეზი თვალსაჩინოდ გაფართოვდა; იგი აღწევს სადგ. შორაპნამდე და აერთებს აგრეთვე ბორჯომის მთელ კვანძს და კახეთის შტოს.

ბიბლიოგრაფია

ექ. ს. კანდელაკი.

„პელაგრა“
(მასალები პელაგრას შესასწავლად საქართველოში)

გამოცემა სოც. ჰიგ. ინსტიტუტის და თბილ. საოლქო აღმასკომის ჯანმრ. განყოფილებისა

გამოვიდა ქართულ ენაზე ფრიად საინტერესო წიგნი ექ. ს. კანდელაკისა „პელაგრა“. ექ. კანდელაკი ხელმძღვანელობდა ჯანსახკომის მიერ დასავლეთ საქართველოში გაგზავნილ რაზმს (ექიმთა ექსპედიციას).

როგორც ვიცით, დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ამ უკანასკნელ წლებში ამ სენმა მიიღო ეპიდემიური ხასიათი. ამიტომ, ხსენებული წიგნის ღირებულება ერთიორად იზრდება. მასში მოთავსებულია დიდძალი თეორეტიული მასალა ამ დაავადების შესახებ და მისით დასნეულებულ რაიონების მოსახლეობის მასიური პროფილაქტიზაციის მიზნით ავტორი უთითებს მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებაზე.

დასავლეთ საქართველოში უფრო დეტალურად არის შესწავლილი ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრები. იქ პელაგრით დაავადება უდრის მცხოვრებთა 5—10 პროცენტს. პელაგრა გავრცელდა აგრეთვე აფხაზეთში და ქუთაისის ოლქშიაც. ავტორი ხაზს უსვამს იმ საგულისხმო გარემოებას, რომ ყველა აქ ჩამოთვლილ რაიონებში მოსახლეობა 80—90 პროცენტით იკვებება მხოლოდ სიმინდით. იქ, სადაც ძირითად საკვებ მასალას არ შეადგენს სიმინდი, ან შერეულ საკვებს ხმარობენ, იქ პელაგრას ან ვერ ვხვდებით, ან მეტად იშვიათად. (როგორც მაგ. შორაპნის მაზრა. ხაშური, სურამი და თითქმის მთელი აღმოსავლეთი საქართველო).

წიგნი მით არის აგრეთვე საინტერესო, რომ დათვალიერებულ და გამოკვლეულ რაიონებში ავტორის მიერ გულდასმით არის შესწავლილი მოსახლეობის კვების საკითხიც.

პელაგრით დაავადებული მოსახლეობის მდგომარეობა მით უფრო გართულებულია, რომ პელაგრას თან სდევს ანკილოსტომიაზი (ნაწლავების დაავადება ერთგვარი ჭიებით: ბრონქი-თავიანი ჭიაღლა, რომელსაც ანკილოსტომა ჰქვია) 67—70 პროც. პელაგრით შეპყრობილები, იმავე დროს დასნეულებულნი არიან ანკილოსტომიაზით, რაც აჩქარებს ავადმყოფის დაღუპვას მისი მწვავე სისხლნაკლებობის გამოწვევის გამო. ავტორის მიერ 547 გამოკვლეულ ავადმყოფთა შორის—213 აღმოჩნდა დაავადებული ანკილოსტომით (67,8 პროც.) აბსოლუტური ჭიების ინვაზია კი იძლევა—94,6 პროცენტს, რაც მაჩვენებელია მოსახლეობის ანტისანიტარული მდგომარეობისა. პელაგრა აწერილია ავტორის მიერ ისე მოსწრებულად დაავადების ყოველგვარი ფორმების მიხედვით, რომ ის საუკეთესო სახელმძღვანელოდ გამოდგება ამ მხრივ, როგორც ექიმებისა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე თვით მოსახლეობისათვისაც, რადგან წიგნი დაწერილია მეტად პოპულიარულად.

„პირველ ყოვლისა, სწერს ავტორი, ხალხის რაციონალურ კვებაზე უნდა ვიზრუნოთ... კვების საკითხებს, ისე როგორც სხვა პროფილაქტიურ საკითხებს, წინედ არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. დღეს კი, როცა პროფილაქტიური საკითხები პირველ რიგში იდგმება და სახალხო ჯანმრთელობის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, სახალხო კვების რაციონალიზაციის საკითხს შესწავლის პირველი ადგილი უნდა დაეთმოს. ისეთი სახელმწიფო სამეცნიერო-პრაქტიკული პროფილაქტიური დაწესებულება უნდა დაარსდეს, სადაც ექიმები, ფიზიოლოგები, ქიმიკოსები, აგრონომები და ეკონომისტები საერთო ძალებით ყოველმხრივ შეისწავლიან სახალხო კვების საკითხებს და მის რაციონალიზაციას ხელს შეუწყობენ“. საჭიროა მოეწყოს საკვები პუნქტები, მოსახლეობას სისტემატიურად მივაწოდოთ ისეთი პროდუქტები, რომლებიც პელაგრის წინაალმდეგ მოქმედებენ: ხორბლეულობა, ლობიო და სხვ. საჭიროა მოეწყოს დიეტური სასადილო-პროფილაქტორიუმი. მეტი ყურადღება მიექცეს ბავშვებისა და მოზრდილთა კვებასა და სხვ.

პელაგრის მეცნიერულად შესწავლის მხრივ საერთოდ ჩვენი სამკურნალო ლიტერატურა ღარიბია და ხსენებული წიგნი ამ მხრივ აუცილებლად საყურადღებოა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოება. წიგნის ფასი 2 მან.—(88 გვერდია), ძვირია და ამის გამო მკითხველი მასისათვის ხელმიუწვდომელია. საჭიროა, რომ ჩვენმა ჯანმრთელობის და განათლების ორგანოებმა ამ თავითვე მიიღონ საჭირო ზომები, რათა ეს წიგნი უფრო შეღავათიან ფასებში მიაწოდონ მკითხველთა ფართო მასას, რადგან თვით მოსახლეობის გაცნობა პროფილაქტიურ ზომებისათვის, ხელს შეუწყობს საერთოდ ჩვენს ბრძოლას პელაგრის წინააღმდეგ.

ექ. გ. მჟავანაძე.

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონის გახსნა
ორშაბათს, 14 აპრილს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიხსნა ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონი. სეზონი გახსნა ამხ. ოდილავაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საჭიროა მეტი ვარჯიშობა, რათა მომავალი თაობა იქნეს ფიზიკურად ჯანსაღი და გახვითარებული, რაც აუცილებელია სოციალისტური მშენებლობის საბოლოო გამარჯვებისათვის. ამხ. ოდილავაძის სიტყვის შემდეგ მოხდა ფეხბურთის გათამაშება „მედსანშრომა“-სა და „დინამო“-ს 2. შორის. თამაში დამთავრდა 3—0 დინამო მე-2-ის სასარგებლოდ.

კომისია ფიზკულტურის მუშაობის შესამოწმებლად
მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოჰყო კომისია ფიზკულტურულ მუშაობის შესამოწმებლად. შემოწმებული იქნება, თუ როგორ ყურადღებას აქცევდა ესა თუ ის დაწესებულება უმაღლესი ორგანოების დირექტივებს ფიზკულტურის გახვითარების დარგში.

ჩოგბურთი (ტენისი)
კვირას, 20 აპრილს, დღის 4 საათზე პლეხანოვის პრ., № 117 ტ. ს. ფ. კ.-ს მოედანზე შესდგება გაზაფხულის სეზონის გახსნა ჩოგბურთში, თბილისის საუკეთესო მოთამაშეების მონაწილეობით. ჩატარებული იქნება საჩვენებელი თამაში.

წითელარმიელი სროლაზე

მეცნიერება და ტექნიკა

პირველი რადიო-ტელეგრაფის 30 წლის თავი
ამ რამდენიმე ხნის წინათ შესრულდა 30 წელიწადი მსოფლიოში პირველი პრაქტიკული რადიო-სადგურის დადგმის დღიდან. 30 წლის წინათ გაისმა უბედურების პირველი რადიოსიგნალი, გადაცემული მსოფლიოში პირველი პრაქტიკული რადიო-სადგურის მიერ. ეს იყო 1900 წ. თებერვალში. სამხედრო მასწავლებელმა ა. პოპოვმა 1895 წ. დაიწყო პირველი ცდები რადიო-გადაცემის დარგში. 1895 წ. 7 მაისს პოპოვმა პეტერბურგის ფიზიკო-მათემატიკურ საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება ცნობების გადაცემის შესახებ უმავთულოდ და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ამ დღიდან პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ იტალიელმა მარკონიმ გამოიგონა უმავთულო ტელეგრაფი.

ამრიგად ილექტრო-სანაღმო სკოლის მასწავლებელი პოპოვი არის რადიოს პირველი გამომგონებელი. მაგრამ მსოფლიოში პირველობა შერჩა მარკონის, რის მიზეზია მეფის ველური კანონები, რომლებიც საშუალებას არ აძლევდნენ პოპოვს, როგორც სამხედრო პირს, აეღო პატენტი თავის გამოგონებაზე. მეფის მთავრობა პოპოვის გამოგონებას უყურებდა, როგორც უაზრო რამეს. მეფის მოხელეებს არ ესმოდათ პოპოვის აღმოჩენის მნიშვნელობა. საზღვაო მინისტრმა პოპოვის განცხადებას გამოგონების შესახებ ასეთი რეზოლიუცია წააწერა: „ამგვარ სისულელეზე ფულების ხარჯვის ნებას არ ვრთავ“.

1900 წელს პოპოვმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, იგი უკვე აწარმოებდა უმავთულოდ ცნობების გადაცემას 10-15 კილომეტრის მანძილზე. პირველი რადიო-დეპეშა გადაცემული იქნა კუნძულ გელგოლანდის რაიონში. იგი შეიცავდა შემდეგ ცნობას: „ერმაკის“ კაპიტანს. ლავენსაარის ახლო ყინულმა გაიტაცა მეთევზეები. აღმოუჩინეთ დახმარება. აველანი“. და მართლაც, ცნობის თავის დროზე მიღების წყალობით, დაღუპვას გადაარჩინეს 27 მეთევზე.

პოპოვი ღირსეულად იქნა დაფასებული მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. მისი სახელი მიენიჭა მოსკოვის რადიო-სადგურს. გამოშვებულია სპეციალური მარკები პოპოვის სურათით, პოპოვის ქვრივს კი დაენიშნა მუდმივი პენსია.

მსოფლიოში უდიდესი გემი
საოკეანო სანაოსნო კომპანიამ „კიუნარდ ლაინ“ შეუდგა მსოფლიოში უდიდესი გემის აგებას. ახალი საოკეანო გიგანტის წყალწყვა იქნება 75.000 ტონა, 11.000 ტ. მეტი ახლანდელ უდიდეს გემ „მაჯესტიკ“-თან შედარებით. მისი სიგრძე იქნება 1000 ფუტი (343 საჟენი), მანქანების სიმძლავრე 200.000 ცხენის ძალა (80.000 ცხ. ძალით მეტი, ვიდრე ყველაზე სწრაფლმავალ გემის „ბრემენის“ სიმძლავრე), გემი დაიტევს 5.000 მგზავრს, მისი რაზმი შედგენილი იქნება 700 კაცისაგან.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი
საქართველოს სსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის სახელმწიფო ბიუჯეტების საკასსო შესრულებისათვის ცენტრალიზებული მიმდინარე ანგარიშების დაწესების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შემოღებულ იქნეს 1929—30 საბიუჯეტო წლიდან სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, რომელნიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებენ, საქართველოს სსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკებისა და ოლქის სახელმწიფო ბიუჯეტების საკასსო შესრულებისათვის ცალკეული ცენტრალიზებული მიმდინარე ანგარიშები.

თვითეული ბიუჯეტით ხარჯების გაწევა სწარმოებს იმ ნაღდი ფულის (ხელქონებულობის) ფარგლებში, რაც საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელზე და მისი რწმუნებულების (აფხაზეთის სსრ-კასა, აჭარისტანის ავტ. სსრ-კასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში) სახელზე გახსნილ სათანადო ცენტრალიზებულ მიმდინარე ანგარიშებზე ირიცხება.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეუთანხმოს სსრ-კის სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის სამხარეო კანტორას საკითხი ბიუჯეტების საკასსო შესრულებისათვის ცალკეული ცენტრალიზებული მიმდინარე ანგარიშების დაწესების შესახებ აფხაზეთის სსრ-კასა, აჭარისტანის ავტ. სსრ-კასა და და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა-საბჭოს საბოლოო დამტკიცებისათვის სათანადო დადგენილების პროექტი.

3. საქართველოს სსრ შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ბიუჯეტების საკასსო შესრულებისათვის ცენტრალიზებული მიმდინარე ანგარიშების დაწესებამდე, წინადადება მიეცეს მათ ხარჯები აწარმოონ ფაქტიურად მიღებული სახელმწიფო შემოსავლის ფარგლებში და არა უმეტეს იმ ლიმიტებისა, რაც დაწესებულია ცალკეული რესპუბლიკებისათვის.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) თვითეული კვარტალის დასაწყისისათვის წარმოუდგინოს ხოლმე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქართველოს სსრ ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის კვარტალური საკასსო გეგმა;

ბ) არა უგვიანეს ყოველი თვის 15 რიცხვისა წარმოუდგინოს ხოლმე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება გასულ თვეში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ და, ბიუჯეტის გასულ თვეში ასრულების მიხედვით, კვარტალის შემდეგი თვეების საკასსო გეგმებში შეიტანოს სათანადო ცვლილებები.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გახსნან ხოლმე კრედიტები ყოველთვიურად თვითეული რესპუბლიკისა და ოლქისათვის კვარტალზე დაწესებული ლიმიტების ერთი-მესამედის ფარგალში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **შ. ბოლქვაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 15.

დადგენილება
საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი
საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესების ხელისშემწყობი საზოგადოების წევრთა განთავისუფლების შესახებ მათი მოტოციკლებისათვის გადასახდევინებელი ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისაგან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნენ საქართველოს სსრ-ში ავტომობილიზმის განვითარებისა და გზების გაუმჯობესების ხელისშემწყობი საზოგადოების წევრნი მათი მოტოციკლეტებისათვის გადასახდევინებელი ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან, უკეთუ ისინი თავიანთ მოტოციკლებს გამოიყენებენ არა კომერციული მიზნით; ხოლო ეს პირნი არ განთავისუფლდებიან მოტოციკლის ნომრის ღირებულების გადახდისაგან მიმოსვლისათვის ნებართვის აღების დროს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი

1929 წ. ოქტომბრის 23.

პ. მეგრელიშვილი.

თბილისი-სასახლე.

შემთხვევები

მკვლელობის და თვითმკვლელობის განზრახვა
გუშინ, პრასკოვია ილიას ასულ ტამოზეროვამ (მცხოვ. კამოს ქ., 54), თავის 8 წლის ბავშვს სამართებლით გადაუჭრა მაჯა და შემდეგ თვითონაც დაიჭრა თავი. დაჭრილნი სასწრაფოდ გადაიგზავნენ საავადმყოფოში და მიღებული ზომებით ორთავე სიკვდილს გადაარჩინეს. როგორც ირკვევა მკვლელობის და თვითმკვლელობის განზრახვა გამოწვეულია ტამოზეროვას ნერვიული ავადმყოფობით

ავტომობილების მსხვერპლნი
რუსთავის ქუჩაზე მიმავალი ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი იაკობ ფიშონინი, დაეჯახა ჯავშნიან ავტო-მანქანების მეთაურს ალი ალიევს და მძიმედ დააშავა. ალიევი გადაიგზავნა საავადმყოფოში. შოფერი შეიპყრეს.—პლეხანოვის პროსპექტზე ძეხვების ქარხნის ავტომობილმა გაიტანა მოქ. აფეტ უსეილოვი, რომელიც სასწრაფოდ გადაიგზავნა საავადმყოფოში. შოფერი ტრუბინი მიცემულია პასუხისგებაში.—რუსთაველის თეატრის პირდაპირ, გუშინ წინ ღამით მოტოციკლეტი, რომელსაც მართავდა დიმიტრი ორჯონიკიძე, დაეჯახა ტელეგრაფის ბოძს და დაზიანდა, რის დროსაც დაშავდა თვით ორჯონიკიძე.

თავის მოწამვლა
სატიკის ქუჩაზე, № 3, მცხოვრებ სოფიო გიორგის ასულ გედევანოვამ მოიწამლა თავი. გედევანოვა სიკვდილს გადაარჩინეს.

უბედური შემთხვევა
სოფ. ქარის (აჭყურის რაიონი) სახერხ ქარხანაში, ნახერხის გამოხვეტის დროს, მანქანაში მოჰყვა მცირეწლოვანი მუშა სამსონ სიმონისძე გასიტაშვილი, რომელიც იმავე გარდაიცვალა.

თავის დაჭრა
სახაზინო ფულის დანაკლისის აღმოჩენის გამო, „საილსის“ ინკასატორმა ვასილ დიმიტრიძე ჩუღურიანმა დანით დაიჭრა თავი. დაჭრილი გადაიგზავნა რესპ. მთ. საავადმყოფოში.

ჯიბგირობა
სოფ. ჩალიხიდან ჩამოსულ გლეხს ივანე ქინჭარაულს შუა ბაზარში მოპარეს ერთი ვედრო ერბო.—თავისუფლების მოედანთან მდებარე „დიხამოს“ მაღაზიაში ნატალია სტეფანოვას უცნობმა პირმა ჯიბიდან ამოაცალა 38 მანეთი და მიიმალა.

შეპყრობა
ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ვაგან ოსიპოსიძე ბელგიახცი და გარეგინ ასატურისძე ალაფარიანი.—ქურდობისათვის დააპატიმრეს ვასილ იაკობისძე ფატურიშვილი.

რადიო-გადაცემა
ხუთშაბათი, 17 აპრილი
დღეს, დილის 9 ს. 10 ს. და 30 წ. ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე“. პროგრამაშია ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოს 10 კილოვატიანი რადიო-სადგურის საშუალებით გადაცემული იქნება:

17 ს.—17 ს. 30 წუთამდე—რადიო-გადაცემა ბავშვებისათვის ქართულ ენაზე; 17 ს. 30 წ.—18 ს. 10 წ.—რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; 18 ს. 10 წ.—19 ს. 35 წ.—რადიო-გადაცემა სოფლისათვის: საუბარი—„მართლმადიდებლობა, როგორც რუსეთის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის სამსახური“ ქართულ ენაზე; მდ. ლენაზე მომხდარი ამბებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საათი. 19 ს. 35 წ.—20 საათამდე—დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტი რადიოთი; ლექცია ეკონომიური გეოგრაფიის შესახებ, რუსულ ენაზე; დროის შემოწმება, 20 ს.—20 ს. 25 წ.—ჟურნალი „წითელი ფიზკულტუროსანი“ რადიოთი რუსულ ენაზე; 20 ს. 25 წ.—20 ს. 55 წ.—გაზეთი „კრასნი ვოინი“ რადიოთი (წითელარმიელთა გაზეთია) რუსულ ენაზე; 20 ს. 55 წ.—21 საათამდე—გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობების გადაცემა; 21 წ.—23 ს. 40 წ.—მდ. ლენაზე მომხდარი ამბებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. ანტრაქტებში რეკლამები. 23 ს. 40 წ.—24 საათამდე—უკანასკნელი ამბები.

პარტიული კალენდარი
დღეს, 17 აპრილს, საღამოს 6 ½ საათზე ევანგულოვის ქ. № 12 ჰიგიენის აუდიტორიაში შესდგება სამკურნალო ფაკულტეტის პარტ-უჯრედის დახურული კრება. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ. დღის წესრიგი: ბიუროს ანგარიში და ბიუროს არჩევნები.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ც. საკ. კომისია სთხოვს ამხანაგებს: ალექსანდრე მუსინს, დიმიტრი კობილოვს, სტელაზარტს, სიკო ზორტაშვილს, ვასილ მირიანაშვილს, რუბენ ჩაჩანიანცს, რაჟდენ ავლახიშვილს, იოსებ ტერ-გევონდიანს, გოგიჩაშვილს (ტრაქტორის საქმის ინსტრუქტორი), გიორგი მურალაშვილს, იოან კლაინს, ალექსანდრე ქამუხელს, მიხეილ აკოფოვს, ალექსანდრე პრიჩელსკის, გრამიტონ სვანიძეს, შალვა გაბისონიას, დავით მახარაძეს გამოცხადდნენ ც. ს. კ-ში სამი დღის განმავლობაში ამხ. მეგრელიშვილთან (ოთახი № 6).

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 წ. სეზონი
ხუთშაბათი, 17 აპრილი მე-7 აბონემ. მე-15 წარმ. უკანასკნელად
შოთა რუსთაველი
პარასკევს, 18 აპრილს, მე-3 აბონემ. მე-15 წარმ. მოსკოვის დიდი თეატრის
პრემიერის დ. დ. გოლოვინის მონაწილეობით დემონი
კვირას, 20 აპრილს, პრემიერა ა. ნ. ფალავას ახალი დადგმა
აბესალომ და ეთერი მუსიკა ხახ. არტ. ზ. პ. ფალიაშვილის.
ბილეთები იყიდება.
ნ. 622

აპოლო — 1-ლი ხეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — პოლა ნეგრი ახალ მხატვრულ სურათში მეხვლეტავი მ. ვთული
რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი) — მხატვრული ფილმი მსოფლიო ჩემპიონი ბილ კოდის და ო. ჩეხოვას მონაწილეობ.
სოლეი — 1-ლი ხეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ. — უცხოეთის მხატვრული სურათი ბიძია თომას ქოხი ბიჩერ-სტოუს ცნობილი რომანის მიხედვით
პალასი — 1-ლი ხეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — პრემიერა ცეცხლის ტრანსპორტი ქსენია კლიაროს, გ. კუზნეცოვის მონაწ.
სპარტაკი — ყოფ. არფასტო — მხატვრული ფილმი რატომ ასე? პროგრამის გარდა როდის მოვლენ ტურისტები.
დარბაზი — 1-ლი ხეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ. — მარჩელა ალბანი და ვერნერ კრაუსი სურათში კულისებს იქით

კინო-სოლეი
დღეიდან, 17 აპრილიდან
უცხოეთის ახალი
მხატვრული ფილმი
ბიძია თომას ქოხი
ბიჩერ სტოუს
ცნობილი რომანის მიხედვით
ნ. 642

საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
1929—30 წლის სეზონი
ავტორმა და დამდგმელმა
ე. სუპატაშვილმა
დაამთავრა სურათი
საქართველოს კურორტები
ნ. 642

ელექტრო შუქით თმის მკურნალობის და სამკურნალო კოსმეტიკის კაბინეტი
ექ. ნატალია გიორგის ას. კონტოროვიჩისა
გადავიდა ძერჟინსკის ქუჩაზე № 9 (ყოფილი პეტრე დიდის). მიღება დილის 11—3 და საღამოს 6—8 საათამდე. 25—1

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები

პ. ს. ფონ-ირეტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილისა და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს ტრიპერი, სიფილისი. შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან. ტელ. 14—23. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას სქესობრივი [illegible]ტაცია, ჰსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. მელიამინოვის) № 22. 25—1

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ბ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი; სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ქ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის სახ. № 3. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვს სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. ბუდოგოვის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

მუშკოოპის აპარატისა და მუშკოოპის და ამ.-კავკ. სამომხმარებლო კოოპერაციის ლენინის რაიონში შემავალი პუნქტების წმენდა

გრძელდება

1. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (პლეხანოვის პრ.)—16 აპრილს, 18 აპრილს, 21 აპრილს, 24 აპრილს, 26 აპრილს და 30 აპრილს.
2. პლეხანოვის სახელობის კლუბში (ლენრაიონი)—17 აპრილს, 22 აპრილს და 27 აპრილს.
3. ტრამვაელთა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი)—28 აპრილს.

ნ. 636 აპარატის გამწმენდი კომისია.

სიღნაღის რაიონის სასა ართლოს ს ქობოს საკრედიტო ამხანაგობის აღმასრუ ებელი

ნ. სელეზნიშვილი

ამით აცხადებს, რომ ა/წ. 22 აპრილს დილის 12 საათზე, ქ. სიღნაღში სასამართლოს დარბაზში **საჯარო ვაჭრობით** იყიდება მოქ. ტიგრან სვიმონის-ძე ოთაროვის უძრავი ქონება საქობის საკრედიტო ამხანაგობის ვალის დასაკმაყოფილებლად. თანახმად სიღნაღის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლებისა 4/V 1927 წ. № 547 და 2/VIII 1927 წ. № 1011 საპ გასაყიდი ქონების. 1) მდებარე ქალაქ სიღნაღში ერთი ორ სართულიანი ქვითკირის სახლი რვათვალი დუქნებით და სამი საცხოვრებელი ოთახით თავისი სამზარეულოთი შეფასებულია 2000 მან. 2) მდებარე ქალაქ სიღნაღში ერთ-ერთ სართულიან ქვითკირის სახლი დახურული კრამიტით და თუნუქით სამი საცხოვრებელი ოთახით და სამზარეულოთი, საწყობიაა სახლის ქვეშ სარდაფი. შეფასებული 1000 მან. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნდა დაიცვას სამ. საპ. კოდ. 311 და 312 მუხ.

საქობის საკრედიტო ამხანაგობის აღმასრულებელი

ნ. სელეზნიშვილი

ამით აცხადებს, რომ გურჯაანში ა/წ. 25 აპრილს დილის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** იყიდება მოქ. ტიგრან ოთაროვის უძრავი ქონება საქობის საკრედ. ამხანაგობის ვალის დასაფარავათ, მდებარე სოფ. გურჯაანში, ერთ სართულიანი ქვითკირის შენობა, ორი საცხოვრებელი ოთახით, ერთი სამზარეულოთი და მარნით შიგ რვა ქვევრით, თანახმად აღმასრულებელი ფურცლების 4/V 1927 წ. № 547 და 2/VIII 1927 წ. № 1011 ქონება შეფასებულია 500 მან. ყოველი მოქალაქე საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღები მოვალეა დაიცვას სამ. საპ. 311 და 312 მუხლები.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ

— „ზაკტპო“-ს საწევრო წიგნაკი № 69592 ნიკოლოზ მუსერიძეს სახ. 2110
— სამხედრო წიგნაკი № 377 ვლადიმერ დავითის-ძე მიღრიკანაშვილის სახელზე. 2115
— პურის წიგნაკი 1 სულის „ა“ № 20418 შალვა ჯინჭარაძის სახ. 2112
— საწევრო წიგნაკი № 7885 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი ქენია რამიშვილის სახელზე. 2120
— კავშ. წიგნაკი № 4692 ნესტორ ქაიხოსროს ძე გოგორელიანის სახ. 2121
— მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 4364/5010 შუშანა შატარიშვილი-დოლიძის სახელზე. ნ. 638
— ახალსენაკის განათლების კავშირის მიერ გაცემული საწევრო წიგნაკი № 26376 აკაკი ნიკიფორის-ძე ქარცივაძის სახელზე. 2125
— პარტბილეთი № 0866257 კირილე ცხოვრებაშვილის სახელზე. 2118

დედა ნინო, დები ილენე და მარო ცინცაძე ქმარშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 18 აპრილს, საღამოს 5 საათზე, დიდუბის პანთეონში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

პროფ. **ანდრია მიხე ლის-ძე რაზმაძის**

ხსოვნის აღსანიშნავათ. 2121

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ელენე, შვილი ვახტანგი, ძმები: იაკობ, ანტონ და ვასილ მეუღლებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ ძვირფასს

გორია იაკობის-ძე ლითანიშვილის

უეცრად გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს. 6 საათზე, ფოთის ქუჩა № 12, (დიდუბე) ცხედრის გად სვენება ორჯონიკიძის სახ. კლუბში 18 აპრილს, დღის 2 საათზე. კლუბიდან გასვენება დღის 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2124 2—1

პლეხანოვის სახ. კლუბის გამგეობა და კლუბის მუშა მოსამსახურეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 15 აპრილს, ღამით უეცრად გარდაიცვალა რკ. გზ. უბკავშირის ენერგიული და დაუღალავი კულტ-მუშაკი

გორია ლითანიშვილი

დაკრძალვა 18 აპრილს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება საღამოს 4 საათზე (თბილისი, ფოთის ქ. № 12) 2125 2—1

15 აპრილს ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საზ. „წერა-კითხვა“ ლენ-რაიკომის თავმჯდომარე, დაუღალავი მუშაკი ამხ.

გორის იოსების ძე ლითანიშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ მისი უახლოესი ამხანაგები საზ. „წერა-კითხვა“-ს ლენრაიკომიდან. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, (ფოთის ქ. 12) დასაფლავება 18 აპრილს კუკიის სასაფლაოზე. (ს)

გაზ. „ჩვენი საყვირის“ სარედაქციო კოლეგია და ჟურნალისტები მწუხარებით იუწყება ძვირფასი და დაუვიწყარ ამხანაგის

გორია ლითანიშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. 639

დამწუხრებულნი: მეუღლე მიხეილი, შვილები: გიორგი, ვანიჩკა, ლიუბა და ქეთო, რძალი თამარი, შვილიშვილი თენგიზ გეგელიები და სიძე სერაფიონი შვილითურთ აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მაკრინე ტაბიძის ასულ გეგელიას

მოულოდნელ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. პატარა ჯიხაიშში. 640

კვირას, 20 აპრილს, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ ჩვენთვის ძვირფას

ლიუსია მიხეილის-ასულ გაბუნიას

ხსოვნის აღსანიშნავად. რასაც იუწყებიან მოგონებით გულმოკლულნი: მეუღლე ილარიონ გაბუნია, დები: ცუცუ, ნინა და იულია თავიანთი შვილებით. 2116

სამუდამოთ გაუბედურებული დედა ელენე, მამა ყარამანი, მეუღლე ნატალია შვილები თეია და მიშათი იუწყებიან, რომ ხვალ, 17 აპრილს, 5 საათზე დიდუბის პანთეონში, დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ მედიცინის დოქტორის, სახ. უნივ. პრივატ-დოცენტის

ვლადიმერ ყარამანის-ძე ცეცხლაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 2095

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი დები: ვერა, ანეტა, მარუსია და თამარი, სიძეები: ვასო დუმბაძე, სერაფიონ ბერძენიშვილი და დიონის რიჟამაძე იუწყებიან, რომ დღეს, 17 აპრილს, 5 საათზე დიდუბის პანთეონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მედიცინის დოქტორის სახელმწ. უნივ. პრივატ-დოცენტის

ვლადიმერ ყარამანის ძე ცეცხლაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2111

ოლიმპიადა (ოლია) დიმიტრის ასული და შვილები: ვლადიმერი (ლადო) და დიმიტრი (ტიკო) ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 15 აპრილს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი მეუღლე და მამა

ილარიონ იოსების ძე ლემონჯავა

პანაშვიდი დღეს, 17 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის მეორე საავადმყოფოს პროზექტურაში (კამოს ქ. № 103). გამოსვენება იქიდანვე, ხვალ 18 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (ს)

დამწუხრებულნი; დედა ვასასა; შვილი ქეთო, დები: ვალენტინა, მარია, ხინა, თამარა, საშა და ზინა; ძმები: ვალოდია და მურა ოჯახითურთ იშხნელები. სიძეები: შალვა ხუციშვილი, შოთა დგებუაძე, დათიკო მეძ არიაშვილი და იოსებ დეისაძე იუწყებიან, რომ 18 აპრილს კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 4-ნახ. საათზე მათთვის საყვარელი

ივანე (ვანიჩკა) ალექსანდრეს ძე იშხნელის

ხსოვნის აღსანიშნავად. (ს)

სახალხო კვების მე-14 სასადილოს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი და ენერგიული მომუშავე

ზაქარია (ჟუჟუნა) რუბენის-ძე ჯაფარიძე

გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან, დღეს, 3 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2114

უახლოესი ნათესავები აუწყებენ, ნაცნობ-მეგობრებს, რომ 14 აპრილს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

გრიგოლ ისაკის-ძე ჯანდიერი

გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ხუთშაბათს, 17 აპრილს 3 საათზე. 2117

ტირაჟი—54.853
პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩ. № 68.
მთავლიტი № 904